

K153.150
3

აღ. გვინცაძე

ქართული ენის რიცხვითი სახელი

(დამხმარე სახელმძღვანელო)

თბილისი 1972

აზ. გვინცაძე

ქართული ენის რიცხვითი სახელი

(დამხმარე სახელმძღვანელო)



თბილისი 1972

153.150
3

ქართული ენის რიცხვითი სახელი ისწავლება საშუალო სკოლაში, აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლების სპეციალურ ფაკულტეტებზე. ამ წიგნში რიცხვითი სახელი დახასიათებულია ძველი და ახალი ქართულის მონაცემების შესაბამისად; დამოწმებული მასალა სჭარბობს ძველი ქართულიდან, რადგან შესაძარებლად ახალი ყველასათვის უფრო მისაწვდომია და ამით წიგნი აღარ გადაეტვირთეთ.

რიცხვით სახელთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი სცილდება გრამატიკის ფარგლებს და უფრო ფართო განზომილებისაა. ასეთია, მაგალითად, თვლის სისტემა ქართულში, რიცხვითი სახელის ორთოგრაფია და სხვ. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება მათდამი თავისთავად გამართლებულია.

რიცხვით სახელს, მით უმეტეს თვლის სისტემას, იმდენად საყოველთაო გამოყენება აქვს ცოდნის ყველა დარგში, რომ ჯერ კიდევ ძველ ქართულშივე შეიმჩნევა თვლის სისტემით დაინტერესება. საამისოდ, ძალზე შემჭიდროებულად, ნაჩვენებია ი. პეტრიწის ერთ-ერთი ორიგინალური ფილოსოფიური ნაწარმოების ენის რიცხვითი სახელები.

რიცხვითი სახელების აღნაგობის შესახებ ჩვენს მიერ მოყვანილ მაგალითებს არა აქვს იმის პრეტენზია, რომ ისინი ჩაითვალოს ძველი ქართულის უნიფიცირებულ ნორმებად, რადგან ძველ ქართულში ზოგჯერ ცალკეული ძველი ამ მხრივ ერთგვარ თავისებურებებს წარმოგვიდგენს. ამიტომ რიცხვითი სახელების აღნაგობის ძირითადი სახის დადგენა შემდგომ და უფრო ფართო კვლევა-ძიებას მოითხოვს.

ტრადიციულად რიცხვითი სახელი, გრამატიკული ნიშნების მიხედვით, ვაიგივებული იყო სხვა სახელებთან, მაგრამ რიცხვით სახელს გრამატიკულად მთელი რიგი თავისებურებები აწასიათებს, როგორც მორფოლოგიაში, ასევე სინტაქსში. ყოველივე ამის გათვალისწინება საყურადღებოა ისტორიისა და თანამედროვე ნორმების თვალსაზრისით.

საჭიროდ ვცანით, მოგვეყვანა ნიმუშები იმისა, თუ რა „ციფრობრივი“ საშუალებები იყო გამოყენებული რიცხვითი სახელების გამო-



სახატავად. საამისოდ ნაჩვენებია მხოლოდ ასოებით, როგორც სიბ-
ბოლოებით, რიცხვითი სახელების წერა.

რიცხვითი სახელის შესწავლისას არა მარტო პრაქტიკულ, არამედ
მედ რიგი ზოგადენათმეცნიერული საკითხებიც წამოიჭრება. ასე-
თია, მაგალითად, თვლის სისტემის გარეშემდგომი რიცხვითი სიტყ-
ვები და სხვ.

ამ წიგნს, როგორც დამხმარე სახელმძღვანელოს, არა აქვს პრე-
ტენზია, ამომწურავი პასუხი გასცეს ყველა თეორიულ და პრაქ-
ტიკულ საკითხს, მაგრამ მათ შესახებ ყურადღების გამახვილებაც კი
ჯეროვან სამსახურს გაუწევს ჩვენი მშობლიური ენის ისეთი ერთ-
ერთი მნიშვნელოვანი მეტყველების ნაწილის შემდგომ შესწავლას,
როგორც არის რიცხვითი სახელი. რა თქმა უნდა, ძველი ქართული
რიცხვითი სახელი აქამდეც იყო შესწავლის ობიექტი და ფრიად სა-
ყურადღებო მეცნიერული დაკვირვებებიც არსებობს,¹ მაგრამ ზო-
გიერთი ახალი და თან თავმოყრილი მასალაა ამ წიგნში წარმოდგე-
ნილი.

აღ. გვენცაძე

¹ ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვითა ფუნქციები ძველ ქარ-
თულში, 1957, გვ. 466-485.



(მეტყველების ნაწილთა ტრადიციულ კლასიფიკაციაში რიცხვითი სახელს გარკვეული ადგილი უჭირავს. ეს უფლება მას მოპოვებული აქვს სემასოლოგიური თავისებურების წყალობით. მორფოლოგიურად რიცხვითი სახელი ქართულში სახელებს განეკუთვნება.

ქართული ენის ძველ გრამატიკებში რიცხვითი სახელის განხილვას ნაკლებად ეთმობოდა ადგილი. ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიის—**ბრუნების** მიხედვით რიცხვითი სახელი ახლოს დგას არსებითთან და ზედსართავთან; ამ უკანასკნელთან რიცხვით სახელს ბევრი რამ საერთო აქვს სინტაქსური ფუნქციის თვალსაზრისითაც. ამის შედეგია, რომ სახელთა შესწავლისას გრამატიკოსები ყურადღებას ამახვილებდნენ არსებითსა და ზედსართავზე, ხოლო რიცხვითი სახელის შესახებ მეტად ძუნწი ცნობები მოეპოვებოდათ.

რიცხვითი სახელი თავისი ხნოვანებით არსებითი სახელის ასაკისა უნდა იყოს. გარკვეულ სტადიაზე ენაში ალბათ არსებობდა არსებით-რიცხვითები, რომლებიც საგნის სახელთან ერთად მის რაოდენობასაც აღნიშნავდა. ასეთი არსებით-რიცხვითები შემდეგში იქცა საკუთრივ რიცხვით სახელებად და გარკვეული ფუნქციის შესრულება დაეკისრა მეტყველებაში; თვლის სისტემაში მათ ერთგვარად განყენებული მნიშვნელობა მიეცა.

ალბათ ათასეული წლების ცხოვრება იყო საჭირო, ვიდრე ადამიანი თვლის ელემენტარულ სისტემაზე გადავიდოდა.

ისტორიულ-ლიტერატურული წყაროების მონაცემთა ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ ქართული ენის რიცხვითი სახელი მკვეთრად ჩამოყალიბებულ თვლის სისტემას წარმოადგენს. ეს ძლიერ მაღალი საფეხურია საერთოდ რიცხვითი სახელის განვითარების ისტორიაში.

მე-5 საუკუნიდან დღემდე მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ქართულმა სალიტერატურო ენამ, მაგრამ თვლის სისტემა, რიცხვითი სახელები თითქმის ისეთივეა დღესაც, როგორც 15 საუკუნის წინათ იყო. უნდა ვიფიქროთ, რომ მე-5 საუკუნეზე ადრეც ასეთ რიცხვითებს და თვლის სისტემას იყენებდნენ. ქართული ენის მარ-

ტო ამ მეტყველებების ნაწილით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, თუ განვითარების რა დიდი და მყარი ისტორია ჰქონია ქართულ ენას, ქართულ რიცხვით სახელსა და თვლის სისტემას მკვეთრად ატყვევებს განსაკუთრებული ხალხის მრავალსაუკუნოვანი კულტურისა. ენის ისტორიაში ასეთი მაღალი მოვლენების შესახებ დიდი მეცნიერი ი. ჯავახიშვილი მართებულად შენიშნავდა:

„ქართული ენის აღნაგობა და მისი დამწერლობითი გამოხატულება მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ისე შეურყევლად არის შერჩენილი, რომ ძველი მწერლობისა და ენის ისტორიაში განუსწავლელს მკითხველს ძველი ქართული თითქმის ერთხელ და სამუდამოდ ჩამონაქვთილ, სრულებით უცვლელ ენად ეჩვენება.

რა თქმა უნდა, რომ ქართულის გრამატიკული და მართლწერითი ერთგვარობა მრავალსაუკუნოვანი შეგნებული კულტურული მუშაობისა და მიზანშეწონილი სავალდებულო დანორმების შედეგია. ასეთ შემთხვევაში ყოველთვის ადგილობრივი, თემური, თუ ტომობრივი ყოველნაირი თავისებურება უგულვებელყოფილია და უღმობედლად უარყოფილიც არის ხოლმე: სხვა გზა და საშუალება ზოგადი ენის შესაქმნელად არ არსებობს. ზოგადს ენას მხოლოდ იმ სიტყვიერი მარაგის შენარჩუნება შეუძლიან, რომელიც ერის სხვაზე უფრო ძლიერ და დაწინაურებულ ტომთან საერთო კულტურული და პოლიტიკური ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანია, რომელიც ურთიერთი ვაგების აუცილებელს საგანძურს წარმოადგენს.

რამდენადაც უფრო ძლიერია და დაწინაურებული ზოგადი ენა, იმდენად უფრო მკაცრად არის ხოლმე მისი ერთგვარობა დაცული“¹.

რიცხვს უდიდესი წვლილი უძევს კაცობრიობის მეცნიერების, ტექნიკისა და საერთოდ კულტურის ყველა დარგის განვითარების საქმეში.

კაცობრიობის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა რიცხვის ენით არის ასახული. ამით აიხსნება განსაკუთრებული ინტერესი რიცხვითი სახელის შესწავლისადმი.

1 ი. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, 1937, გვ. 376.

I რაოდენობითი რიცხვითი სახელი



ძველი ქართული ლიტერატურული (სასულიერო თუ საერო) ძეგლებსა და საისტორიო წყაროების მონაცემთა რეფერენსული კატალოგის საფუძველზე დასტურდება, რომ ძველსა და ახალ ქართულში თითქმის ერთნაირადაა წარმოდგენილი რაოდენობითი რიცხვითი სახელი. აქ იგულისხმება ის რაოდენობითი სახელები, რომლებიც თვლის სისტემაშია გამოყენებული: ერთი, ორი, ექვსი, ათი, ოცი, ოცდაშვიდი, სამოცი, ასი, ათასი და სხვ.

ამათ გარდა, ძველსა და ახალ ქართულში მოიპოვება გარკვეული და გაურკვეველი რაოდენობის გამომხატველი სახელები, რომლებიც თვლის სისტემაში არ შედიან; ესენია: ცალი, წყვილი, ტუზ(პ)ი, თითო, მრავალი, ცოტა და სხვ.

არ შევეხებით რაოდენობით სახელთა ეტიმოლოგიას. მის შესახებ ავტორიტეტულ ავტორთა შრომები არსებობს. საჭირო შემთხვევაში ჩვენ მათ ვემყარებით.¹

აღნაგობის ყველა მაგალითს აქ არ წარმოვადგენთ, — ეს მეტად დიდ ადგილს დაიჭერდა, — მოვიყვანთ მხოლოდ ისეთ შემთხვევებს, რომლებიც ძირითადად და აღნაგობის მიხედვით ტიპობრივ რიცხვიან სახელებს მკაფიოდ ახასიათებენ. აქ მაგალითები ძირითადად ძველი ქართულის ფარგლებიდანაა წარმოდგენილი, ახალთან შედარება ყველასათვის მისაწვდომია.

რიცხვითი სახელი მოგვყავს სახელობითი ბრუნვის ფორმით, ზოგჯერ სხვა ბრუნვის ფორმითაც.

ერთ-ი

და იხილნა ორნი ანგელოზნი... მსხდომარენი ერთი თავით და ერთი ფერკით, სადა იგი ხიდვა გუამი იესუჲსი: ლექც. ი. 20, 12.

ორ-ი

ეგრეცა რომელმან ორი მიიღო, შესძინა სხუაჲ ორი: მთ. 25, 17.

ხუთ-ი

და რომელსამე მისცა ხუთი ქანქარი და რომელსამე ორი: მთ. 25, 15.

¹ Н. Марр, грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925 г. стр. 71.

შვდ-ი

და აღიღეს ნეშტი ნამუსრევი შვდი გოდორი საცხენე მხარეში
რვა-ა

და დაყო მას ზ—ა რვაა წელი: კიმ. 1, 340.

ნ. მარს მოცემული აქვს რუაა,¹ ხოლო ი. ჯავახიშვილს რუაა და რვაა². უნდა შევნიშნოთ, რომ ძველ ძეგლებში უფრო ხშირად რვაა გვხვდება.

✓ცხრა-ა

დაყო ნეტარმან მან იოვანე ცხრაა წელი. ეპისკოპოსობასა შინა: კიმ. 1, 16.

ათ-ი

და წარაბა მონამან მან ათი აქლემი: დაბ. 24. 10.

ამ ერთეულთა სახელები მარტივ სიტყვებადაა მიჩნეული.

თერთმეტიდან ცხრამეტამდის (ცხრამეტის ჩათვლით) რიცხვითი სახელები რთული სიტყვას — კომპოზიტს წარმოადგენენ. ისინი თხზვით არიან მიღებული. რიცხვით სახელთა თხზვისას საერთო კანონზომიერებაა დაცული: ათ ფუძეს ემატება ერთეული სახელის ფუძე და ბოლოს დაერთვის მეტ ელემენტი.³

მაგ.: ათ-ერთ-მეტ-ი; ათ-ორ-მეტ-ი და სხვ.

სალიტერატურო ენის პირველ საფეხურზე ათეულსაც და ერთეულსაც მტკიცედ დაუცავს საკუთარი სახე კომპოზიტში.

ათ-ერთ-მეტ-ი:

დაყო საპყრობილესა მას შინა მრავლითა ჭირითა და იწროებითა ათერთმეტი თითუ: კიმ. 1, 122.

ათ-ორ-მეტ-ი:

და ათორმეტი ნათესავი შვეს: დაბ. 17, 20.

ათ-სამ-მეტ-ი:

და ვითარ ათსამმეტისა წლისა იყო ქალი იგი: ქრესტ., ხანძთ. 155.

1 Н. Марр, грамматика древнелингвистического грузинского языка, Л, 1925, ст. 71.

2 ი. ჯავახიშვილი, ქართ. და კავკ. ენების თავდაპირველი ბუნება და ნათეს., 1937, გვ. 382.

3 არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, 1952, 206.

მაგრამ როგორც ძველი ძეგლებიდან ჩანს, რაოდენობით რიცხვით სახელთაგან ყველაზე ადრე **ათ-სამ-მეტ-ს** განუცდია ცვლილებები უკვე ძველსავე ქართულში **თს** კომპლექსს ენაცვლება **ც**. მაგ.: ათ-სამ-მეტ-სა, ორი მ-ანის შეხვედრისას ერთი იკარგება. ეგების ასეთმა ცვლილებამ შეუწყო ხელი თავკიდური ა-ს ადრევე დაკარგვას **ცამეტ**-ში და ეს მოვლენა შემდეგში სხვა რიცხვით სახელებზეც გავრცელდა. აღსანიშნავია, რომ ფონეტიკურ ცვლილებათა მიუხედავად ხშირად კომპოზიტის ზოგი წევრი სრულად არის წარმოდგენილი; მაგ.:

ორნი იგი ძენი იოსებისნი ორად ნათესავად განყვნა და იქმნეს **ათსამეტ** ნათესავი: შტბ. კრებ. 297.

არის შემთხვევები, როდესაც კომპოზიტის პირველ ათ წევრთან ერთად მეორე წევრი **ცამეტ**-ის სახით გვხვდება:

ხოლო ისმაილ, ძმ მისი, **ათცამეტ** წლის, რაემს წინა-დაასცთა ჭრცი წინა-დაცუეთილებისა მისისაჲ: დაბ. 17, 25.

და იპოვნეს **ათცამეტნი** გლახაკნი იგი: კიმ. 1, 129.

მაგრამ შემდეგი დროის ძეგლებში **ცამეტ** ფორმაა ნახმარი:

მოკლა **ცამეტი** ბუმბერეზი: ქართ. ცხ. 23.

ათ-ხუთ-მეტ-ი:

და ღამით წართქუან **ათხუთმეტი** კანონი ღთ -ისაჲ: ასური, 7.

ათ-ექუს-მეტ-ი:

ესე ძენი ზელფაძისნი, რ — ლ მისცა ლაბან ლიას, ასულსა თვსსა, რომელმან უშენა ესენი იაკობს, სული **ათექუსმეტ**: დაბ. 46, 18.

ათ-შვდ-მეტ-ი:

დავეყავ მუნ შინა **ათშვდმეტი** დღჳ: ანტ. რაეახ. 92.

უფრო ადრინდელ ძეგლებშიც კი პარალელურად იხმარება ფორმები სადაც **შ-ს** ენაცვლება **ჩ**:

ცხონდა იაკობ (ქვეყანასა ეგვიპტისასა) **ათჩვდმეტ** წელ: დაბ. 47, 28.

ხოლო ერთგან ამ უკანასკნელი ფორმიდან **თ** ქრება:

იყო იოსებ **აჩვიდმეტ** წლის: იქვე, 37, 2.

ათ-რვა-მეტ-ი:

ხოლო ესე ასული აბრაამისი იყო, რომელი შეეკრა ეშმაქსა. აპა

ესერა ათრვამეტი წელი არს: ლ. 13. 16.

C-ში არის ათრუამეტი.

„ოქროპირის ცხოვრება“ უმთავრესად უ-ნიან ფორმებს იცავს:
ათ-ხცრა-მეტ-ი:

ხოლო აღესრულა მამაჲ ჩუენი ილარიონ თუესა ნოემბერსა
ათცხრამეტსა: ქრესტ. 174.

რაც ზევით „ათსამმეტის“ შესახებ იყო აღნიშნული თავკიდური
„ა“-ს დაკარგვაზე, ის შეიძლება გავიმეოროთ შემდეგზეც: (ა) თერთ-
მეტი, (ა) თორმეტი, (ა) თოთხმეტი, (ა) თხუთმეტი, (ა) თექვსმეტი,
(ა) თვრამეტი; ხოლო „ათშვიდმეტსა“ და „ათცხრამეტში“ სხვა სა-
ხის ფონეტიკური ცვლილებებიც დაემატა და მივიღეთ: ჩვიდმეტი,
ცხრამეტი. აგრეთვე „ათრვამეტში“ მეტთეხისის შემდეგ გვაქვს:
თვრამეტი.

როგორც ვნახეთ, მეორე ათეულის ათ-ერთეულებიდან ზოგი-
ერთმა კომპოზიტმა ერთგვარი ცვლილება განიცადა ძველსავე ქარ-
თულში, მაგრამ ეს ცვლილება მხოლოდ ფინეტიკური ხასიათისა იყო.

ათობითი თელის სისტემის ენებში კომპოზიტის პირველ წევრად
ათეულის რაოდენობა აღინიშნება და მას ემატება ერთ-ერთი ცხრა-
ერთეულთაგანი, ხოლო ქართულში ოცეულის რაოდენობა გვეჭლი-
ნება და მას ემატება ერთ-ერთი ცხრამეტერთეულთაგანი. ოცეულის
რაოდენობა კომპოზიტის პირველ წევრად არის მიჩნეული და მას და
კავშირით ემატება ერთეულის სახელი: ოც+და+შვიდ-ი და სხვ.,
ხოლო მეორე ოცეულის დასასრულიდან კომპოზიტის პირველი წევ-
რი თავისთავად კომპოზიტს წარმოადგენს: ორ+მე+ოც+და+
შვიდ-ი; შეიძლება ისიც, რომ მეორე ნაწილიც თავისთავად კომპო-
ზიტს წარმოადგენდეს: ორ+მე+ოც+და+შვდ+მეტ-ი, და სხვ.

მაგრამ ამ რთულ სიტყვაში აღნაგობის თვალსაზრისით მხოლოდ
ორი ნაწილი გამოიყოფა: პირველი ორმეც, მეორე ათშვდმეტ-ი.

ამრიგად, რთული რიცხვითი სახელი ერთი მორფოლოგიური
ოდენობაა; იგი როგორც სახელი — ერთ-ერთი ბრუნვის ნიშნით
არის შეკრული.

რიცხვით კომპოზიტში და კავშირი ერთ-ერთი ცხრამეტი ერთე-
ულთაგანის დასაკავშირებლად არის გამოყენებული. ამგვარად, პირ-
ველი ცხრამეტი ერთეული კომპოზიტში ყოველთვის განსაკუთრე-

ბულ წევრად არის მიჩნეული, ხოლო ოცეულები, ასეულები და ათასეულები კომპოზიტში და კავშირს არ საჭიროებენ.

მაგ.: **ოცათასორას+და+ათ-ცხრა-მეტ-ი** სული: წარტყვერქწწული
ეს წესი მკაცრად არის დაცული ძველ ქართულში ათასთასამდე
ათი ათასის შემდეგ ზოგჯერ ათასეულებს ასეულები და კავშირით უერთდებიან და ათასეულებს ბრუნვის ნიშანი ი აღარ უჩნდებათ.

ახლა, თუ ახალი ქართულის სინამდვილეს მივმართავთ, ვნახავთ ერთგვარ ცვლილებებს. ახალ ქართულში და კავშირით მარტო ოცეულებს უერთდება ერთ-ერთი ცხრამეტერთეულთაგანი, ხოლო ასეულებს და ათასეულებს ისე უერთდება აღნიშნული ერთეულები, რომ და კავშირი საჭირო აღარ არის. იყო: **ასდახუთ-ი; ათასდაოთხ-ი;** ახლა გვაქვს: **ასხუთი, ათასოთხი** და სხვ.

აღსანიშნავია მეორე თავისებურებაც: ახლა კომპოზიტის პირველი წევრის ათასეულების რაოდენობა ცალკეა გაფორმებული ბრუნვაში; ასეთი სურათი გვაქვს ორი ათასიდან. მაგ.: თუ ძველში გვქონდა: **ორათასოც-ი; ახალში გვაქვს: ორ-ი ათასოც-ი,** და სხვ.

შედარება ასეთ სურათს იძლევა:

ძველი ქართულით: **ოთხათასორას-და ათ-ცხრა-მეტ-ი;**

ახალი ქართულით: **ოთხ-ი ათას ორას ცხრა-მეტ-ი.**

ათი ათასიდან ძველ ქართულშიც ათასეულის რაოდენობა ბრუნვაში ცალკეა გაფორმებული; მაგ.: **ათ-ი ათას-ი** ერთნაირია როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში.

მოვიყვანოთ მაგალითები:

ოცი-დან ას-ამდე:

ოც-ი:

ოც-ი წელი აღასრულა ესრტთ: არცა გამოვიდის და არცა იხილის ვინ წუს-წუთ. უდაბნ. 25.

ოც-და-ერთ-ი:

და კჳალად აგო დიდებული იგი და პატიოსანი ძელი კჳარისაჲ ადგილსავე თვისსა თუესა მარტსა **ოცდაერთსა** დაბეჭდული აგრეთვე გუადრუცსა შინა: წარტყ. 148.

ოცდასამი:

და იყო **ოცდასამ** წლის, რაჟამს დადგა იგი მეფედ: აპკრ. ვერს. 20, პარავრ. 32.

ოც-და-შვდ-ი:

რომელიცა ოცდაშვდ წელ კათალიკოზობდა: ქრესტ., ხანძთ. 132.

ოც-და-ათ-ი:

და მათ მიუწონეს მას ოცდაათი ვეცხლი: მთ. 26, 15.

ოც-და-ათ-ერთ-მეტ-ი:

და მოკუდა ისრით განგუმერილი ბრძოლასა შინა ოცდაათერთ-მეტ წელ: ხრონ. 115.

ოც-და-ათ-ექუს-მეტ-ი:

მისცა ქურიცსა მას მისგან ოცდაათექუსმეტი დრაჰკანი: ოქრობ. 131.

პირველი ოცეულის სახელწოდება არის მარტივი სიტყვა ოც-ი. შემდეგი ოცეულების სახელწოდებებია: ორმეოცი, სამმეოცი, ოთხმეოცი.

ოცეულების ამ სახელწოდებებში ერთეულებით აღინიშნება ოცეულების რაოდენობა ისე, რომ მათ შორის მე ელემენტია მოქცეული: ორ-მე-ოც-ი, სამ-მე-ოც-ი, ოთხ-მე-ოც-ი.

ქართველურ და ზოგიერთ კავკასიურ ენათა მსგავს მასალასთან შეპირისპირებით მე ელემენტის ფუნქცია ახსნილი აქვს ვ. თოფურიას. იგი ამბობს:

„ქართულ-მეგრულ-ჭანურისა და სვანურის თვლის თანაბარი სისტემა და მორფოლოგიური იდენტობა გვაფიქრებინებს, რომ ქართ. მე-სა და მეგრულ-ჭანურ: ონ, ენ-ს ისეთივე ფუნქცია უნდა ჰქონდეთ დაკისრებული, როგორც დღეს სვანურში ცოცხლად დარჩენილ ინ-ს.¹

სვანურში ინ კი აღნიშნავს: „ჯერ“, „ხელ“-ს.

მე ელემენტის ჯერადობის ფუნქცია ნათელს ხდის ორმეოც-ის, სამმეოც-ის და ოთხმეოც-ის აღნაგობას.

ორ-მე-ოც-ი:

და აღასრულეს მისი ორმეოცი დღე, რამეთუ ესრჭთ აღირიცხებიან დღენი დაფლვისანი: დაბ. 50, 3.

¹ ვ. თოფურია, ოცობითი თვლის სისტემისათვის ქართველურ ენებში, თბ. უნ. შ. VI, გვ. 293.



ორ-მე-ოც-და-ერთ-ი:

ხოლო შემდგომად არტავანისა მეფე იქმნა არტაქსერქსი
ძელი ორმეოცდაერთ წელ: ხრონ. 140.

ორ-მე-ოც-და-ექუს-ი:

ორმეოცდაექუსსა წელსა აღეშენა ტაძარი ეგე: ი. 2. 20.

ორ-მე-ოც-და-ათ-ი:

და მისცა ოქროდ ღრაპკანი ორმეოცდაათი: ხელნაწ. № 19, გვ. 147.

ორმეოცდაათის აღსანიშნავად იხმარებოდა სხვა სიტყვა — ერგასისი. ეს სიტყვა მიჩნეულია კომპოზიტად: ნახევარი ასისა (ამის შესახებ ვრცლად ქვევით).

ორ-მე-ოც-და-ათ-ორ-მეტ-ი:

ხოლო შემდგომად კრონოზსა მეფე იქმნა ნინოს, ძე მისი ორმეოცდაათორმეტ წელ: ხრონ. 7.

ესევე რაოდენობა გადმოცემულია ასე: ერგასის და ორისა: სამოც. 11.

ორ-მე-ოც-და-ათ-ხუთ-მეტ-ი:

და საბრძოლოდ მოკაზმულითა პილოთა ორმეოცდათხუთმეტი-თა: ხრონ. 145.

ორ-მე-ოც-და-ათ-რვა-მეტ-ი:

აძოვნა კრაენი ქესნი ორმეოცდაათრვამეტ წელ: ასური, 11.

სამ-მე-ოც-ი:

სტეფანე გუნდის მისგან მოციქულთაჲსა ერთი სამმეოცთაგანი და შვლთა მათ დიაკონთა მთავარი: ხელნაწ. № 19, 157.

ორი მ-ანის შეხვედრისას უმეტეს შემთხვევაში ერთი მ დაკარგულია და ჩვეულებრივია ფორმა სამეოცი.

სამ-მე-ოც-და-ორ-ი:

და მერმე ცხონდალა სამეოცდაორ წელ: ხრონ. 48.

სამ-(მე)-ოც-დარვა-ა:

და განისვენა სამეოცდარვისა წლისამან: ხელნაწ. № 19, გვ. 176.

სამ-(მე)-ოც-და-ათ-ი:

რ არს ჩნთ ნაშნი სამეოცდაათი შესემნაჲ: ოქრობ. 180.

✓ სამ-(მე)-ოც-და-ათ-შვდ-მეტ-ი:

ესე წარჩინებულნი სამოცდაათჩვდმეტნი ადგილსა მას ბრძოლი-

სასა დაეცნეს: ქართ. სომხ. ურთ. 90.



ოთხ-მე-ოც-ი:

განსრულდა **ოთხმეოცი** წელი: კიმ. 1, 206.

ოთხ-მე-ოც-და-სამ-ი:

ხოლო აპრონ **ოთხმეოცდასამ** წლის იყო: გამოსვლ. 7, 7.

ოთხ-მე-ოც-და-ექუს-ი:

აბრაჰამ იყო **ოთხმეოცდაექუსის** წლის: დაბ. 16, 16.

ოთხ-მე-ოც-და-ათ-ი:

და იყო ვინმე ერთი მათ გ — ნი, რ — ლსა აქუნდა **ოთხმეოცდა-ათი** წელი: ოქრობ. 192.

ოთხ-მე-ოც-და-ათ-ცხრა-მეტ-ი:

იყო აბრაჰამ **ოთხმეოცდაცხრამეტ** წლის: დაბ. 17, 1.

ასი-და შემდგომი:

ასი ხუთ ოცეულს შეიცავს, მაგრამ ის სხვაგვარი აღნაგობისა ჩანს.

ნ. მარი და ი. ჯავახიშვილი ვარაუდობენ, რომ ას-ი მიღებულია ფუძე ათ გაორკეცებით¹.

ამ მოსაზრებას თითქოს მხარს არ უჭერს მეგრულ-ქანური და სვანური, სადაც ას-ის შესატყვისია: **ოშ-ი** და **აშირ**.

ჩვენ მიგვაჩნია რომ ას-ი მარტივი სიტყვაა, ისევე, როგორც ოც-ი. ას-ი:

დამიწერია ასი დრაპკანი მღ დელთა: აღმშენ. ანდ. 12.

ას ფუძე შენახულია კომპოზიტში: ერგ-ასისი (ნახევარი ასისა).

ას ფუძეს ყოველი ცხრამეტ-ერთეულთაგანი და კავშირით უერთდება, ხოლო ოცეულები და კავშირს არ საჭიროებენ.

ას-და-ოთხ-ი:

ცხონდა იგი **ასდაოთხ** წელ: ასური, მ.

ას-და-ათ-ი:

ცხონდა იოსებ **ასდაათ** წელ: დაბ. 50, 22.

მაგრამ:

ასოც-ი:

1. დასახელებული შრომები.

დაეყო დედაბერსა მას ასოცი წელი მეკარეობასა მონასტრისასა;
კიმ. 204.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ას-ოც-და-შვდ-ი:

იყო ცხოვრება სარჩაჲსი ასოცდაშვდ წელ: დაბ. 23.

ას-ოც-და-ათ-შვდ-მეტ-ი:

და წელნი ცხოვრებისა ლევისნი ასოცდაათშვდმეტ: გამოსვლ.
8, 16.

ას-ორ-მე-ოც-და-შვდ-ი:

ცხოვრებული ყოველითურთ ასორმეოცდაშვდ წელ: ხრონ. 48.
სიტყვა ერგასიხი გზას იკაფავს თვლის სისტემაში ნაწილობრივ
მაინც. ზოგჯერ კომპოზიტ ასორმოცდაათს ენაცვლებოდა:
გამოითრევედა ბადესა მას ქუეყანად, სავსესა დიდ-დიდითა თევ-
ზითა, რომელი იყო ას-ერგასიხ და-სამ: ი. 21, 11.

ას-სამ-მე-ოც-ი:

რომელი (ბ) შორავს იერუსალჴმსა ასსამეოც უტევეან, რომლისა
სახელი ემშაოს: ლექც. ლ. 24. 13.

ას-სამ-მე-ოც-და-ათ-ხუთ-მეტ-ი:

ესე არიან წელნი დღეთა აბრაჴამისთანი, რავდენ ცხონდა: ას სა-
მეოც და ათხუთმეტ წელ: დაბ. 25, 7.

ას-ოთხ-მე-ოც-და-ათ-ექუს-მეტ-ი:

და ვპოვეთ დასავლით კერძო წმინდისა სიონისასა ას ოთხმოცდა-
ათექუსმეტი სული: წარტყ. 145.

ათასამდე ერთეულის წინ დასმით აღნიშნება ასეულის რაოდე-
ნობა კომპოზიტში. ერთეულებისა და ოცეულების მიმატება კი ზე-
მოთ აღნიშნულ წესს იცავს.

ორ-ას-ი.

ხოლო ბენიამენს მისცა ორასი დრაჴკანი: დაბ. 15, 22.

ორ-ას-და-ათ-ორ-მეტ-ი:

და ვპოვეთ მონასტერსა-შინა წმინდისა აღდგომისასა ორასდა-
ათორმეტი სული: წარტყ. 144.

ორ-ას-ორ-მე-ოც-ი:

დაჴქსნა მეფობა სპარსთა მპყრობელქმნილი ყოველით-ურთ ორ-
ასორმეოც წელ: ხრონ. 141.



საქართველოს
ანგარიშგარეშის
სამსახური

ორ-ას-ოთხ-მე-ოც-და-ათ-ი:

და მეფობაჲ პტოლემიანთაჲ დაჰქსნა. **ორასოთხმეოც** დასაწყისი დასასრული დასაწყისი დასასრული
დამპყრობელი მეფობასა: ხრონ. 147.

ორ-ას-ოთხ-მე-ოც-და-ათ-ორ-მეტ-ი:

და შემდგომად ამისსა მიიცივალა თუესა ნოემბერსა ოცდაოთხსა,
ქრონიკონსა **ორასოთხმეოცდათორმეტსა**: ქართ. ცხ. 197.

სამ-ას-ი:

ჯერ-იყო განსყიდად ნელსაცხებელი ესე **სამასის** დრაჰკანის: მკვ.
14, 5.

სამ-ას-და-რვა-ა:

ვპოვეთ ჳევესა მას იაკობ წმინდისასა **სამასდარვა** სული: წარტყ.
145.

სამ-ას-და-ათ-შუდ-მეტ-ი:

და ვპოვეთ საკრებულოსა დიდსა **სამასდათშუდმეტი** სული: იქ-
39, 145.

სამ-ას-ორ-მე-ოც-ი:

ხოლო მათ გაყიდეს მონასტერი იგი **სამასორმეოც** დრაჰკანად:
მოწმ. ცხ. 44.

სამ-ას-სა(მე)-ოც-და-ათ-ხუთ-მეტ-ი:

შემდგომად მისსა დაჯდა ძე მისივე გიორგი ქრონიკონსა **სამას-
სამეოცდათხუთმეტსა**: ქართ. ცხ. 238.

სამ-ას-ოთხ-მე-ოც-და-ათ-ხუთ-მეტ-ი:

ვიდრე ანტიოხოზ ეპიფანემდე შეიქმნებიან წელიწადნი **სამას-
ოთხმეოცდათხუთმეტნი**: ხრონ. 213.

ოთხ-ას-ი:

ალიხილნა თუალნი თვისნი იაკობ და იხილა ძმაჲ თვისი ესავ მომო-
ვალი და **ოთხასი** კაცი მის თანა: დაბ. 1, 33.

ოთხ-ას-და-სამ-ი:

შემდგომად ამისსა ცხოვნდა **ოთხასდასამ** წელ: ხრონ. 18.

ოთხ-ას-ოც-და-ათ-ი:

და იყო შემდგომად **ოთხასოცდაათისა** წლისა: გამოსლვ. 12, 41.

ოთხ-ას-ოთხ-მე-ოც-და-სამ-ი:

რამეთუ შუდნი და სამეოცდორნი შუდეულნი **ოთხასოთხმეოც-**



საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

დასამ წელიწად სრულ იქმნებიან: ხრონ. 151.

ხუთ-ას-ი:

და ჰრჭუა: ორნი თანა-მდებნი იყვენს მავასხებელისა ვინაჲსა ერთსა თანა-ედვა ხუთასი დრაჰკანი, ხოლო ერთსა მას-ერგასისი: ლ. 7, 41.

ხუთ-ას-და-ათ-ერთ-მეტ-ი:

შეიქმნებიან უკუე პირველით შენებიტგან ტაძრისაჲთ ვიდრე მე-ორედმდე წელიწადნი ხუთასდაათერთმეტნი: ხრონ. 137.

ხუთ-ას-სამ-მე-ოც-და-ხუთ-ი:

ამის შემდგომად ცხოვნდა ხუთასსამეოცდახუთ წელ: ხრონ. 16.

ექუს-ას-ი:

ალიგო ექუსასი ეტლი რჩეული თვისი: გამოსლვ. 14, 7.

ექუს-ას-და-ორ-ი:

მოკუდა ცხოვრებული ყოვლით-ურთ ექუსასდაორ წელ: ხრონ. 18.

ექუს-ას-ოც-და-ათ-ი:

კრებაჲ იგი ქალკიდონისაჲ იქმნა ექუსასოცდაათთა მამათაჲ მარკიანე მეფისა ზე: კიმ. 1, 61.

შვდ-ას-ი:

და შემდგომად ამისა ცხოვნდა შვდას წელი და მოკუდა: ხრონ. 14.

შვდ-ას-და-რვა-ჲ:

არს სხუჲცა წიგნი ეკლესიასჲ განწესებულ შვდას და რვა მუკლ და ქებაჲ ქებათაჲ: იპოლიტ. 3.

შვდ-ას-ორ-მე-ოც-და-ათ-ცხრა-მეტ-ი:

და მოკუდა ცხოვრებული ყოვლითურთ შვდასორმეოცდაათცხრა-მეტ წელ: ხრონ. 16.

რვა-ას-ი:

ამისსა შემდგომად შექმნა ფარები ოქროსაჲ განჭედილები, რიცხვთ რვაასი: ხრონ. 89.

რვა-ას-ოთხ-მე-ოც-და-ხუთ-ი:

მოკუდა ცხოვრებული წელთა რვაასოთხმეოცდახუთთა: იქვე, 15.

ცხრა-ას-და-სამ-ი:

და მოკუდა ცხოვრებული ცხრაასდასამ წელ: ხრონ. 15.

ცხრა-ას-ოც-და-ერთ-ი:

და ვპოვეთ საჭორცეს ცხრაასოცდაერთი სულ: 145.

2

17



ცხრა-ას-სამ-მე-ოც-და-ცხრა-ე:

და მოკუდა ცხორებული ყოვლითურთ ცხრაასსამეოცდაცხრა
წელ: ხრონ. 15.



ათასი და შემდგომი:

ცხადია, სიტყვა ათასი კომპოზიტია: ათ და ას წევრთაგან მიღებული. ოც და ას სიტყვებთან შედარებით ათასი ახალი წარმოშობის სიტყვაა.

კომპოზიტებში ერთეულებით აღინიშნება ათასეულების რაოდენობა. ათას ფუძეს ოცეულები და ასეულები უკავშიროდ ერთვის, ცხრამეტ ერთეულთაგანი კი და კავშირით.

ათ-ას-ი:

და მოსწყდა დღესა მას შინა სახელისათვის ქრისტჳსა ერისა მისგან ვითარ ათასი კაცი: კიმ. 11, 25.

ათ-ას-ოც-და-ათ-ერთ-მეტ-ი:

ხოლო ერთბაშად აღიარებინა ათასოცდაათერთმეტნი: ქართ. სომხ. ურთ. 90.

ათ-ას-ორ-ას-ი:

მაშინ წარავლინნა მკედარნი ვითარ ათას ორასი კაცი: ავათანგ. 272.

ათ-ას-სამ-ას-ოც-და-ათ-ხუთ-მეტ-ი:

ნეტერ არს რ^ან დაუთმოს და მიიწიოს დღეთა მათ ათას სამას ოცდაათხუთმეტთა: შატბ. კრებ. 387.

ორათასი და შემდგომი:

ორ-ათ-ას-ი:

ხოლო იყო ვითარ ორათას ოდენ: მკზ. 5, 13.

უკვე საშუალ ქართულშივე ვხვდებით პირველი წევრის ბრუნვაში გაფორმებას.

აწ მე მომიტყენებია ორი ათასი ცხუარი: აღმშენ. ანდ. 10.

ორ-ათ-ას-და-შვდ-ი:

და ვპოვეთ პროპატიკეს ორათას ასდაშვდი სული: წარტყ. 145.

ორ-ათ-ას-შვდ-ას-ი:

ვიდრემდის შეიქმნების დღისა ერთისასა წარსაგებელი პური სოლომონის ტაბლისაჲ ორათასშვდასი მოდი: ხრონ. 91.

სამ-ათ-ას-ი:

და ევედრნეს მ^რ თრ^ა მიიღონ სამათასი დრაპკანი და შეიწყ^ნ
ნარონ ეთიკოს: ოქრობ. 226.



ხუთ-ათ-ას-ი:

რამეთუ იყვნეს კაცი ვითარ ხუთათას ოდენ: ლ. 9, 14.

ხუთ-ათ-ას-ოთხ-ას-ორ-მე-ოც-და-ოთხ-ი:

დასაბამითგან წელთა ხუთათას ოთხას ორმეოცდაოთხსა ხ^ქ ეს
აღმალღებთგან სამას და ათერთმეტსა: შატბ. კრებ. 457.

ექვს-ათ-ას-ი:

ხოლო ითქუმის, ვითარმედ ექუსათასი წიგნი აღწერა: ხრონ. 236.

ექვს-ათ-ას-ორ-მე-ოც-ი:

ვ^რ ანტიოქიელნი ითვალვენ ექუს ათას ორმეოცსა: კიმ. 1, 339.

შვდ-ათ-ას-ი:

დამიტევებოეს თავისა ჩემისა შვდათასი კაცი: სამოც. 12.

ცხრა-ათ-ას-რვა-ას-და-ცხრა-ე:

და ვპოვეთ ადგილსა მას სადა იგი ზღუდე დასცეს ქალაქისა
მტერთა მათ ცხრაათას რვაას და ცხრა სული: წარტყ. 145.

ათი ათასი და შემდგომი:

ათას ორას-ში საყრდენი ფუძეა ათას და მას ემატება ასეულები.
წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა გვქონოდა თორმეტი ასი, და სხვ.
სწორედ ეს უკანასკნელი აღნაგობაა დაცული ათი ათასის შემდეგ. თუ
ათი ათასი იქნებოდა საყრდენი წევრი, მაშინ მივიღებდით: ათ ათას+
ორათასი, მაგრამ ამის მაგივრად გვაქვს: თორმეტიათასი და ასე
შემდეგ.

ძველ ქართულში რიცხვით-კომპოზიტში შემავალი არც ერთი წი-
ნა წევრი არ ფორმდება ცალკე ბრუნვაში. ასე იყო აქამდე განხი-
ლულ მაგალითებში. ათი ათასიდან მოყოლებული მდგომარეობა
იცვლება: ათასის რაოდენობის აღმნიშვნელი წინა რიცხვი სახელო-
ბითი ბრუნვის ფორმით არის წარმოდგენილი. მაგ.: ათ-ი ათას-ი;
თხუთმეტ-ი ათას-ი; ოც-ი ათასი, და არა: ათ-ათას-ი; თხუთმეტ-
ათას-ი; ოც-ათას-ი.

ეს მოვლენა უფრო ახალი უნდა იყოს ათი ათასის შემდგომ რიცხ-
ვებში. შეიძლება იმ დროიდან, როცა ათი ათასმა სათვალავიდან
განდევნა სიტყვა ზევრ-ი.

აქამდე განხილულ მაგალითებში ოცეულები და ასეულები კომპოზიტის წინა წევრს, როგორც წესი, და კავშირის გარეშე უერთდებოდნენ. მაგრამ ათი ათასის შემდეგ ზოგჯერ კომპოზიტის წინა წევრს ასეულებიც კი და კავშირით უერთდება. არის შემთხვევა ერთ კომპოზიტში რამდენიმე და კავშირის ხმარებისა. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ მაშინ ათასეულები ბრუნვის ნიშანს აღარ იჩენენ უმეტეს შემთხვევაში:

ყოველნი დასნი სუამისნი აღბილვისაგამ მათისა სამოცდაოთხათასდა ოთხას: მრავალთ. 155.

და იქმნეს მომკუდარნი სრვასა მას შინა ათოთხმეტი ათასდაშვიდას: ხრონ. 55.

და მოსრეს ძეთა ისრაჴლისათა ბენიაშენი მას დღესა შინა ოცდახუთი ათასი-და-ას-ი კაცი: მსაჯულ, 20, 35.

სამოცდაექუსი ათასი-და-ხუთასი და-ცხრა სულ: წარტყ. 145.

ათ-იათ-ას-ი:

მიანიჭა მამასა გრიგოლს და მოყუასთა მისთა დრამად ათი ათასი: ქრესტ. ხანძ. 115.

ათ-ოთხ-მეტ-ი ათ-ას-და-შვიდ-ას-ი:

და იქმნეს მომკვდარნი სრვასა მას შინა ათოთხმეტი ათას და შვიდას: ხრონ. 55.

ოც-ი ათ-ას-ი:

განილაშქრა მის ზედა ანტიოხოზ ცხენოსნითა ოციათასითა: ხრონ. 145.

ოთხას-ი ათ-ას-ი:

და დაეცა სიმრავლე ოთხასი ათასისა ბრძოლისაჲ: ხრონ. 9.

ოთხ-ას-და-ორ-ი ათ-ას-ი:


მოსწყდა ოთხასდაორი ათასი: ქართ. ცხ. 118.

ხუთ-ას-ი ათ-ას-ი:

და მოსწყდნა მათგანნი კაცნი ძლიერნი დღესა ერთსა შინა საღმრთთა რისხვითა ხუთასჯერ ათასნი: იქვე. 99.

ექუს-ას-ი ათ-ას-ი:

წარმოვიდეს ძენი ისრაჴლისანი რამესით სოქოთად ექვს (ას) ათასი. მამაკაცი: გამოსლგ. 12, 37.

აქ თუ სუფიქს ი-ს დავეუმატებთ, უფრო სწორი იქნება: ექვს(ასი)
ათასი. სხვა ადგილას გვაქვს:
გამოზარდა ექუსასი ათასი ორმოცსა წელსა: კიმ. 1, 21. 
შვდ-ას-ორ-მე-ოც-ი ათ-ას-ი:
იქნა ღმერთიან შვდასორმოცი ათასი: ქართ. ცხ. 119.
ცხრა-ას-ოც-და-ათ-ორ-მეტ-ი ათ-ას-ი:
ცხრაასოცდაათორმეტი ათასი სული შეეძინა ქრისტეს: აგათანგ.
273.

ათ-ას-ჯერ ათ-ას-ი:

და ამა მე სიგლახაკისა-ებრ ჩემისა განკვამზადე სახლისა-თვს უფ-
ლისა ოქროდ ტალანტი ასი ათასი, და ვერცხლი ტალანტი ათასჯერ
ათასი, და რვალი და რკინაჲ, რომლისა არა არს რიცხვ: ხრონ. 84.
(ახლა მილიონს ვიტყვი ამ რიცხვისათვის).

თვლის სისტემის გარეშე რიცხვითი სიტყვები

ქართულ ენაში იხმარებოდა და იხმარება ისეთი რიცხვითი სიტყ-
ვები, რომლებიც თვლის სისტემაში არ შედის, მაგრამ რიცხობრივ
მნიშვნელობას მაინც ატარებს; ასეთ სიტყვებს ზოგჯერ გარკვეული
მნიშვნელობა აქვს, ზოგჯერ — გაურკვეველი.

გარკვეული მნიშვნელობით:

1. ბევრ-ი:

სიტყვა ბევრი თვლის სისტემაშიც გვხვდება და აღნიშნავს
10.000-ს, მაგრამ ძველი ქართულის მონაცემების მიხედვით უკვე
ათიათას-იც გვაქვს თვლის სისტემის სიტყვად.

სულხან საბა ორბელიანი თავის ლექსიკონში წერს:

„ბევრი ათი ათასი“, „ბევრის ბევრი მილიონი“.¹

ნ. მარი საგანგებოდ ეხება სიტყვა ბევრს.²

ბევრის შესახებ ამასვე ადასტურებს ა. შანიძე:

„განსაკუთრებული სიტყვები იყო: ერგახისი 50-ისათვის და ბევ-
რი 10.000-ისათვის“.³

1 ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1928.

2 Н. Марр, грам. др.литер груз. языка, Л., 1925, ст. 72.

3 ა. შანიძე, ძველი ქართული ენა, ძველი ქართული ენა და ლიტერატურა,
საშუალო სკოლების VIII კლასებისათვის, 1958, გვ. 258.



ეს ჩინებულად მტკიცდება ძველი ტექსტებითაც: რომელთაგან მოწყვდა ერთსა დღესა ათორმეტი ბევრი, რომელ არს ასოცი ათასი კაცი: ხრონ. 123.

მაგალითები:

დაეცნეს მრცხ ენით შენსა ათასნი და ბევრნი მრჯ -ნით შენსა და შენ არა მოგეახლნენ: დავითნი, 143.

ვრ მე იოტის ერთ მნ ათასები და ორმ ნ წაიქციის ბევრები: იქვე, 227.

წარსცის ერთსა მსახურთა მისთაგანსა სამი ბევრი ვერცხლი: ქრისტ. 75.

და მხოლოდ ამათი ოდენ რიცხვ აღვიდა ცხრად ბევრად მამაკაცად, იქვე, 207.

მოისრა სიმრავლე ათვრამეტისა ბევრისა: პართ. 293.

იყვნეს რიცხვთ ორასოცდაათორმეტ ბევრ: იქვე, 79.

ბევრიდან ნაწარმოებია ბევრეული და იგი უნდა აღნიშნავდეს ათიათასეულს.

2. მარჩბივი:

საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში ნათქვამი აქვს: „მარჩბივი — ტყუბი ცხოველი“.

ძველ ქართულში სწორედ ეს მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვას, მაგრამ აღნიშნავს ისეთ ტყუბს, როცა ადამიანია ნაგულისხმევი.

და აღივსნეს დღენი შობისა მისისანი და მარჩბივნი იყვნეს მუცელსა მისსა: დაბ. 25, 24.

რამეთუ იყვნეს ორნი ვისმე ყრმანი კორციელად ძმანი და მარჩბივად შობილი ერთსა შინა ჟამსა: წარტყ. 124.

3. მარჩობლი:

სიტყვა მარჩობლი ორ-ის მნიშვნელობით იხმარება.

საბა ორბელიანი წერს:

„მარჩობლი — ორი, გინა ორკეცი“.

არამედ სანდალნიმცა გასხენ, და ნუ შეიმოსთ მარჩობლსა კუართსა: მკზ. 6, 9.

DE -ში სათანადო ადგილი ასე გვაქვს:

და რაათა ესხნენ სანდალნი, და ნუცა შემოსად ორი სამოსელი.

დამტალთ მე მამათა ჩემთა თანა ქუაბსა მას მარჩობლსა, როგელ
იგი არს აგარაქსა მას ეფრონის ქეტელისასა: იქვე, 49, 29. ^{ეროვნული}
^{საგანმანათლებლო}
მარჩობლი სირცხვლი და დაწუვაჲ მიმდემი იყავნ თქუენდა: კიმ.
1, 290.

უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვები **მარჩივი** და **მარჩობლი** არ საჭი-
როებენ რიცხვით სახელს განსაზღვრებად: არ ითქმის: **სამი მარჩი-
ვი, ხუთი მარჩობლი**, მაშინ როდესაც ითქმის: **სამი ბევრი, ხუთი წყვი-
ლი** და სხვ.

4. ტყუბ-ი:

სიტყვა **ტყუბის** შესახებ საბა გვაუწყებს:

„უკეთუ იყვენნ ყრმა ორნი მუცელსა შინა, ეწოდების **მარჩივი**;
ხოლო პირუტყვთა ორთა ანუ ხულთა და მისთანათა ორთა ერთსა
ბუდესა შინა ეწოდების **ტყუბი**, ხოლო ხილთა და ხმილთა ორთა შე-
ერთებათა ეწოდების **ტყუბი** (**ტყუბი** განეყოფების **მარჩივისა**: უკე-
თუ იყვენნ ცხოველნი ორნი მუცელსა შინა კაცი, ცხენი და მისთანა,
მარჩივი არს; ხოლო ხილი ანუ ნაყოფი რამე იყოს, ორნი შეერთე-
ბულნი, ითქმიან **ტყუბი**; ხოლო ორნი ერთსა ბუდესა შინა **ტყუბად**
ითქმიან)“.¹

ეგვე მნიშვნელობა კარგადაა გადმოცემული ამ ნაწყვეტში:

„ადვილად მოსანადირებელნი ცხოველნი მრავლის-მშობელ არი-
ან. ვინა ცაჲცა ფრიად შობენ ყურდგელნი, თხანი და არნნი ველურ-
ნი ტყუბთ-მშობელ არიან, რათა არა მოაკლდეს ნათესავსა მათსა გან-
ლევითა კრცის-მჭამელთაჲთა. ხოლო ცხოველთ-განმბრწელნი იგი
მცირედ-მშობელ არიან: ვინაჲცა ერთისა ლომისა ძნიად სამე იქმნის
დედა ძუჲ ლომი“: ექვს. დღ. 109.

საგულისხმოა, რომ **ტყუბ** სიტყვისაგანაა ნაწარმოები ზმნები:
და **შეიტყბნა** იგინი და დასდვა კელი მათ ზედა და აკურთხნა იგი-
ნი: მკზ. 10. 16.

და მოიყვანა ყრმა და დაადგინა იგი შორის მათსა და **შეიტყბო** იგი
და პრქუა მათ: მკზ. 9. 36.

5. წყვილ-ი:

სიტყვა **წყვილი** გათვლის, აღრიცხვის პრაქტიკული დანიშნულე-

1 ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, თბილისი 1928.



ბის ტერმინია. მისი მნიშვნელობა ორ-ის გაგებას შეიცავს. ეს კარგად ჩანს ამ ამონაწერიდან: „უკეთუ არა პოვოს კეცხანს მნიშვნე წყვილნი გურიტნი ანუ ორნი მართუენი ტრედისანი“. ლევიტ. 5, 11,

წყვილ სიტყვასთან რიცხვითი სახელები განსაზღვრებად დაისმის: სამი წყვილი, ხუთი წყვილი და სხვ.

მოკლბა ბარკალი მისი და დაეკრა წვევი მისი წყვილთა მისთა: კიმ. 1, 231:

ორასი დრაჰკანი და ხუთი წყვილი თითოფერი სამოსელი: დაბ. 45, 22.

6. თითო-ე:

თითო-ე უახლოვდება ერთ-ის მნიშვნელობას.

ორიდან ან მრავლიდან თუ სათვალავი ან მოქმედება ეხება მხოლოდ ერთს, მაშინ ამას გამოვხატავთ სიტყვით თითო-ე. მაგალითად: ძველი ტექსტის ერთი ადგილი რომ გავაანალიზოთ, გამოვა: რამდენიმე ადამიანი უნდა დაესაჯათ თვალის ამოდებით. ყოველ ადამიანს ორი თვალი აქვს, მაგრამ აქედან ყოველი დასასჯელისთვის მხოლოდ ერთი თვალი ამოეღოთ, იტყოდნენ:

აღმოვქდოს თითოე თვალი თითოეულსა მათგანსა: კიმ 11, 55.

სიტყვა თითო-ე ზოგჯერ დაირთავს ეულ სუფიქსს და აღნიშნავს მრავალში ერთს. თითოეული-ი ისეთივე მნიშვნელობისა ჩანს, როგორც კაცად-კაცადი:

და რომელსამე მისცა ხუთი ქანქარი, და რომელსამე ორი, და რომელსამე ერთი, თითოეულსა მსგავსად თვისისა ძალისა: მთ. 25, 15.

DE -ში სათანადო ადგილი ასე იკითხება:

და რომელსამე მისცა ხუთი ქანქარი, და რომელსამე ორი, და რომელსამე ერთი, კაცად-კაცადსა მსგავსად ძალისა თვისისა.

სიტყვები თვთეულად და ზოგად ერთმანეთის საპირისპირო უნდა იყოს; ზოგად აღნიშნავს: ერთად, ერთიანად, მთლიანად, ხოლო თვთეულად აღნიშნავს: ცალ-ცალკე, თითოთითოდ.

და ყოველთავე ზოგად და თვთოეულად კაცად-კაცადსა ფრიადი საფასე განუყვეს: მთაწ. ცხ. 22.

ზოგ ძეგლში თითოეული გვხვდება, ზოგში კი თვთეული, ზოგშიც თვთოეული.

7. მხოლო-ე:

ნ. მარი წერს:

ერთის გვერდით ძველ ქართულში იხმარება მ-ხოლო-ო-ე.

არაეინ არს სახიერ, გარნა მხოლოა ღმერთი: მკზ. 10, 18.

სამართლიანად გადიდა ღმერთმან მხოლომან. ღირსო ბასილი
ღმერთშემოსილო: სას. პოეზ. აკ.

და დიდებასა მხოლოასა ღმთისასა არა ეძიებთ?: ი. 5, 44.

სიტყვა მხოლო ერთის მნიშვნელობით არის ისეთ გამოთქმებში,
როგორცაა მხოლოდ-შობილი:

რ ჩემო ევედრე ღ არ ა მომანიჭოს მე მხოლოდ-შობილი
ესე ჩემი: ოქროზ. 58.

მხოლოა ფორმის გვერდით მოიპოვება ხოლო, რასაც კავში-
რის ან ნაწილაკის ფუნქცია აქვს. მაგრამ სიტყვა ერთ-ის ში-
ნაარსთან მაინც არის მიმართებაში:

იგი ხოლო მარტოა მივის: ლ. 9, 38.

ხოლო მათ შეიპყრეს იგი, გუემეს და წარავლინეს იგი ცუდი:
მკზ, 12, 3.

8. მარტო-ე:

ერთ-ისა და მხოლოა-ს შინაარსით გვხვდება სიტყვა მარტოა.
მარტო და მხოლო რომ სინონიმებია, ეს კარგად ჩანს პარალელური
ტექსტიდან:

ხოლო ღღისა მისთვის და ჟამისა არაეინ იცის, არცა ანგელოზთა
ცისათა, არცა ძემან, გარნა მამამან მხოლომან: მთ. 24, 36.

ც-ში სათანადო ადგილი ასეა წარმოდგენილი:

ხოლო ღღმ იგი და ჟამი არაეინ უწყის, არცა ანგელოზთა ცათა
შინა, არცა ძემან, გარნა მამამან ხოლო მარტომან.

დაშთა მარტოა დედაკაცი იგი ქმრისაგან და ორთაგან ძეთა მის-
თა: რუთ. 1, 5.

არაეინ არს ქველისმოქმედი, გარნა მარტოა ღმერთი: მკზ. 10, 18.

9. ოდენ:

ნ. მარი აღნიშნავს: მნიშვნელობით ერთი მხოლოდ იხმარება
ოდენ.²

1 Н. Марр, Грам. др.лит. груз. языка, Л., 1925, 72.

2 იქვე.

ვ — რ ამას იტყოდა ოდენ მეფე იგი: კიმ. 1, 134.

რომელსა ოდენ დაიტევს კაცობრივი ბუნება: ქრესტ. გ. ათონ.

195.

დაარწმუნა ვ — დ თეოფილეს-გან ოდენ დასცხრეს ბრძოლა: იქ-
ვე, 280.

10. ზოგად:

სიტყვა ზოგად ისეთივე მნიშვნელობით იხმარება, როგორც ერ-
თად. ამას საუცხოოდ ადასტურებს ოთხთავის ეს ადგილი:

ც — ში ზოგად შეცვლილია სიტყვით ერთად:

რბიოდეს ორნივე ზოგად, ხოლო ერთი იგი მოწაფე წინა რბიო-
და: ი. 20, 4.

რბიოდეს ორნივე ერთად. და ერთი იგი მოწაფე წინა წაპტქრა
უადრეს პეტრესა.

წარილო შეშა იგი მსხუერპლისა და აღჰკიდა ისაკს, ძესა თვსსა.
მოილო ცეცხლიცა და დანაკი და წარვიდეს ორნივე ზოგად: დაბ.
22, 6.

გაურკვეველი მნიშვნელობის რიცხვითი სახელები:

1. მრავალ-ი:

სიტყვა მრავალი საგანთა სიმრავლეს აღნიშნავს გაურკვეველი
რაოდენობით.

იგი მცირედ-ს უპირისპირდება მნიშვნელობით:

რამეთუ მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ: მთ.
22, 14.

და პოვნა მუნ მრავალნი კაცნი: ქრესტ. 171.

და მრავალნი მეცნიერიცა მოვიდეს: უდაბნ. 25.

2. მცირედ-ი:

სიტყვა მცირედი ძველ ქართულში უპირისპირდება მრავალ-ს, აგ-
რეთვე გაურკვეველი მნიშვნელობით ნახმარ ბევრ-სა და ფრიად-ს.

მცირე ახალ ქართულში პატარას ნიშნავს, ხოლო მცირედი —
ცოტას.

იტყოდა მათ: სამკალი ფრიად არს და მუშაკნი მცირედ: ლ. 10, 2.
და დაყო მან მის თანა მცირედი ქამი: კიმ, 1, 20.

და შემდგომად მცირედისა ქამისა მიაქცია: იქვე, 191.

და შემდგომად მცირედთა წელთა გამოაცხადნა: ხელნაწ. № 192.

მცირე უდრის პატარახ:

რამეთუ მცირე ვიყავ ასაკითა: ქართ. ცხ. 158.

მცირენი სუეტნი აღჰმართნა მას ზედა: ხრონ. 231.

კინს სიტყვა მცირე-ს, პატარა-ს მნიშვნელობით იხმარება:

რამეთუ დიდთა მათ დღეთა აჩრდილნი კინს არიან: ექვ. დღ. 73.

ამისათვის შეიწირე კინი ესე ძღუენი: სას. პოეზ. მე.

3. ყოველ-ი:

სიტყვა ყოველი გაურკვეველი რაოდენობის სიმრავლეს აღნიშნავს. იგი რიცხვითი სახელის მორფოლოგიურ-სინტაქსურ თვისებებს ამჟღავნებს. ყოველი ზოგჯერ მრავალის მაგივრად იხმარება, რასაც ადასტურებს ეს ადგილი:

და ვრქუა სულსა ჩემსა: სულო, გაქუს ყოველი კეთილი დაუნჯებული მრავალთა წელთაჲ: ლ. 12, 19;

DE -ში ამის ადგილზე გვაქვს:

და ვპრქუა სულსა ჩემსა: სულო, გაქუს მრავალი კეთილი მრავალთა წელთაჲ.

და მიუგო ყოველმან ერმან: რუთ. 4, 11.

4. ფრიად-ი (ფრიად):

სიტყვა ფრიადი ახალი ქართულის ბევრ-ს უდრის; ძველ ქართულში მრავალ-ის მნიშვნელობით იხმარებოდა. აი, ამის თვალსაჩინო მაგალითი:

ფრიად-ლა მაქუს სიტყვად თქუენდა მიმართ: ი. 16, 12.

C -ში ეს ადგილი იკითხება:

მერმეცა მრავალი მაქუს სიტყუა თქუენდა.

უწყოდე მსაჯულო: ჩვენ არა თუ ერთი სასწაული ვქმნეთ, არამედ ფრიადი ღუაწლი ვყოთ: აგათანგ. 261.

ზოგჯერ ზმნიზედა ფრიად იმასვე გადმოგვცემს, რასაც ახალ ქართულში ძალიან: ფრიად კეთილი — ძალიან კარგი.

და დაადგრა ყოველთა ზედა საზღვართ ეგვპტისათა დიდძალი ფრიად: გამოსღვ. 10, 14.

სამოსელი მისი იქმნა ბრწყინვალი სპეტაკ ფრიად: მკზ. 9, 3.

იყო იგი ნაყოფიერ ფრიად: იქვე, 10, 22.

5. დიდძალ-ი:

კომპოზიტი დიდძალი რიცხობრივი მნიშვნელობის მატარებელია და ნიშნავს მრავალს, რაც მშვენივრად არის ასახული სამ შატბერდისეულ რედაქციაში:

და ვითარცა წიაღტდა იესუ მერმე კერძო, შეკრბა ერი დიდძალი მისა: მკზ. 5, 21.

С-ში სათანადო ადგილი ასეა:

და ვითარ წიაღმოკდა იესუ მერმე წიაღმო კერძო, შეკრბა ერი მრავალი მის თანა.

„დიდძალი“ თავისი აღრინდელი ფორმითა და შინაარსით ახალ ქართულშიც ხმარებაშია.

6. ბევრ-ი:

სათანადო ადგილას აღინიშნა ბევრ-ის გარკვეული მნიშვნელობა. მაგრამ ძველსავე ქართულში სიტყვა ბევრი გამოყენებულია გაურკვეველი მნიშვნელობითაც, ისე როგორც ეს ახალ ქართულშია:

ბევრი საბურველი მუცელსა შეიმოსა; მრავალთ. 258.

ბევრგზის თაყუანის-სცა ძმასა თვისსა: ხრონ. 46.

დაუტევა ცოლი თვისი და სხუანი ბევრნი ნათესავისა მისისა მახლობელნი. სამოც. 3.

7. ბევრეულ-ი:

ბევრეული გარკვეული მნიშვნელობის მქონე ბევრ-ისაგან არის ნაწარმოები და გაურკვეველი მნიშვნელობა აქვს, აღნიშავს სიმრავლეს ათი ათასებში.

რ ლსა წ ე დგანან ათასეულნი და ბევრეულნი: Описан. 54.

და პურიითა მცირითა გამოზარდნეს ბევრეულნი: ხელნაწ. № 19, 69.

და შეკრბა მის ქალაქსა შინა სიმრავლეშ ურიცხვ დღესასწაულისა მისთვის ათასეულისა და ბევრეულისა ერისა: იქვე, 179.

რომელი ქერობინთა ზედა ბევრულთაგან ანგელოზთა იდიდების. სინ. მრავალ. გვ. 17.

8. ურიცხვ-ი (ურიცხვ):

ურიცხვ ნაწარმოებია რიცხვ-ისაგან. იგი გამოყენებულია ისეთი სიმრავლისათვის, რომლის აღრიცხვა შეუძლებელია. ამიტომ გა-

ურკვეველი დიდი სიმრავლისათვის სიტყვა ურიცხი იხმარება.

რამეთუ რაჟამს შემოვიდეს სპარსნი იგი ქალაქად და ურიცხვ სული: წარტყ. 100.



დაღაცათუ ფრიად ურიცხუნი ეამნი ჰქონან საყდარსა სასა: ქრესტ. ხანძთ. 143.

9. აურაცხელი-ი:

აურაცხელი უარყოფითი მიმღეობაა აღ-რაცხა ზმნისა და იხმარება ისეთი გაურკვეველი სიმრავლის აღსანიშნავად, რომლის აღ-რიცხვა შეუძლებელია:

იყო რიცხვ მათი აურაცხელ: კიმ. 1, 257.

დაჰბადნა პირველად ზეცისა ძალნი და მკედრობანი ბევრეულნი აურაცხელნი: იქვე. 88.

უბრწყინვალეს არიან ნათელსა მზისასა აურაცხელითა ნაწილითა: იქვე. 319.

10. ესოდენ-ი (ესთენი):

სიტყვა ესოდენი საგნისა და მოვლენის გაურკვეველ სიმრავლეს აღნიშნავს, მიუთითებს, რომ მოქმელისათვის, პირველი პირისათვის, ახლობელია საუბრის საგანი, მოვლენა:

და ესოდენნი სასწაულნი ქმნნა წინაშე მათსა, და არა ჰრწმენა მისა მიმართ: ი. 12, 37.

C -ში გვაქვს: ესთენი:

რამეთუ დღესასწაულსა უცომოთასა მეცხრესა ეამსა ღამისასა ესთენი ნათელი მოეფინა ტაძარსა: ხრონ. 191.

შეუძლებელ არს განშორებაჲ შენ ჩუენ გ — ნ, რომელსა ესოდენთა წელთა ჩუენ შორის აღიზარდე: ანტოქ. 109.

11. ეგოდენ-ი (ეგდენი), ზმნიზედა ეგდენ:

ეგოდენი იმასვე აღნიშნავს, რასაც ესოდენი, ოღონდ მიუთითებს, რომ საგანი ან მოვლენა მეორე პირისათვის ახლობელია:

ეგოდენ ვერ უძლეთ ეამ ერთ ღვძებად ჩემ თანა: მთ. 26, 40.

ეგოდენცა განმიშუენო გვრგვნი: კიმ. 11, 12.

რად ეგდენ გულ-მედგარ ხართ: მკზ. 4, 40.

12. რაოდენ-ი (რაედენი):

რაოდენი კითხვითი ნაცვალსახელია. ნიშნავს ახალი ქართულის

რამდენს, რა ერთეულს, რა ერთს. გაურკვეველი რიცხობრივი მნიშვნელობაც აქვს.

ხოლო იესუ ჰრქუა მათ: **რაოდენი** პური გაქუს აბა? **რაოდენი** პრქუეს: შვიდი პური და მცირედ თევზი: მთ. 16, 34.

რაოდენნი სულნი ფილისკინისა მას შინა მამილასას დაიკლნეს, **რაოდენნი** სულ შიმშილითა და წყურვილით მოსწყდეს, **რაოდენნი** მღვდელნი და მოწესენი მახვლითა მოისრნეს: წარტყ. 103.

ზოგიერთ ძეგლში **რამდენი** შეცვლილია **რავდენით**:

რავდენი გოდორი აღიღეთ: მათ. 16, 9.

და უწყით სამე სიშორძ გზისა მის და **რავდენი** სავანძ არს სპარსეთითგან ვ — ე მუნამდე: ანტ. რავახ. 94.

13. **რაოდენიმე** (რავდენიმე):

რაოდენიმე მე ნაწილაკიანი რაოდენი ნაცვალსახელია. იგი მით უფრო გაურკვეველი რაოდენობის აღმნიშვნელია:

და პურობილ იყო იგი ჟამ **რაოდენიმე**: ქართ. ცხ. 205.

რამეთუ აღიღო ძე თვისი და **რავდენიმე** მოწაფენი და მთაწმინდას მოვიდა: იქვე, 17.

რ — შემდგომად **რავდენთამე** დღეთა მოუწოდა მას მეფემან მან: ანტ. რავახ. 95.

14. **მყოვარჟამ**:

სიტყვა **მყოვარჟამ** უდრის ახალი ქართული **დიღხანს**, გაურკვეველი რაოდენობის დროს გამოხატავს:

მიიღო ეკლესიად და ჰრეკდა იგი **მყოვარჟამ** და ძლით განუღეს კარი: კიმ. 1. 124.

და ვითარცა **მყოვარჟამ** ვიდოდეს: ანტოქ. 60.

რათამცა დავადგერ მის-თანა **მყოვარჟამ**: წარტყ. 135.

II რიგობითი რიცხვითი სახელის აღნაგობა

რიგობითი რიცხვითი სახელი წარმოქმნილია რაოდენობითი რიცხვითი სახელისაგან.

შეიძლება ითქვას, რომ ახალ ქართულში რიგობითი რიცხვითი სახელის წარმოქმნის მხრივ ძველთან შედარებით არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

უნდა ვიფიქროთ, რომ რაოდენობითისაგან რიგობითის წარმოქმ-

ნა უფრო გვიანდელი მოვლენაა; მანამდე რიგობითობის აღნიშვნა
ენაში განსაკუთრებული სიტყვებით უნდა ყოფილიყო შესაძლებლ
ლი. ან მეტყველების რომელიმე სხვა ნაწილი იქნებოდა რეგობითობის
რიცხვითი სახელის დანიშნულებით გამოყენებული. ნიკოლოზი

რიგი საგნის ადგილმდებარეობის მიხედვით ისაზღვრება: მათე
იმას ნიშნავს, რომ პირველთან შედარებით ის მათე ადგილზე არის:
ამდენად, რიგობით რიცხვით სახელებს ერთგვარი სემასიოლოგიური
მხარე აახლოებს ადგილის ზმნიზედებთან, როგორცაა: წინ, უკან
და სხვ.

ოთხთავის C რედაქცია ერთ ადგილს ასე წარმოგვიდგენს:

ყოველნი, რომელნი ჩემსა წინა მოვიდეს, მპარავნი იყვნეს და
ავაზაკნი, და არა ისმინეს ცხოვავართა მათ: ი. 10, 8.

ხოლო DE რედაქციაში ვკითხულობთ:

ყოველნი, რომელნი პირველ ჩემსა მოვიდეს, მპარავნი იყვნეს და
ავაზაკნი, არამედ არა ისმინეს მათი ცხოვართა.

რქუა მამამან თვსთა: გამოართუთ მაგას კუართი იგი წინაა და
შთააცუთ: ლ. 15, 22.

DE-ში ეს ადგილი ასე იკითხება:

გამოიღეთ სამოსელი იგი პირველი და შეკმოსეთ მას.

ან კიდევ:

რომელ მოსრულ იყო წინააღწარ სამარესა მას: ი. 20, 8.

DE-ში:

რომელი მოვიდა პირველად პეტრესა საფლავად.

და ასე:

ხოლო მრავალნი იყვნენ წინანი უკუანა, და უკუანანი წინა: მთ.
19, 30.

DE-ში გვაქვს:

ხოლო მრავალნი იყვნენ პირველნი უკუანა, და უკუანანი წინა.

საინტერესოა, რომ უკუანააღსკნელი უპირისპირდება პირველს:
რამეს დამწუხრდა, პრქუა უფალმან მან საყურძნისამან ეზოაის
მოძღუარსა თვსსა: მოუწოდე მოქმედთა მათ და მიეც სასყიდელი მათი;
იწყე უკუანააღსკნელთაგან, ვიდრე პირველთამდე: მთ. 20, 8.

პირველი უპირისპირდება მერმეს:



ბ იოვანემ მოიდროცა თავი თუ **ნსცა პირველად** მთავრისა და **მერმე ყლ** თა: ოქრობ. 14.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ სიტყვა **პირველი** წარმოშობით არის ზმნიზედა; და მან შემდეგში მიიღო რიცხვითი სახელის შინაარსი.

ზოგჯერ რიგობითის დანიშნულებით არის გამოყენებული რაოდენობითი რიცხვითი სახელი ზოგიერთი თანდებულისა და ნაწილაკის დართვით:

ხოლო **ექუს ჟამითგან** დაბნელდა ყოველსა ქუეყანასა: მთ. 27, 45.

С-ში სათანადო ადგილი რიგობითით არის გადმოცემული: და **მეექუსით** ჟამითგან დაბნელდა ყოველსა ქუეყანასა ზედა ან შემდეგი:

С-ში: და **მეექუსით** ჟამითგან დაბნელდა ყოველსა ქუეყანასა ზედა **მიცხრა ჟამამდე**: მთ. 24, 45.

DE-ში სათანადო ადგილი რაოდენობითისა და რიგობითის შენაცვლებით იკითხება:

ხოლო **ექუს ჟამითგან** დაბნელდა ყოველსა ქუეყანასა, ვიდრე **მეცხრედ ჟამამდე**.

С-ში ვკითხულობთ: და იყო ვითარ **ექუს ჟამ** ოდენ, და ბნელ იქმნა ყოველსა ქვეყანასა ვიდრე **ცხრა ჟამამდე**: ლ. 23, 44.

DE-ში სათანადო ადგილი რიგობითით არის წარმოდგენილი: და იყო ჟამი **მეექუსმ**, და ბნელი იყო ყოველსა ქუეყანასა ვიდრე **მეცხრედ ჟამამდე**.

გვხვდება ფორმა **მიერთამდე** მიწინდებულისა და-მდე თანდებულის დართვით:

არავინ არს რ **ლი** იქმს კეთილსა, არავინ არს **მიერთამდე**: და-ვითნი 86.

რნ **შცა** ყო კეთილი, არავინ არს **მიერთამდე**: იქვე, 34.

ყლ ივე მისდრკეს ერთბამად და უკმარ-ქმნეს. არავინ არს **ქერადობის ზმნიზედის** დართვით, როგორცაა გზის, რაოდენობითი ზოგჯერ რიგობითის ფუნქციას ასრულებს:

С-ში: და მან სამ **გზის** რქვა მათ: რაჲ ძვრ უქმნიეს ამას?.

DE-ში:

ხოლო მან მესამედ პრქუა მათ: რა ბოროტი უქმნიეს ამას¹ ახლა განვიხილოთ რაოდენობითი რიცხვითი სახელებისგან მოქმნის გზით მიღებული რიგობითი რიცხვითი სახელები: მე-ორ-ე, მე-ოც-ე, ოც-და-მე-ხუთ-ე... — ასეთი წარმოქმნა ტიპობრივია რიგობითი რიცხვითი სახელისათვის ქართულში.

რიგობითის წარმოებისას რაოდენობითი რიცხვითი სახელი ფუძის სახით არის გამოყენებული: ორ, ხუთ, ოც, ორმეოცდაათ და სხვ.

რიგობითის წარმოქმნა სათანადო აფიქსებით ხდება. ამ აფიქსების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში შემდეგი მოსაზრებებია გამოთქმული: „რიგის აღსანიშნავად რაოდენობით რიცხვით სახელთა ფუძეს დაერთვის პრეფიქს-სუფიქსი მე-ე, რომელიც იგივეა, რაც ხელობის სახელთა მსგავსივე მაწარმოებელი: მე-ორ-ე, მე-სამ-ე, მე-ოთხ-ე, მე-ხუთ-ე... მე-ათ-ე, მე-თერთმეტ-ე, მე-თორმეტ-ე... მე-ას-ე, მე-ათას-ე და სხვ.“¹

ამგვარად, რიგობითი რიცხვითი სახელის წარმოქმნელია პრეფიქს-სუფიქსი მე-ე.

არჩ. ჩიქობავას სიტყვით: „წარმოებ სახელთა სხვა ჯგუფების ეგვე მე-უნდა გვქონდეს რიგითი რიცხვითი სახელების საწარმოებელ მე-პრეფიქსში: მე-ორ-ე, მე-სამ-ე, მე-ოთხ-ე, მე-ხუთ-ე... მე-ათ-ე“.²

როგორი წარმოშობისაც უნდა იყოს პრეფიქსი მე ან სუფიქსი ე, ძველ სალიტერატურო ქართულში რიგობითის საწარმოებლად ორივე აფიქსი ჩანს გამოყენებული. ჩვენც წარმოქმნის სახეებს ამის მიხედვით განვიხილავთ.

სუფიქსი ე ყოველთვის ბოლოში მოუდის რიგობით რიცხვით სახელებს და წარმოქმნის თავისებურების მიღებაში ის არ მონაწილეობს.

პრეფიქსი მე კი ადგილმდებარეობის მიხედვით სხვადასხვა სურათს გვაძლევს.

მარტივად მიჩნეულ რაოდენობით რიცხვით სახელებთან (ორი,

1. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფ., 132.

2. არჩ. ჩიქობავა, სსხ. ფუძ. უძვ. აგებ., 180.

ათი, ოცი, ასი და სხვ.), აგრეთვე რიცხვით-კომპოზიტებთან, რომლებშიც და კავშირი არ მონაწილეობს (ათ-ხუთ-მეტ-ი, ორმეტ-ხუთ-მეტ-მეოცი და სხვ), მე პრეფიქსი ყოველთვის სიტყვის თავში გვკვლავდება: მე-ორ-ე, მე-ათ-ე, მეოც-ე, მე-ას-ე, და სხვ.

სხვაგვარი სურათია, როცა კომპოზიტში და კავშირი მონაწილეობს; მაშინ პრეფიქსი მე კომპოზიტის შიგნით ექცევა და და კავშირის მომდევნო ადგილს იკერს: ოც-და-მე-ხუთ-ე, ას-და-მე-ცხრ-ე, და სხვ.

როცა რაოდენობითის აღნაგობას ვიხილავდით, ნათელი გახდა, რომ და კავშირით კომპოზიტში ყოველი ცხრამეტი ერთეულთაგანი (ერთიდან ცხრამეტის ჩათვლით) უერთდება ოცეულებს, ასეულებს და ათასეულებს. მე პრეფიქსი კომპოზიტის შიგნით სწორედ ასეთ მაგალითებში გვხვდება.

აღსანიშნავია ერთი გარემოება: ძველ ქართულში გვქონდა ას-და-ხუთ-ი, ათას-და-შვდ-ი; ამის მიხედვით რიგობითის წარმოება იყო: ას-და-მე-ხუთ-ე; ათას-და-მე-შვდ-ე. ახალ ქართულში ასეულებსა და ათასეულებს ცხრამეტერთეულთაგანი და კავშირით აღარ უერთდება, გვაქვს: ასხუთი, ათას-შვიდი...; რიგობითის წარმოება ზოგჯერ ისევ ძველი ჩანს, იმიტომ რომ კომპოზიტის შიგნით მე იმ შემთხვევაში გვქონდა, როცა ცხრამეტ ერთეულთაგანი და კავშირით ერთოდა ოცეულებს, ასეულებსა და ათასეულებს.

მაგრამ გამონაკლისის სახით ძველ ქართულშივე გვხვდება ისეთი შემთხვევები, როცა კომპოზიტში და კავშირი მონაწილეობს, მაგრამ მე მაწარმოებელი სიტყვის თავშია დართული:

და თავდასა იესუს ეწყო მეოცდაათესა წელსა, რომელი საგონებელ იყო ძედ იოსებისა, იაკობისა, ელისა: ლ. 3, 23.

ასეთი მაგალითები ძველი ქართულისათვის წესობრივი არ არის. შეიძლება ნაკლებად დაოსტატებული მწერლის ან გადამწერის შეცდომა იყოს, ან უნებლიე შეცდომა აღარ გაასწორეს.

ახლა მოვიყვანოთ მაგალითებს ტექსტებიდან და დავალაგებთ თანამიმდევრობით:

პირველ-ი:

და პირველი იგი ქმარი მოკულა და არა ესუა მას შვილ: მთ. 22, 25.

მე-ორ(მ), (მეორე):

ესე კულად **მეორმ** სასწაული ქმნა ისესუ: ი. 4, 54.

მე-ოთხ(მ), (მეოთხე):

განსრულდა ესე **მეოთხმ** წელი: კიმ. 1, 20.

ხოლო **მეოთხე** ნათესავი მოიქცეს აქა: დაბ. 15, 16.

მე-შვდ(მ), (მეშვიდე):

და **დღმ** იგი **მეშვდმ** წმინდა წოდებულ იყოს თქუენდა: გამოსლვ.
12, 16.

მეშვდე იგი **დღმ** შაბათი არს: იქვე, 16, 26.

მე-ცხრ(მ), (მეცხრე):

ხ არს **მეცხრმ** თუშ: ხელნაწ. № 19, 53.

„რვა“ და „ცხრა“ ფუძეებს ე ბოლოსართის დართვისას ეკვეცება
ბოლო ა:

მე-ათ(მ), (მეათე):

არს **მეათმ** იგი **დღმ** თვსა მის მეშვდისა. ხელნაწ. № 19, გვ. 32.

მე-ათერთმეტ-ე:

და იყო ესე **მეათერთმეტესა** წელსა თვედოსი მეფისა მცირისსა:
ოქროზ. 254.

მე-ათხუთმეტ-ე:

წელსა **მეათხუთმეტესა** იერუსალმისა წარტყუენვითგ **ნ...** ხუ-
ასრო მეფე იგი სპარსთაჲ მოიკლა: წარტყ. 246.

მე-ოც-ე:

მას **შ** ა დაესრულა **მეოცე** წელი ეამი ჰასაკისა მისისაჲ: კიმ.
1, 95.

ოც-და-მე-ერთ-ე:

ხოლო ინდიკტიონსა ოთხსა და **ოცდამეერთესა** წელსა პერეკლეს
მეფობისასა დაიპყრა პატრიარქობა იერუსალმისაჲ ნეტარმან მოდის-
ტოს: წარტყ. 148.

ოც-და-მე-ათ-ე:

ხოლო მამამან ჩუენმან საბა მას ეამსა ოდენ დაასრულა **ოცდამე-
ათმ** წელი: იქვე, 146.

ოც-და-მე-ათექუსმეტ-ე:

აწ უკუე იყო პავლმსი ესე **ოცდამეათექუსმეტესა** წელსა: იქვე, 3.



მე-ორმეოც-ე:

და ვ ა იყო განთიადი მეორმეოცისა დღისა შეკრბე^{ქრესტ} ჟღერ^{სწავ} ვალი ფარისეველთაგანი: არიმათ. 69.

ორმეოც-და-მე-ერთ-ე:

აწ უკუე ორმეოცდამეერთესა წელსა აგვსტოსის მეფობისა... სრულ იქმნა სიტყუა იგი: ხრონ. 150.

მაგრამ ორმეოცდაათის რიგითი ფორმა უმეტესად ერგახისით არის გადმოცემული:

დღესა შეერგახესა პირველად ძრეაჲ რაჲმე და ბგერაჲ ესმოდა მღვდელთა: ხრონ. 159.

სამეოც-და-მე-ექუს-ე:

და სამეოცდამეექუსეთგან ვიდრე ასოთხმეოცდამეექუსედამდე იქნებიან შორის ასოცნი ოლკმპიადონი: ხრონ. 154.

მე-ოთხმეოც-ე:

დიდებისა გამოთქუმაჲ უადრე შე-ვერ-უძღე, არაჲმეღ მეოთხმე-ოცესა წელსა აღსრულებასა მისს: კიმ 11, 140.

ოთხმეოც-და-მე-ცხრ-ე:

ხოლო ჟამთა პასაკისა მისისათა ოთხმეოცდამეცხრესა წელსა შე-ისუენა მამამან ჩნ მან საბა: კიმ. 1,23.

მე-ას-მ (მეასე):

ხ ერთი იგი მეასმ გარდამოეარდა ზეციით: ბოლნ. ქად. 27.

ას-და-მე-ორ-ე:

ხოლო იყო გარდაცვალება ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლი-სი რიცხუსა წელიწადთა მისთასა ასდამეორესა წელსა: ქრესტ. ხანძთ. 154.

ას-და-მე-ცხრაშეტ-ე:

პირველი ფსალმუნი ასდამეცხრაშეტე: „ქირსა ჩემსა უფლისა მიმართ ღალად ვყავ და ისმინა ჩემი“: წარტყ. 128.

ასოთხმეოც-და-მე-ექუს-ე:

ვინაჲცა მეფე იქმნების პროდე ასოთხმეოცდამეექუსესა ოლკმპია-დოსა: ხრონ. 154.

მე-ხუთას-ე:

არს მფრინველი რაჲმე პინდო სახელი პრქვან მას ფვნიქს მეხუ-

თასით წლით მოვიდეს ხეთა ლიბანისათა: ფიზოლოგი, 13.



ექუსას-და-მე-ერთ-ე:

და ექუსასდამეერთესა წელსა ცხოვრებისა მისისა გამოვიდა ქართული ენციკლოპედია, დობნისაგან, ხრონ. 12.

ექუსათას ხუთასორმოც-და-მე-ათოთხმეტ-ე.

გარდაცვალებითგან მისით დაიწერა ცხოვრებაჲ ესე... დასაბამით-გან გარდასრულთა წელთა ექუსათასხუთას ორმოცდამეათოთხმეტე-სა წელსა: ქრესტ. ხანძთ. 15, 154.

საერთოდ დიდი რიცხვების რიგობითის ფორმები ნაკლებად გვხვდება ძველ ქართულში.

წარმოდგენილი მაგალითები რაოდენობითი რიცხვითი სახელისაგან რიგობითის წარმოების ტიპობრივია. მაგრამ, როგორც აღნიშნული იყო, გვხვდება საერთო წესიდან გადახვევის შემთხვევებიც: მოსალოდნელი იყო **ოც-და-მე-ერთ-ე**, მაგრამ გვაქვს: **მე-ოცდაერთ-ე**.

და ესროდეს ფილაკანითა ძლიერად ვიდრემდის დასცეს ზღუდჷ ქალაქისა **მეოცდაერთესა** დღესა: წარტყ. 98.

იშვიათი შემთხვევების სახით გვხვდება: **მე-ექუსასოთხმეოც-ე**, მაგრამ და კავშირის გამო არის: **ექუსასდამეოთხმეოცე**:

წელსა **ექუსასდამეოთხმეოცესა** მეფობისა ავალის უღმრთოდასა: Описан. 119.

მოსალოდნელი იყო **მე-ორასერგას-ე**, მაგრამ გვაქვს: **ორას-მე-ერგ-ას-ე**:

რამეთუ **ორასმეერგასესა** წელსა განიყოს მეფობა მათი: ქართ. ცხ. 152.

გვაქვს ასეთი მაგალითიც: **ხუთ ათას მეხუთასესა**:

ხუთათას მეხუთასესა წელსა... სრულ იქმნა სიტყუაჲ იგი: ხრონ. 150.

მაგრამ ასეთი მაგალითები ძლიერ უმნიშვნელო რაოდენობით გვხვდება და ქართული ენის რიგობითი სახელების აღნაგობის ტიპობრივ მოვლენად არ ჩაითვლება, ისე როგორც რაოდენობითი სახელების აღნაგობის ტიპობრივ მოვლენად არ მიიჩნევა: **ას-და-ოცი**, **ექუსას-და-ოთხმოცი** და სხვ.



წილობითი რიცხვითი სახელი მნიშვნელობით რაოდენობის აღნიშვნას გამოხატავს, იგი გარკვეულ რაოდენობას გამოხატავს.

ა. შანიძე განმარტავს: „წილობითი ჰქვია ისეთ სახელს, რომელიც მთელის ნაწილს რიცხობრივი შეფარდებით გამოხატავს: მესამედი, მეოთხედი, მეთერთმეტედი, მეოცედი, ოცდამეერთედი და სხ.“¹

ცხადია, წილობითი რიცხვითი სახელი უფრო გვიან ჩნდება ენაში სავსებით.

საფიქრებელია, რომ თავდაპირველად წილობითი რიცხვითი სახელის ფუნქციას ცალკე დამოუკიდებელი სიტყვა ასრულებდა. წილობითი სახელის წარმოქმნა გვიანდელი მოვლენა უნდა იყოს.

წილობითის წარმოქმნა ერთ შემთხვევაში ხდება რაოდენობითი რიცხვითი სახელებისაგან ნა-ალ აფიქსთა მეშვეობით, ხოლო სხვა შემთხვევაში დ ბოლოსართით, რომელიც ვითარებითი ბრუნვის ნიშანია და წარმომქმნელის როლში გამოდის. ასეთ შემთხვევაში წარმოქმნა ხდება რიცხობითი რიცხვითი სახელებისაგან.

ნა-ალ წარმოქმნის ტიპი უფრო ადრინდელად არის მიჩნეული.

ა. შანიძე წერს: „წილობის აღსანიშნავად რამდენსამე სიტყვაში გადმონაშთის სახით შენახულია ნა-ალ-იც: ნა-სამ-ალ-ი, ნა-ოთხ-ალ-ი, ნა-ათ-ალ-ი, ნა-ახ-ალ-ი“².

მაგრამ იქვე ნათქვამი აქვს: „წილობით სახელთა წარმოებისათვის ვითარებითის ბრუნვის ნიშანია გამოყენებული — რიცხობითის ვითარებითი ფუძეა წილობითისა“.

არნ. ჩიქობავა აღნიშნავს: „...წილადი რიცხვითი სახელისათვის გამოიყენებოდა ნა-ალ ნა-არ წარმოება. მაშასადამე, წილად რიცხვით სახელთა აღნიშვნა მე-ედ ტიპისათვის მეორეულია“³.

ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში ნა-ალ წარმოების ტიპი არ შეგვხვებოდა.

სულ ორიოდ მაგალითი შეგვხვდა მე-ედ აფიქსებიანი წილობითი რიცხვითი სახელისა.

1 ა. შანიძე, ქართული გრამატიკა, საფუძ., 39.

2 ა. შანიძე, იქვე, 133.

3 არნ. ჩიქობავა, სახ. ფუძ. უძველესი, გვ. 60.

დაუტევნა ეკლესიასა სამნი ცხენნი კარგი და სხუა მეოთხედნი
ლისა საქონელისა მისისა: ათონ. ივერ. მონასტ. 252.

მომეც მე სიმინდაა მხუმელად საწყაული ორი და ქსესტისა მეოთხედნი
ოთხედი ღვინოა ზედაშედ: კიმ. 1, 209.

ნაწილის აღსანიშნავად გამოყენებულია აგრეთვე — ეულ სუ-
ლიქსი.

და მისცა მას აბრაჰამ ათეული ყოვლისაგან: დაბ. 14, 20.

ვიმარხავ ორგზის შაბათსა შინა, ათეულსა შევწირავ ყოვლისაგან
მონაგებისა ჩემისა: დ. 18, 12.

წილობითი რიცხვითი სახელის გამოსახატავად ძველ ქართულში
უფრო გამოყენებული იყო შემდეგი დამოუკიდებელი სიტყვები: ნა-
ხევარი, წილი, კერძოა, ზოგი, და სხვ.

1. ნახევარ-ი:

სიტყვა ნახევარი წარმოქმნილად არის მიჩნეული.¹

ი. ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი განმარტავს: „...ნახევარი, ნასამალისა და
ნათხალის მსგავსად რომ თანამედროვე რიცხვითი სახელისაგან ვა-
წარმოოთ, მნიშვნელობით ნაორალს უდრის...“²

ნახევარ-ი არც ისე ხშირად გვხვდება ძველ ქართულში.

წარმოვადგენთ რამდენიმეს:

მათ მიუპყრეს მას თევზისა ნახევარი და თავლისა გული: მთ.
9, 16.

მაქუს მეორე წელი და ნახევარი საპყრობილესა შინა: კიმ. 11, 56.

ნახევარი ყოვლისა მეფობისა ჩემისა მოგცე შენ: აგათან. 270.

ხოლო მეხუთასესა და ნახევარსა წელსა მოვიდეს ქუეყანად:
ქრესტ. 8.

ნახევარ-ისგან ზმნაც არის ნაწარმოები:

და მოართვენ იგინი მღდელსა და შეწიროს იგი მღდელმან მან
ცოდვისა მისისათვის პირველად, წარჰკუეთოს თავი მისი მღდელ-
მან მან საქციელითგან და არა განახევროს: ლევიტ. 5, 8.

2. კერძო — (კერძოა):

სიტყვა კერძო რამდენიმე მნიშვნელობით იხმარება ძველ ქარ-

1 იხ. ნ. მარის: Займствов. числит. в яфетических языках, ტ. I, 1933, გვ. 55.

2 ქართ. კავკ. ენების თავდაპირვ. ბუნება და ნათ., 1937, 403.

თულში. მის ერთ-ერთ მნიშვნელობად ნახევარი მიაჩნიათ (ნ. მარე).¹
მაგალითები:

მოიქსენენ ხუცესნი დკ — ნნი, კერძო-დკ — ნნი, დედალიდნუკენ-
ნი, წიგნის მკითხველნი მონაზონნი, თარგმანნი მაფუცებელნი
ლ — თის მოყუარენი ქალწულნი: იაკობ. ეამ. 65.

და ქმენ კიდობანი წამებისაა ძელთაგან უღბოველთა ორ წყრთა
და კერძო სიგრძ მისი, წყრთა და კერძო სივრც მისი და წყრთა და
კერძო სიმაღლ მისი: გამოსალვ. 25, 9.

ნ. მარი ადასტურებს, რომ კერძო ნიშნავდა ნახევარს; მოჰყავს
საამისო მაგალითებიც:

„და სიმაღლე ურმის თუალთა მათ წყრთა და კერძო;
და სიმაღლე ერთისა ეტლისა „წყრთა და ნახევარი“.²

ვ. ნაწილი-ი:

სიტყვა ნაწილი წილადს გამოხატავს. ამ სიტყვას გარკვეულობი-
სათვის რიცხვითი სახელებიც დაერთვის მსაზღვრულად.

მომეც მე ნაწილი სამკვდრებელისა და განუყო მათ საცხოვრებე-
ლი: ლ. 15. 12.

წარმოიღეს სამოსელი მისი და განიყვეს ოთხად ნაწილად: ი.
19, 23.

4. ზოგი-ი:

სიტყვა ზოგი რამდენიმე მნიშვნელობით გვხვდება ძველ ქარ-
თულში. ამ სიტყვის ერთ-ერთი მნიშვნელობა არის: ნაწილი, ნახე-
ვარი.³

აჰა, უფალო, ზოგი ნაყოფთა ჩემთა მივსცე გლახაკთა: ლ. 19, 8.

ესე არს შესაწირავი ჰარონისი და ძეთა მისთა. რომელი შეწი-
რონ ღმრთისა დღეს მას, რომელსა სცხო მათ მეათეშ სათუელისაა
სამინდრო მსხუერპლად სამარადისოდ, ზოგი მისი განთიად და ზოგი
მისი მწუხრი: ლევიტ. 6, 20 (13).

1 Н. Марр, Заметки по текст. св. писания. XV, т. II, в II, 1913, стр. 263.

2 იქვე.

3 კ. კეკელიძე, ტიმოთე ანტიოქიელი, ენიკის მოამბე, VII, 1940, გვ. 144; არნ, ჩიქობავა, ენიკის მოამბე, 1937; ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფო-
ნია-ლექსიკონი, 1949, გვ. 210; Н. Марр, Физиолог, TP., VI, 1904, გვ. XV.



მორფოლოგიურად რიცხვითი სახელი ეკუთვნის სახელთა ჯგუფს, როგორცაა არსებითი და ზედსართავი სახელი. ამდენად მასწავლებლის სიათებს ბრუნვისა და რიცხვის კატეგორიები სემასიოლოგიური მხარის გათვალისწინებით.

მაგრამ რიცხვითი სახელი თავისებური მეტყველების ნაწილია და ამდენად ბრუნვისა და რიცხვის კატეგორიების გამოვლინებაში სხვაობას გვაჩვენებს.

განვიხილოთ რიცხვითი სახელის ბრუნება და მასთან დაკავშირებული თავისებურებანი.

ჯერ ორიოდ სიტყვა წრფელობითის შესახებ.

წრფელობითის ფორმას პირველად ქართული ენის პირველი გრამატიკოსები შეეხნენ (წ. შანშოვანი, ანტონ I და სხვ.).

ბ. მარის „ძველი ქართული სალიტერატურო ენის გრამატიკის“ 28-ე პარაგრაფში ვკითხულობთ:

„в ед. числе падеж книжного и народного склонения slo-
гаются в одно грузинское древнелитературное склонение,
образуют одно сложное склонение с восемью падежами:

НФ-неоформлённый (от неопределённого вида книжного скло-
нения“)¹.

ამგვარად, ბ. მარმა უწოდა წრფელობითის ფორმას გაუფორმე-
ბელი და ბრუნვათა რიგის პირველ ადგილზე მოათავსა იგი. სხვა
ადგილას შემდეგს ამბობს ბ. მარი:

„Ни Зв., ни тем более нф. не представляют органическо
падежа“². Неоформленный падеж играет роль рода падежей
именно-Им., д I и II н.“³

მეტად საყურადღებოა ეს უკანასკნელი შენიშვნა, რომ გაუფორ-
მებელი ბრუნვა ასრულებს მთელ რიგ ბრუნვათა როლს და ბ. მარს
ჩამოთვლილი აქვს იგი.

მაგრამ ბ. მარს არ უთქვამს, რომ „გაუფორმებელ ბრუნვას“ აქვს
დამოუკიდებელი ფუნქცია.

1 Н. марр, Грамм. древнелит. груз. языка, გვ. 19.

2 იქვე

3 იქვე, გვ. 29.



ა. შანიძე წერს:

„ძველ ქართულში რვა ბრუნვა იყო: წრფელობითი, სახელობითი, წოდებითი, მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი, ვითარებითი. ამათგან წრფელობითი უნიშნო იყო და სუფთა ფუძეს წარმოადგენდა. ყველა დანარჩენს თავ-თავისი ნიშანი ჰქონდა მხოლ. რიცხვში“.¹

ამრიგად, ა. შანიძემ გვიჩვენა წრფელობითის ფორმა, მაგრამ არსად არ აღუნიშნავს, რომ „წრფელობითს“ საკუთარი, დამოუკიდებელი ფუნქცია აქვს.

ა. შანიძეს ფრიად საყურადღებო თვალსაზრისი აქვს გატარებული: აქ ბრუნვათა სათვალავი მარტო „თანაზომიან ფორმათა შევირისპირების“ ნიადაგზე კი არ არის დადგენილი, არამედ ფორმის ფუნქციის თვალსაზრისითაც. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ ადამიანთა სახელებს მარტო სამი ბრუნვა ექნებოდა. როგორც ცნობილია, ძველ ქართულში ადამიანის სახელს სამ ბრუნვაში — სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში — ერთნაირი ფორმა აქვს.

აქვს თუ არა წრფელობითის ფორმას ქართულ ენაში დამოუკიდებელი ფუნქცია?

ცნობილია, რომ წრფელობითის ფორმა ერთადერთი იყო ქართული ენის განვითარების გარკვეულ საფეხურამდე.

არნ. ჩიქობავა წერს:

„ესაა ოდენფუძიანი კონსტრუქცია, ინდეფინიტური კონსტრუქცია, გაცილებით უფრო ძველი, ვინემ ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქციები (ორივე ეს კონსტრუქცია მიღებულია ამ ოდენფუძიანი კონსტრუქციის დიფერენციაციის პროცესში) და სინტაქსურ კონსტრუქციათა ისტორიის თვალსაზრისით უადრესად ფასეული“.¹

ინდეფინიტური კონსტრუქცია ერთადერთი იყო გარკვეულ დრომდე. ქართული ენის ზმნის აღნაგობაში მომხდარმა გარდატეხამ გამოიწვია ამ კონსტრუქციის რღვევა და დიფერენციაციის პროცესში მივიღეთ რამდენიმე ახალი კონსტრუქცია (საკუთარი სახელების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ): სახელობითისა და მოთხრობითისა.

1 ა. შანიძე, ძველი ქართული ენა, ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, საშუალო სკოლების VIII კლასებისათვის, 1947, გვ. 237.

2 არნ. ჩიქობავა, ევატ. კონსტ. პრობლემა იბერ. კავკას. ენებში, 1949, გვ. 3.

თუ დაიტოვა, მაშინ ასეთ დიფერენციაციას აღარც აზრი ექნებოდა და აღარც სინტაქსური საფუძველი. ინდეფინიტური კონსტრუქციის უძველესი მონაცემები გვაქვს ასევე ი სიტყვების სახით: მე, შენ, ჩვენ, თქვენ. მაგრამ არასოდეს და არავის ამ სიტყვათა ფორმებისათვის „წრფელობითი“ ბრუნვა არ უწოდებიათ.

ძველ ქართულში არ არსებობს „გაუფორმებელი“ სახელი, რომელსაც იქვე გაფორმებული არ ენაცვლებოდეს იმავე ფუნქციით. შემოინახა რა ძველმა ქართულმა ოდენფუძეები, ისინი ახალ კონსტრუქციაში მონაწილეობენ ახალი ფუნქციით.

ძველ ქართულ ენაში გარდამავალ ზმნასთან სამი სახის კონსტრუქცია გვაქვს: ნომინატიური, ერგატიული და დატიური. ამ შინაგანი წყობის თვალსაზრისით გარდამავალმა ზმნამ მეტი კონსტრუქცია არ იცის.

ამის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ძველ სალიტერატურო ქართულში წრფელობითი ბრუნვა არა გვაქვს. გვაქვს სახელის გაუფორმებელი სახე, რომელიც სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს კონსტრუქციის შესაბამისად.

ივ. იმნაიშვილს გამოთქმული აქვს მოსაზრება „წრფელობითი“ ბრუნვის შესახებ. მისთვის პრობლემას არ წარმოადგენს, რომ როგორც საზოგადო სახელების „წრფელობით“ ბრუნვას დამოუკიდებელი ფუნქცია აქვს, ისე საკუთარ სახელთა „წრფელობით“ ბრუნვასაც დამოუკიდებელი ფუნქცია, **მეოთხე** ფუნქცია მოეპოვება.

ივ. იმნაიშვილმა ორი ზმნა — **რქუმა** და **წოდება** — დაიმოწმა საკუთარ სახელთა „წრფელობითის“ ფუნქციის არსებობისათვის:

1. წრფელ: პანსოფი მეწოდების... კიმ. 49, 12.
 2. სახელ. ესავს ბრძენი პამსოფი. იქვე, 52, 28;
 3. მოთხრ: საკ რველმან პანსოფი იწყო... იქვე, 50, 26, 59, 18;
 4. წოდ: უფალო ჩემო პანსოფი.. იქვე, 56, 29.
- იგი დასძენს: „ამ პარალელური მაგალითების მიმოხილვის შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ წრფელობითი ბრუნვა მტკიცედ უდ-

გას გვერდში სახელობითს, მოთხრობითსა და წოდებითს, მისი სწავლების არე ისე ფართო არ არის, როგორც დასახელებულ ბრუნვებში, ის მხოლოდ მეტად განსაზღვრულ შემთხვევებში გვხვდება. უკეთავერესად „რქუმა“ და „წოდება“ ზმნებთან, მაგრამ რომ ამ შემთხვევებშიც მხოლოდ წრფელობითი არის წარმოდგენილი სისტემებრ და არა სხვა ბრუნვა, ეს ამტკიცებს, რომ წრფელობითი ისეთივე კანონიერი ბრუნვაა საკუთარ სახელებისათვის, როგორც სახელობითი, მოთხრობითი და წოდებითი.¹

სტეფანე ჩხენკელს თავის შრომაში „საკუთარ სახელთა ბრუნება ოშკური ხელნაწერის მეფეთა წიგნებში“ „წრფელობითი“ ბრუნვა ცალკე არა აქვს გამოყოფილი. აქ „წოდება“ და „რქუმა“ ზმნებთან დაკავშირებული სახელები შეტანილია სახელობითი ბრუნვის წყებაში.²

სველ ქართულში „გაუფორმებელი“ რიცხვითი სახელი დიდი რაოდენობითა და სხვადასხვა ფუნქციით გვხვდება, მაგრამ არ არის შემთხვევა, რომ წრფელობითს გაფორმებული ბრუნვა არ სცვლიდეს.

რა იყო იმის მიზეზი, რომ რიცხვითი სახელი „წრფელობითის“ ფორმით შედარებით უხვად არის შემონახული?

ამის მიზეზი უნდა ყოფილიყო რიცხვითი სახელის სემასიოლოგიური მხარე და სინტაქსური ფუნქცია.

რიცხვითი სახელი წინადადებაში ძირითადად განსაზღვრების ფუნქციით გვევლინება. ძველად წესებრივი მოვლენა უნდა ყოფილიყო ასეთი სინტაქსური ურთიერთობა: ორ კაც. ორივე წევრი გაუფორმებელი ბრუნვაში. ბრუნვაში გაფორმებას უფრო ადრე არსებითი სახელი (სასაზღვრი) იწყებს. შემდეგ არსებითი სახელი ითანხმებს ბრუნვაში რიცხვით სახელს (მსაზღვრელს) და ვიღებთ დამოკიდებულების ახალ სახეს.

ქვემოთ ცალკე მოვიყვანთ იმის მაგალითებს, როცა არსებითი სახელი ბრუნვაშია გაფორმებული, მაგრამ მისი მსაზღვრელი რიცხვითი სახელი გაუფორმებელია.

1 ი. იმნაიშვილი, წრფელ. ბრუნ. საკუთარ სახელებში; ა. ს. პუშკინის სახ. ინსტ. სამ. შრომები, 1943, III, გვ. 288.

2 სტ. ჩხენკელი, თბ. უნივერსიტეტ. შრომები, XXV, 1942, გვ. 153.

ამგვარად, ძველ ქართულში ჯერ კიდევ არ არის დასრულებული პროცესი რიცხვითი სახელის ბრუნვებში გაფორმებისა, ისე როგორც ეს არ არის დასრულებული მეტ-ნაკლებად სხვა ჯგუფის სახელებშიც (არსებითი, ზედსართავი). ბრუნვაში გაფორმებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ „გაუფორმებელ“ სახეს დამოუკიდებელი სინტაქსური ფუნქცია აღარ გააჩნია.

მოვიყვანთ მაგალითებს, სადაც რიცხვითი სახელი მონაწილეობს „წრფელობითის“ ფორმით.

რიცხვითი სახელი მსაზღვრელია ქვემდებარისა და დგას „წრფელობითში“:

კაცსა ვისმე ესხნეს ორ ძე: ლ. 15 11.

აღიზილნა თუალნი თვისნი და იხილა და აჰა სამ კაც დგეს ზედა მისა: დაბ. 18, 2.

და ამის შემდგომად მერმეცა ესხნეს ოცდაათ ძე და ოცდაათ ასულ: ქრესტ. 7.

რიცხვითი სახელი მსაზღვრელია დამატებისა და დგას „წრფელობითში“

თუ გნებავს, ვქმნეთ აქა სამ ტალავარ: მთ. 17, 4.

მაგრამ სხვა ადგილას არის:

და ვქმნეთ სამი ტალავარი: მკზ. 9, 5.

არს აქა ყრმა, რომელსა აქვს ხუთ ჯუეზა ქრთილის და ორ თევზ: ი. 6, 9.

DE -ში ეს ადგილი ასე იკითხება:

რომელსა აქვს ხუთი პური ქრთილისა და ორი თევზი.

როგორც აღნიშნული გვქონდა, ბრუნვაში გაფორმება ჯერ არსებითის (საზღვრულს) დაუწყია, შემდეგ კი რიცხვით სახელსაც (მსაზღვრელს). მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას ძველ ქართულში ისეთი მოვლენა, როცა წყვილში საზღვრული სახელი ბრუნვის ფორმითაა, ხოლო მასთან დაკავშირებული მსაზღვრელი რიცხვითი სახელი „წრფელობით“ ფორმაში.

საზღვრული სახელობითშია, მსაზღვრელი „წრფელობითში“;
და მან უშენა ჰამაზასპს სამ ძმ: ქართ. — სომხ. ურთ. მხარეთა
ქმანი იოსებისანი, რომელნი ესხსნეს ეგვიპტეს, სული ცხრა: დაბ.

46, 27.

და რვალი იგი შესაწირავისა ოთხას სამეოც და ათ ქანქარ და ორ
ათას ოთხას სიკლაა: გამოსლვ. 39, 7 (29).

და იყვნეს ოთხას ათას კაცი: მსაჯ. 20, 17.

საზღვრული ნათესაობითშია, მსაზღვრელი წრფელობითში:
მოვეახლენით სამ ქამისა სავალ ოდენ: ქრესტ. გ. ათ. 205.

მოსე იყო ოთხმეოც წლის. გამოსლვ. 7, 7.

საზღვრული მოქმედებითშია, მსაზღვრელი „წრფელობითში“:
ყრმაღა იყო, ხუთ წლად მოდგებოდა იესუ: სიყრ. უფლ. 36.

რიცხვითი სახელი შედგენილ შემასმენელში

ბუნებრივია, „წრფელობითში“ გვევლინება რიცხვითი სახელი,
როცა ის სახელედი ნაწილია შედგენილი შემასმენლისა:

ჩუნებაა ფარაოასი ერთ არს: დაბ. 19, 41, 25.

რ ერთ არს ღრ თი და ერთ არს ღრეება: კიმ. 1, 88.

და იყვნენ ორნივე იგი ერთ კორც: მთ. 19, 5.

C -ში სათანადო ადგილი ასე იკითხება:

და იყვნენ ორნივე კორცად ერთად.

რიცხვითი სახელი მსაზღვრელია ზომის ერთეულისა და დგას
„წრფელობითში“:

რიცხვითი სახელი ძალიან ხშირად არის ზომის ერთეულების
განსაზღვრება და გვევლინება „წრფელობითში“:

და შორავს გოდოლსა მის დავითისსა ორ უტევან: წარტყ. 101.

რომელი ორ სასწაულ შორავს ქალაქისაგან: პეტ. კაბ. 50.

რლი ეშორა ქალაქსა ვრ შვდ მილიონ: ოქრობ. 168.

ცხრა ბიჯ ოდენ გინა ათ დადგრიან: კიმ 1, 204.

და იყო ბეთანია მახლობელ იერუსალმსა ვითარ ათხუთმეტ ას-
პარეზ ოდენ: ი. 11, 18.

და მიიღო მური, შეზავებული ჰალოდთურთ ვითარ ას ლიტრა:
ი. 19, 39.



- და მსახურა საკურთხეველსა ორ წელ: ი. 49.
- დაადგრეს მის თანა ათხუთმეტ წელ. უღაბნ. 36.
- ჰამდეს მანანას მას ორმეოც წელ: გამოსელ. 16, 35.
- ცხოვდა იგი ასდაოთხ წელ: ასური. 8.
- და იფარვიდა თავსა თვისსა ხუთ თუე: ხელნაწ. 19, 31.
- და ყო იოსებ გლოვად მამისა თვისისაჲ შვიდ დღე: დაბ. 50, 10.
- რამეთუ იხილა ძმამან ძმად თვისი წამ ერთ: წარტყ. 125.

(რაოდენობითი რიცხვითი სახელის ბრუნვები

რიცხვითი სახელი წინადადებაში აღნიშნავს საგნის რაოდენობას. იგი ძირითადად მსაზღვრელის როლს ასრულებს. არის შემთხვევები. როდესაც რიცხვითი სახელი დამოუკიდებლად იხმარება; მაშინ იგი გასუბსტანტივებული სახელია, კონტექსტის მიხედვით მაინც, რა თქმა უნდა, რაოდენობის შინაარსის გამოხატვა ეკისრება.

რიცხვითი სახელი ცალკეც და მსაზღვრელადაც:

მხ. რიცხვი:

სახელობითი ბრუნვა:

და იხილნა ორნი ანგელოზნი, მოსილნი სამოსლითა სპეტაკითა, მსხდომარენი ერთი თავით და ერთი ფერკით, სადა-იგი ხიდვა გუამი იესუჲსი: ხანმ. ლექ. 20, 12.

კაცნი ვინმე ორნი აღვიდეს ტაძარსა მას თაყუანის ცემად ერთი ფარისეველი და ერთი მეზუერჴ: ბოლნ. 53.

კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფაჲ; და ვქმნეთ სამი ტალავარი: მკვ. 9, 5.

ხოლო ოთხი ნაწილი იყავ თავისა თქუენისა, თესლად ქვეყნისა და საზრდელად თქუენდა და ყოვლისა სახლისა თქუენისა: დაბ. 47, 24.

და ჰამეს და განძლეს; და აღიღეს ნეშტი ნამუსრევი შვიდი გოდორი საესე: მკვ. 8, 8.

და მამასა მიუძღუნა ეგრეთვე სახედ და ათი ვირი, რომელსა ეკი- და ყოვლისაგან კეთილისა ეგვპტისა, და ათი ჯორი, რომელსა აქუნ- და პური საგზლად მამისა თვისისა: დაბ. 45, 23.



ქართული
ენათმეცნიერება

რლ არს ათორმეტი სამთავროდ: ოქროვ. 82.

და ვპოვეთ მონასტერსა მას-შინა წმინდისა იოანესსა
ორას და ათცხრამეტი სული: წარტყ. 145.

მისცა კურაპალატმან თორმეტი ათასი მკვდარი რჩეული თორ-
ნიკს: ათონელთა ცხ 19.

ასი ათასი მკვდარი და სამი ათასი ქუეითი იპყრა: ქართ. ცხ. 121.

და დავეყ მე მათ წ თა თანა ექუსი წელი და შვდი თთუშ
უდარნოსა მას შინა: ანტ. რავახ. 90.

მრავლობითი რიცხვი:

რიცხვი საგნის რაოდენობას განსაზღვრავს. ეს გრამატიკული რიცხვის კატეგორია არ არის. ბრუნვაში გაუფორმებელ რიცხვით სახელს არც მრავლ. რიცხვის ნიშანი მოეპოვებოდა. როდესაც ბრუნვაში იწყო გაფორმება რიცხვითმა სახელმა, ამით იგი გადაიხარა არსებითი და ზედსართავი სახელებსავე. ამ სინტაქსური უნარის შექმნის შემდეგ რიცხვითი სახელი მრავლობითი რიცხვის ნიშანსაც იჩენს და საზღვრულთან შეთანხმების უნარს ამჟღავნებს.

ა. შანიძე სამართლიანად აღნიშნავს:

„გრამატიკული რიცხვი სახელისა და ზმნისა საპირისპირო ფორმათა არსებობის ნიადაგზე შემუშავებული კატეგორიაა. არითმეტიკული რიცხვი კი სახელია („რიცხვითი სახელი“). რომელიც გრამატიკული რიცხვის გაგებას მოკლებულია. მართალია, რიცხვით სახელს (არითმეტიკულ რიცხვს) შეიძლება მრავლობითის ფორმაც ჰქონდეს („შვიდი“ და „შვიდნი“). მაგრამ ეს არის მხოლოდ ფორმალური მრავლობითი, ე. ი. ისეთი მრავლობითი, რომელსაც სათანადო შინაარსი (წარმოდგენა ერთზე მეტისა) არ ახლავს.“¹

ძველ ქართულში პარალელურად გვხვდება ორი კაცი და ორნი კაცნი. მათ შორის რაიმე მნიშვნელობითი განსხვავება არ იგრძნობა. ძველი ქართული ისეთი საფეხურია ამ მხრივ, რომ ორი კაცი უფრო ადრინდელ ფორმად უნდა ჩაითვალოს, ხოლო ორნი კაცნი უფრო გვიანდელად. ერთი და იგივე მაგალითი ერთსა და იმავე ძეგლში მხოლობითის ფორმითაც არის გადმოცემული და მრავლობითითაც.

C -ში ვკითხულობთ:

¹ ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძ., 45 და 77.

და მოილო ხუთი იგი კუეზაჲ პური და ორნი თევზნი და აღნიღ
ნა ცად, აკურთხა და განტეხნა პური იგი და მისცემდა მოწმეთელთა
თვსთა, რაჲთამცა დაუგეს მათ; და ორი იგი თევზი განუყო ყველგან
მკზ. 6, 41.

DE-ში სათანადო მაგალითები — ყველა მრავლობითშია დას-
მული.

C-ში გვაქვს:

და უბრძანა ერთსა მას ინაკით — დასხდომამა ქვეყანასა ზედა და
მოიხუნა შვდნი იგი პური: მკზ. 8, 6.

DE-ში კი არის:

მოილო შვიდი იგი პური.

უნდა აღინიშნოს, რომ მრავლობითის ფორმის მიღებისადმი ტენ-
დენციას უფრო ამჟღავნებენ ერთეულები — ორიდან ცხრაამეტამდე.

სიტყვა ერთი თითქმის არასოდეს არა გვხვდება მრავლობითში
გაფორმებული (ერთ-ნი-ი). ამ სიტყვას რიცხვითი სახელის სემასიო-
ლოგიური მხარე კარგად აქვს დაცული.

რიცხვითი სახელები ცალკეც და მსაზღვრელადაც
მრავლობითი რიცხვის სახელობით ბრუნვაში:

შეკრბენ ორნი გინა სამნი სახელისა ჩემისათვის, მე მათ შს ვარ:
ხელნაწ. № 19, 459.

კრმე იოტის ერთმნ ათასები და ორ მნ წარიქციის ბევრები:
დავითნი, 227.

და ვითარ წარვიდოდა მიერ იესუ, მოსდევდეს მას ორნი ბრმანი:
მთ. 9, 27.

და შემდგომად სამისა დლისა მოვიდეს ოთხნი ებისკოპოზნი იო-
ვანშს მოყუარენი: ოქრობ. 185.

და მრავალსა მას სოფლებსა ცხრანი შეფენი არიან: თუალთ. 28.

და იოვანეს ათცამეტნი გლაზაკნი იგი: კიმ. 1, 129.

იოვანე და ორმეოცნი ებისკოპოზნი შეკრებულ იყვნეს: ოქრობ.
177.

და ესხნეს მას მოწაფენი რიცხვით ასერგასისნი: იქვე. 194.

რლისა წე დგანან ათასნი ათასთანი ბევრნი ბევრთანი: იაკობ.
ჟამ. 71.

და დანთქნა კაცნი ხუთნი ბევრნი: ხრონ. 293.

მოთხრობითი ბრუნვა:

რაოდენობითი რიცხვითი სახელი, ცალკე თუ მოთხრობით ბრუნვაში შედარებით იშვიათად გვხვდება და ისიც უმთავრესად მხოლოდობის რიცხვში;

მიხუგო **ერთმან**, რომლისა სახელი ულ³ პა: ლექც. ლ. 24, 18.

და მოვიყვანოთ ათი კაცი **ასმან** და **ასიათასმან** და ათასი **ბევრმან**, რა — თა მოართუან საზრდელი ერთსა აღსრულებად: მსაჯ. 20, 10.

აღადლო **ერთმან** ლომმან პირი თვისი: კიმ. 1, 152.

და ინაქ-იღდა **კაცებმან** მან, რიცხვთ ხუთ ათასმან: ი. 6, 10.

ნათელ იღეს **ორმეოც** და **ათმან** სულმან: ქართ. ცხ. 73.

მრავლ. რიცხვი:

და მიუგეს **ორთავე** ვა ერთითა პირითა და **ჰქს**: ოქრობ. 62.

მარხვითა **სამთა** ყრმათა დაშრიტეს ალი ცცხლისაჲ: ბლნ. 5.

და **ოთხთა** მღღელთა აღიღონ სკრთხელი იგი: იაკობ. ეამ. 157.

და შეჰამნეს **შვდთა** მათ **ზროხათა**, მჭლეთა და საძაგელთა, **შვდნი** იგი **ზროხანი**, კეთილნი და რჩეულნი: დაბ. 41, 20.

მიცემითი ბრუნვა:

მხ. რიცხვი:

პრქუა მეფემან **ეგვპტისამან** ყრმის 'ამქუმელთა მათ **ებრაველთა**-სა, რომელთა სახელი **ერქუა** ერთსა სეფორა და ერთსა ფოა: გამოსლვ. 1, 16.

ნუცა ვაშკარანსა გზასა ზედა, ნუცა **ორსა** **სამოსელსა**, ნუცა **კამლსა**, ნუცა **კუერთხსა**, რამეთუ ღირს არს მუშაკი სასყიდლისა თვისისა: მთ. 10, 10.

მოსცემდეს მას **ოცსა** **დრაჰკანსა** საგზლად: კიმ. 11, 145.

და მშვდობით მას **ზა** დაიძინა: **ხუთსა** **დეკენბრისასა**: კიმ. 1, 23.

მრავლ. რიცხვი:

რეცა თუ მიგუეძინა და ვხედვედ ვითემე **სამთა** **კაცთა**: ხელნაწ. I, 19, 106.

და მოუწოდა **ათთა** **მონათა** თვისთა და მიჰცა მათ ათი მონაჲ და **პრქუა** მათ: ლ. 19, 13.

ნათესაობითი ბრუნვა:



ნათესაობითში დასმული მსაზღვრელი რიცხვითი სახელწოდებები
თანხმებულია საზღვრულთან, ე. ი. სრულად ერთვის ბრუნვის წესს.
უწყით, რამეთუ შემდგომად **ორისა დღისა** ვნება იყოს, და ძმ კა-
ცისაჲ მიეცეს ჯუარ-ცუმაღ?: მთ. 26, 2.

არის ისეთი მაგალითები (შედარებით ცოტა), როცა რიცხვითი
სახელი ნანათესაობითარ მსაზღვრელს წარმოადგენს და ბრუნვის ნი-
შანს დაირთავს, მაგალითად:

და მოიყვანნეს ძეთა მათ მისთა თავისა თავსისა ცოლნი მოაბელ-
ნი. სახელი **ერთისა** ურიფა და სახელი **მეორისა** მის რუთ. და იყო-
ფოდეს მუნ ათ წელ: რუთ 1, 4.

უნდა გვქონოდა: **სახელი ერთისა ცოლისა** ურიფა. გამოტოვებუ-
ლია ცოლისა და მისი შესათანხმებელი ბრუნვის ნიშანი გადავიდა მის
მსაზღვრელზე **ერთისა**. ჩანს, მოხდა **ერთისა** რიცხვითი სახელის გა-
არსებითება.

მხ. რიცხვი:

უწინარეს **ერთისა დღისა** მოუწოდა მეინაკეთა თვსთა და ერის-
მთავართა: წარტყ. 132.

ანუ არა **სამისა გრივისა** ფეტქსათვს და ხუთთა თხათათვს მოს-
რულ ხარა მოკლევად ჩემდა: ქრესტ. ხანძთ. 145.

და შემდგომად **რვისა დღისა** კუალად (ბ) იყვნეს მოწაფენი ერთ-
სა ადგილსა და თომაცა მათ თანა: ლექც. ი. 20, 26.

და ორსავე მოსლევასა უფროჲს **ათხუთმეტისა ლიტრისა** მიიღო:
ათონელთა ცხ. 41.

პრქუა მეფემან: არა მე ვბრძანეა ამის **ცხრა ახ ოც და ათორმეტი-**
სა ათახისა კაცისა მოწოდებაჲ: აგათანგ. 274.

გვხვდება ისეთი მაგალითები, სადაც ნათესაობით ბრუნვაში დას-
მული რიცხვითი სახელი და მის მიერ განსაზღვრული სიტყვა **იმფა-**
ტიკურ ა-ს არ დაირთავს. ასეთი შემთხვევები გვაქვს **იქმნა** ზმნას-
თან, როცა რიცხვითი სახელი და მის მიერ განსაზღვრული სიტყვა
შემასმენლის სახელად ნაწილს შეადგენენ:

იქმნა იგი **ათის წლის:** ქრესტ., ხანძთ. 133.

რამეთუ ოდეს იქმნეს ყრმანი იგი ათერთმეტის წლის, მთიწია
რისხვა იგი საშინელი: წარტყ. 124.



მრავლ. რიცხვი:

და შჯულსაცა თქუენსა წერილ არს, ვითარმედ: **ორთა** კაცთა წამება ქვეშაირთ არს: ი. 8, 17.

შემდგომად **სამთა** დღეთა რწნი დაყენეს ენება მათ: 1, 310.

მაგრამ არის რამდენიმე შემთხვევა, როცა რიცხვითი სახელი ნაათესაობითარი ბრუნვაა:

ხ ბოროტი **ორთა**ვე მათ სწორ არს: ხელნაწ. № 19, 62.

უკეთუ არა პრწმენეს შენი **ორთა** მათ **სახწაულთა**: გამოსლგ. 4, 9.

და ამის ჯერისათვის შეცვალა ძლიერებამან. **ორთა** მათ უძრავი შემცვალებულად და მოძრავი უმცვალებულად: შტბ. კრებ. 10.

და მერმე ენანი **სამთანივე** ძირით აღმძვკუუენეს: კიმ. 1, 93.

მოქმედებითი ბრუნვა:

მხ. რიცხვი:

ვა იგი დთ მოკლა დიდი გოლიათი **სამითა** ქვითა: ოქრობ. 52.

ხუთითა პურითა განაძღნა ხუთასნი: კიმ. 11, 48.

ვლ ნათლის ღებისა წინა ათორმეტით დლით იშვა და მით ჩანს იანვარსა ექუსსა ნათლისღება არს: ხელნაწ. № 19, 76.

ემტაფიკური ა არ მოეპოვება მოქმედებით ბრუნვაში დასმულ რიცხვით სახელსა და მის მიერ განსაზღვრულ სიტყვას იმ შემთხვევაში, როცა რიცხვითი სახელი განსაზღვრავს დროის გამომხატველ სიტყვას და ორივე ერთად დროის გარემოებას დაწყებით ბრუნვაში.

რაოდენობითი რიცხვითი სახელის მოქმედებითისა და ვითარებითის მრავლობით რიცხვში ხმარების შესახებ საუბარი არ მოგვიხდება, რადგანაც ამ ბრუნვებში ნ/თ ფორმანტებით მრავლობითის გაფორმება არ ხდება.

ვითარებითი ბრუნვა:

რაოდენობითი რიცხვითი სახელი ვითარებით ბრუნვაში გვეკლინება როგორც ვითარების გარემოება და ამდენად იგი უშუალოდ ზმნასთან არის დაკავშირებული. გვხვდება აგრეთვე შეთანხმებულ

მსაზღვრელადაც:

ორივე შემთხვევის მაგალითები:

ა) რიცხვითი სახელი ვითარების გარემოებაა:

და დღესა, რლსა არა შოელოდის და ორად განკოყეთოს იგი:

ბოლ. 68.

რ ათერთმეტად განყოფენ: აღაბნ. ჭუარ. IX.

ბ) რიცხვითი სახელი მსაზღვრელია:

გაყო ერი იგი მის თანაჲ და ცხოვარი და ზროხაჲ ორად ბანაკად:

დაბ. 32, 7.

და იტყვს ესრჳთ საღმრთოჲ წიგნი: მდინარჳ გამოვიდოდა ედემით და განიყოფოდა ოთხად თავად: თვალთ. 32.

და ესრჳთ ცხრად თოჲედ აღირაცხების, რისა შინა იშვა უი ჩნი იჳ ქჳ: ხელნაწ. № 19, 55.

მერმე აღმოიღებნ თიკასა მას ჩჩკლსა განწმენდილსა მისგან და შექმნა იგი სირებად თორმეტად: სიყრ. უფლ. 36.

წოდებითი ბრუნვა:

რაოდენობითი რიცხვითი სახელი, საერთოდ, არ იჩენს წოდებითი ბრუნვის ფორმას, მაგრამ თავისებური გამონაკლისები გვხვდება როგორც ძველ ქართულში, ისე ახალშიც. ა. შანიძეს ამ გამონაკლისებზე აქვს მითითებული თავის „ქართული გრამატიკის საფუძვლებში“ (გვ. 59).

ძველ ქართულში აქა-იქ გვხვდება მაგალითები, როცა რიცხვითი სახელი წოდებით ბრუნვაშია შეთანხმებული საზღვრულთან. ასეთი მაგალითები პოეტური ნაწარმოებების ენისათვის უფროა დამახასიათებელი:

მკნენო შვდნო ყრმანო, წმიდანო მაკაბელნო: სას. პოეზ. სიბ.

და თქნ ქერაბინნო და სერაბინნო. საყდარნო უფლებანო მთავრობანო. და თქნ ოცდა ოთხნო მღ დელთ-მთავარნო, რლნი სულთათვის კაცთა აღასრულებდით მსხვერპლსა მოუტლებულად: კიმ. 1, 281.

რაოდენობითი რიცხვითი სახელის მხლებლიანი ბრუნვები:

აქვე განვიხილავთ რაოდენობითი რიცხვითი სახელის მხლებლიან ბრუნვებს.

„სახელზე უშუალოდ დართულ მხლებლებში თანდებულები და

ნაწილაკები გვხვდება, კავშირები, კი არა. თანდებულს დართვის/ ზოგიერთი ბრუნვა, ნაწილაკს-კი ყველა".¹

ა. შანიძის ეს განმარტება ეხება საერთოდ სახელებს. სახელი ამ მხრივ გამონაკლისს უნდა წარმოადგენდეს, განსაკუთრებით ძველ ქართულში. აქ მოვიყვანთ რამდენიმე ტიპობრივ მაგალითს და მათ მიხედვით ავხსნით რიცხვით სახელზე თანდებულის დართვის ვითარებას.

სიხარული იყო ცათა შინა ერთსა ზა ცოდვილსა: ბოლნ. 29.

და იყო ერთსა შინა დღესა და თავადი შევიდა ნავსა: ლ. 8, 22.

ხოლო დაშეთს ამათ-გან სამნი ყრმანი ასულისა ერთისა თანა: ტიმ. ანტ. 40.

ხ ნეტრმნ საბა ერთისა-თს სულისა მოილო კადნიერება: ასუ-რი, 11.

ჩანს, რომ თანდებული რიცხვით სახელთან ახლოს დგას. მაგრამ შეიძლება დავუშვათ, რომ ეს თანდებულები რიცხვითი სახელის კუთვნილებას არ წარმოადგენს. აქ უნდა გვექონდეს ისეთი შემთხვევა, როგორც ა. შანიძეს აქვს აღნიშნული:

„როცა საზღვრულს მსაზღვრელი ახლავს, თანდებული შეიძლება ერთთანაც დაისვას და მეორესთანაც, მაგ. „ნაყოფისა მათისაგან“ შეიძლება ასეც იქნეს წარმოდგენილი: „ნაყოფისაგან მათისა“.²

ამრიგად, როცა გვაქვს „ერთსა-შინა დღესა“, აქ შინა გადმონაცვლებული ჩანს. უფრო ჩვეულებრივია გვექონდეს: „ერთსა დღესა“, შინა“.

რიცხვითი სახელი წინადადებაში იმგვარ მსაზღვრელად გვევლინება, როგორადაც ზედსართავი სახელი და ზოგიერთი ნაცვალსახელი, ოღონდ ასეთი მსაზღვრელები (ზედსართავი და ნაცვალსახელი) მოსდევს საზღვრულს. მაშინ თანდებული არსებითთან რჩება და შემდეგ მსაზღვრელი მოუდის ან თანდებული ბოლოში ექცევა მსაზღვრელს.

ეგრძეცა წეს არს წესი საღმრთოჲ საეკლესიოჲ ეკლესიასა შინა ჩემსა: ქრესტ. ხანძთ. 111.

1 ა. შანიძე, ქართ. გრამატ. საფუძვ., გვ. 84.

2 ა. შანიძე, ძველი ქართული ენა, ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, საშ. სკ. VIII კლ. 1958, გვ. 255.



მერმე კუალად დაასხნა კელნი თვალთა ზედა მისთა: მკზ. 8, 25.
 ან კიდევ: და აწ მადიდე მე, მამაო, თავისა შენისათანა: ი. 17, 19.
 და დაჰსდვეს თავსა მისსა ზედა ბრალად: მთ. 27, 37.

ხოლო რომელნი-იგი იყვნეს ნავსა მას შინა: მთ. 14, 33.
 ასეთი მდგომარეობაა მაშინაც, როცა იგი ნაწევარი ახლავს არ-
 სებითს:

დედოფალი იგი ბლუარისა აღდგეს სასჯელსა მას: მთ. 12, 42.

ასეთი წყობა საზღვრულ-მსაზღვრელისა დედოფალი იგი ბლუარი-
 სა წესებრივია ძველი ქართულისათვის. მაგრამ თუ გვექნება ინ-
 ვერსიული წყობა, ე. ი. პირველ ადგილზე იქნება ზედსართავი, მაშინ
 იგი ნაწევარი ისეთ ადგილს იჭერს, როგორსაც თანდებული ასეთ
 მაგალითებში: **ერთსა შინა დღესა.**

ხოლო რაჟამს არაწმინდა იგი სული გამოვიდეს კაცისაგან: მთ.
 12, 43.

და დადვა ახალსა შინა სამარესა თვისა: მთ. 27, 60.

უნდა აღვნიშნოთ, რომ თანდებული რიცხვით სახელთან იშვიათად
 გვხვდება, თუ რიცხვითი სახელი განსაზღვრებადაა გამოყენებული.
 მაგრამ არის შემთხვევები, როცა რიცხვით სახელს თანდებული
 ერთვის; ამ დროს რიცხვითი სახელი დამოუკიდებელი, გასუბსტან-
 ტივებული სიტყვაა:

არავინ არს, რლი იქმს კეთილსა, არავინ არს მიერთამდე: დავით-
 ნი, 86.

ეგრევე მეორემან და მესამემან და ვიდრე შვლადმდე: მთ. 22, 26.
 C-ში ეს ადგილი ასეა: მიმეშვდემდე¹.

რომელ ათორმეტთა ზედა სილოამს გოდოლი დაეცა: ლ. 13, 4.
 და რაჟამს დამწუხრდა, მოვიდა ათორმეტითურთ: მკზ. 14, 17.

ნაწილაკიანი ბრუნვები:

როგორც ცნობილია, ნაწილაკი შეიძლება დაერთოს ყველა ბრუნ-
 ვას, გარდა წოდებითისა. უნდა აღინიშნოს, რომ ნაწილაკების გამო-
 ყენებითაც ღარიბია რაოდენობითი რიცხვითი სახელი, რადგანაც იგი
 უმთავრესად განსაზღვრებაა.

ა. შანიძე, მღე თანდ. გენეზ. აკად. მოამბე, III, 14, 1942.

— მცა-ნაწილაკდართული რიცხვითი სახელი:

რ ვინმცა იყო ესრეთ გლახაკ რლ ორნიმცა წულიღნი
დეს: Описан. 72.



— ცა-ნაწილაკდართული რიცხვითი სახელი:

რა იხილონ სასწაული: უკეთუ რომელთა ესე მე მოუწოდე არა-
მე იყოს ნაწილი მოწოდებულისა წოდებულთა თანა ერთისაჲცა:
აგათანგ. 274.

— ლა-ც ნაწილაკდართული რიცხვითი სახელი:

გარნა მე ერთიღა შევსძინო სიტყუად სხუა ამათთა: ქართ. ცხ. 223.
ხოლო მათ იწყეს მწუხარებად და სიტყუად მისა თითოეულმან:
ერთმან-ღა და ერთმან: ნუ უკუე მე ვარ ?: მრზ. 14, 19.

— ვე-ნაწილაკდართული რიცხვითი სახელი:

პრქუა აბრაჰამ: უფალმან იხილოს თავისა თვისისა ცხოვარი მსხუ-
ერპლისაჲ, შეილო, წარვიდეს ორნივე ზოგად: დაბ. 22, 8.

განუკმეს ორნივე კელნი მისნი: ურპაელ. 336.

მაშინ მიწერა პაპა ენოკინიონ სამთავე მთ წიგნთა პასუხი: ოქ-
რობ. 185.

ხ ბოროტი ორთაჲვე მათ სწორ არს: ხელნაწ. № 19, 62.

მერმე ენანი სამთანივე ძირით აღმოგუეთენეს: კიმ. 1, 93.

როგორც ვხედავთ, ნაწილაკის გამოყენების შემთხვევები ცოტაა.
აღსანიშნავია ერთი მოვლენა, რომ-ვე ნაწილაკი, როგორც წესი, ერ-
თვის უმეტესად სახელობითის მრავლობითს.

საერთოდ ნაწილაკები შეუხორცებელია რიცხვით სახელებთანაც.¹

ოდენ-ნაწილაკი (ოდენ-ოდენ-ოდენა):

ცალკე უნდა შევხებით ოდენ ნაწილაკს.

ახალ ქართულში გვაქვს ოდენ. იგი დაერთვის რიცხვით სახე-
ლებს.² ა. შანიძე წერს, რომ-ოდენ „აღნიშნავს რიცხვობრივ მიახ-
ლოებას: ხუთიოდე, ცხრაოდენ“³.

სიტყვა ოდენ ძველ ქართულში სხვა მნიშვნელობითაც იხმარე-
ბოდა: მარტო, მხოლოდ, ოღონდ.

1 ა. შანიძე, ქართული გრამატიკა, საფუძე., 70; 100.

2 ა. შანიძე, ქართ. გრამატიკა, საფუძე., 70.

3 ა. შანიძე, ქართ. ენის სასჯ. გრამატიკა, II ნაწ. VII-VIII კლ., 1949, გვ. 70.

ნაწილაკი ოდენ ძველ ქართულშიც აღნიშნავს მიახლოებას, მაგრამ იგი ზოგჯერ გვხვდება ისეთ მაგალითებში, სადაც რიცხვითი ხელი არ მონაწილეობს და ზომის ერთეული მიახლოებით მოიხატოს:

და თავადი განეშორა მათგან ვითარ ქვის სატყორცებელ ოდენ, დაიდგნა მუტკნი, ილოცვიდა: ლ. 22, 41.

შუა ოდენ გზასა მოკუდა ყრმა იგი: იქვე, 288.

და იყო სიმაღლს ზღუდისა მის ვრ ორ კაც ოდენ: იქვე, 36.

და იყვნეს ფარაელნი იგი ორას ოდენ კაც: კიმ. 1, 26.

წარმოქმნა რა ოდენობითი რიცხვითი სახელებისაგან:

წარმოქმნა რიცხვითი სახელებისაგან განსაზღვრულ ფარგლებში წარმოებს. წარმოსაქმნელად აფიქსებიცაა გამოყენებული და თანდებულებიც.

სუფიქსიანი რიცხვითი სახელი:

— ობა:

გაქუნდეს უზაკუველი მორჩილება და ურთიერთ არს მშვდობაა და ერთობა: მთაწმინდელთა ცხ. 26.

მაშინ ეპისკოპოსთა მათ ერთობით თქუეს: ქრესტ. ხანძთ. 136.

ოთხობას იქმთ წლისა სამეზისასა: კიმ. 1, 79.

— ება:

ესე არს სარწმუნეებაა წმინდისა სამეზისა: ქრესტ. ხანძთ. 154.

— ეულ:

და ამის ცილობასა ზედა გარდაჰდა შვდეული ერთი: ათონელთა ცხ. 18.

და მივსცი ათეული ყოვლისაგან მონაგებისა ჩემისა: ბოლნ. 53.

და აკურთხეს რებეკა, დაა მათი, და ჰრქუეს: დაა ჩუენი ხარი შენ. იყავ ათასეულად და ბევრეულად დაიმკვდრენ ნათესავმან შენმა ქალაქები იგი მტერთა: დაბ. 1, 24, 60.

და შეკრბა სიმრავლე დიდძალი ბევრეულისა და ათასეულისა ერისა: ხელნაწ. № 19, 180.

თანდებულისანი რიცხვითი სახელისაგან წარმოქმნილი სახელები:

აწ ვინ ამათ სამთაგანი უმახლობელეს იყოს მისა: ბოლნ. 65.



და იუდა სკარიოტელი, ერთი ათორშეტთავანი, მოვიდა მოლუართა, რაჲთამცა მისცა იგი: მკზ. 14, 10.

ამათ ორთავან მან ვინ უწყის: ბოლნ. 14.

წარმოქმნის მაგალითებად უნდა მივიჩნიოთ რიცხვითი სახელე-
ბისგან ნაწარმოები ზმნები:

და მიერთნეს სხუანიცა ვინმე დიდებულნი და აზნაურნი: ქართ.
ცხ. 185.

ღმერთი შეგეწევის და ნუ რარას ორგულობ: ათონელთა ცხ. 19.

თხზვა რაოდენობითი რიცხვითი სახელის მონაწილეობით:

თხზვა ახალ სიტყვათა მისაღებად მნიშვნელოვანი საშუალებაა.
ყოველი ათს ზევით მიღებული რიცხვითი სახელი რთულია: ათ-ერთ-
შეტ-ი, ორ-მე-ოც-და-ათ-ი, ათ-ას-ექუს-ას-სამ-მე-ოცი, და სხვ.

მაგრამ ამჯერად თხზვის ისეთი მაგალითები განვიხილოთ, სადაც
კომპოზიტში რიცხვითი სახელის გარდა, სხვა რომელიმე მეტყველე-
ბის ნაწილიც იღებს მონაწილეობას.

კომპოზიტში რიცხვით სახელს პირველი ადგილი უჭირავს და
ოდენ ფუძით მიერთვის მომდევნო სიტყვას. ამ მოვლენაში რიცხვი-
თი სახელის უძველესი სინტაქსური ვითარება მკლავნდება.

კომპოზიტში რიცხვითი სახელის მიერ ადგილის შეცვლის ნიმუ-
შად ა. შანიძეს დასახელებული აქვს ერგასისი.¹

რამეთუ ერთგანზრახვა, ერთგულ და ერთნება იყვნეს ისინი:
ქრესტ. ხანძთ. 118.

სულნი ჯაცთანი ერთ-ბუნება არიან: იქვე, 153.

მწუხრი შაბათი, რომელი, გათენდებოდა ერთშაბათად: იერ.
ვან. 93.

რამეთუ ვართ ჩუნ და თქუნ ერთგუამ: წარტყ. 140.

არა ქმნილი ერთარსი მამისაჲ რლისა მრ ყლი შეიქმნა: კიმ. 1, 98.

ხოლო ჯაცნი იგი ქალაქისა სოდოიელნი გარე მოადგეს სახლსა
მას ჭაბუკთაგან ვიდრე მოხუცებულადმდე და ერი ერთბამად: დაბ.
19, 4.

და იწყეს რბევად და სრვად ერთმანერთისა: ქართხ. ცხ. 25.

1 ა. შანიძე, ქართული გრამატიკა, საფუძველ., 150.

ხ სიტყუნი შნი განეწონნეს გულსა ჩემსა ვა მახვილნი **ორპირნი:**
ოქროზ. 42.

ღმერთმან ურწყის განდგომილება და **ორგულობა** დასწამეს **ღი-**
ოგენისა ვისთვის: ათონ. ცხ. 50.

და ყოველივე იგი **ოქროძთა** შემოსილ იყო **ორსართულნიცა** და
სამსართულნი: ხრონ. 86.

ძლევისა **სამძალი** იგი აღესრულა: კიმ. 11, 63.

შეკრა ჯაჭვთა **სამკეცითა** რკინისაჲთა: კიმ. 1,205.

ხოლო გრიგოლ ღმრთის მეტყველი იტყვის სამებისა **სამგუამოვ-**
ნებისათვის: ქრესტ. ხანძთ. 151.

სიტყუა ღმრთისაჲ **სამქვობით** შეშურდულადი: პეტრ. კაპ. 44.

სამშაბათსა-ღა დადგეს: ქრესტ. 310.

და ყოველი **ოთხფერკი** მათი არა ჩუენი იყოს: დაბ. 34, 23.

ოთხთავი სტაერაჲთა შემოსილი და ვერცხლისა ღილოკილოჲთა
და ჟუარითა: ათონელთა ცხ. 22.

და **ოთხპირი** კერპი დიოჲსა აღმართა მას შინა: ხრონ. 112.

იყვენეს ჭეშმარიტად ჭუამალდნი ანტესნი **ოთხკეცნი:** კიმ. 1, 1.

არამედ **ოთხ-კედელნი** გოდოლნი მრგულად ეოცებიან: ექვთ.
დღ. 76.

საყრდნო **ოთხხატედნო**, ზეცისა ძალნო: სას. პოეზ. სმ.

იოჲანე ეპისკოპოსი, საკითხავნი **ოთხშაბათისანი:** ხან. მრავ. 142.

მარტკრიისა კერიაკესა დღესა **ხუთშაბათსა:** ჰაემეტ. 364.


და ორნი ქერობინნი შეჰმზადნა ძელთაგან უღბოველთა **ათწყრთე-**
ულნი სიდიდით და **ხუთწყრთეულნი** ფრთებით შესახლებულად,
ხრონ. 86.


ქერობინნი მრავალთუალნი და **ექუს-ექუსფრთენი** სერაბინნი:
სას. პოეზ. სმ.

ხოლო გარემოჲს ტაძრისა მრგულივ **ექუსწყრთეულად** მოაქმნა
სხუაჲ ნაშენები: ხრონ. 86.

და ყოველივე **ექუსკეცად** სახელდებულთა მათ წიგნთა მუშაკო-
ბა შრომით მოისაქმნა: იქვე, 237.

რამეთუ ყოველნი იგი ნესტუნი ტკლისანი არიან **ექუსკედელ:**
ექვთ. დღ. 96.

რ მოხეპარა მას ყმათაგან ქნარი იგი ათძალი საგალობელად: 
მრავ. 133.

ორნი ქერობინნი შეჰმზადნა ძელთაგან უღბოველთა 
ულნი სიდიდით: ხრონ. 86.

და იწყო ქადაგებად ათქალაქთა მათ: მკზ. 5, 20.

კრებულმან და ათისთავმან მან და მსახურთა ჰურიათამან შეიპყრეს იესუ: ი. 18, 12.

რა რაემს შევიდა იგი კაფერნაომდ, მოუვლა მას ასისთავი, ევედრებოდა მას: მთ. 8, 5.

ხოლო გუნდმან მან და ათასისთავმან მან და მსახურთა მათ ჰურიათა შეიპყრეს იესუ და შეკრეს: ი. 18, 12.

კომპოზიტის თავისებურ სახედ უნდა მივიჩნიოთ ფუძის გაორკეცებით მიღებული რიცხვითი სახელები, თუმცა განმეორებას სხვა მნიშვნელობა აქვს.¹

ამის მაგალითებია:

და მოუწოდა ათორმეტთა მათ და იწყო წარვლინებად ორ-ორი-სა. მკზ 6, 7.

და წარავლინა იგინი ორ-ორი წინაშე მისსა: ლ. 10, 1.

რომელთა შთაასხიან საწყაული ორ-ორი გინა სამ-სამი: ი. 2, 6.

და შესხნა კელთა მისთა: ათ-ათ დრაჰკან სასწორისა: დაბ. 24, 22.

რიგობითი რიცხვითი სახელის მორფოლოგია

რიგობითი რიცხვითი სახელი წარმოქმნით არის მიღებული რაოდენობითისგან. ეს საკითხი განხილულია და მას აღარ გავიმეორებთ.

რიგობითი რიცხვითი სახელებია: მე-ხუთ-ე, მე-ოც-ე, სამ-მე-ოც-და-მე-ორ-ე, სამ-მე-ოც-და-მე-ათ-ხცრა-მეტ-ე და სხვ. მორფოლოგიურად ასეთი წარმოება შედარებით ახალია, მიუხედავად იმისა, რომ იგი ახასიათებს ძველ ქართულსაც.

ენის განვითარების ადრინდელ საფეხურზე რიგობითობა უნდა გამოხატულიყო სრულიად ცალკე, დამოუკიდებელი სიტყვით; როგორც ეს რაოდენობითისათვის იყო. ასეთი ვითარების გადმონაშთი უნდა იყოს სიტყვა პირველი, რომელიც ქართულში რიცხვითი სახე-

¹ ბ. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 145.

ლის ერთის რიგობითობის ფუნქციით იხმარებოდა და იხმარება.
სიტყვა პირველი უძველესი რიცხვითი სახელია, იმ პერიოდისა, როცა სხვადასხვა სამეურნეო საქმიანობას თავ-თავისი ტერმინები მოეპოვებოდა აღრიცხვიანობისათვის.

სიტყვა პირველ-ს სამართლიანად უკავშირებენ სიტყვა პირ-ს.

ბ. მარი შენიშნავს:

„Чистая основа პირ-პირ может означать один, и потому естественно сопоставлять его и отождествлять с эламским *piru* один, как это сделано ..., но неустранима связь той-же основы в грузинском с *პირ-ი* лицо, передняя сторона“¹.

ა. შანიძის აზრით:

„პირველი“ ძალიან ჰგავს ინდოევროპ. შესატყვის სიტყვას (ლათ. *prim-us*, რუს. *первый*), მაგრამ მას საფუძვლად ქართული *პირ-ი* უქვეს: *პირ-ე-ელ-ი* — პირისაკენ მდგომი, წინ მდგომი“.²

სიტყვა პირველის ხნოვანებაზე გარკვეული შეხედულება აქვს ი. ჯავახიშვილს:

„თვით ერთი-ც ძველის-ძველია, მაგრამ, ცალთან შედარებით, უფრო მერმინდელი ჩანს, ისევე როგორც მხოლოდ და პირველიც“.³

ძველ ქართულში ერთ-იდან მე-ერთ-ე ფორმა არ იწარმოება, ამის მაგივრად ყველგან გვხვდება: პირველი. მაგრამ არის მაგალითები, როცა პირველ-ის მნიშვნელობით იხმარება სიტყვა წინა:

პრქუა მამამან მისმან მონათა თვსთა: გამოიღეთ სამოსელი იგი პირველი და შეკმოსეთ მას და შეაყუთ ბეჭედი ჯელსა მისსა და კამლნი ფერკთა მისთა: ლ. 15, 22.

С-ში ეს ადგილი ასეა:

პრქუა მამამან მონათა თვსთა: გამოართუთ მაგას კუართი იგი წინა და შთააყუთ მაგას, მიეცით ბეჭედი ჯელსა მაგისსა და ჯამლი ფერკთა მაგისთა.

1 Н. Марр, грамматика древнелигер. грузинского языка, ст. 80.

2 ა. შანიძე, ქართული ენის ენის გრამატიკის საფუძვლები, 132.

3 ი. ჯავახიშვილი, ქართ. და კავკას. ენების თავდაპირვ. ბუნება და წათესავ., 389.



სიტყვა პირველ-ის ბრუნვებს ცალკე გამოვეყოფთ, რადგან ეს სიტყვა სხვა ძირისაგან და სხვა საშუალებებით არის წარმოქმნილი, ვიდრე: მე-ორ-ე, მე-სამ-ე, და სხვ. გარდა ამისა, პირველ-ის ბრუნვითანხმოვნია ი ფუძეა, ხოლო ყველა დანარჩენი რიგობითი რიცხვითი სახელები ე ბოლოხმოვნია: მე-ცხრ-ე, მე-ას-ე, და სხვ.

სიტყვა პირველ წინადადებაში ზოგჯერ გამოყენებულია როგორც ზმნიზედა, ზოგჯერ ზედსართავის როლს ასრულებს და მსაზღვრელია.

პირველი „წრფელობითის“ ფორმით და მისი ფუნქცია

წრფელობითში ნახმარი პირველ სიტყვა უმთავრესად ზმნიზედაა და გამოხატავს იმასვე, რასაც ამ სიტყვის ვითარებითი ბრუნვის ფორმა პირველ-ად.

პოვა მან პირველ ძმა იგი თვსი სიმონ: ი. 1, 41.

DE -ში სათანადო ადგილას ნახმარია პირველად.

პოვა მან პირველად ძმა თვსი სიმონ, რომელთა ეხილვა იგი პირველ: ი. 9, 8.

C-ში:

[რომელთა ეხილვა იგი პირველად.]

პრჭუეს მას, რომელ-იგი პირველი ბრმა იყო: ი. 9, 17.

ვითარცა პირველ ვთქუ: ქრესტ. გ. ათონ. 214.

პირველი სხვადასხვა ბრუნვაში:


სხვადასხვა ბრუნვაში პირველ სიტყვა უმთავრესად მსაზღვრელია, სინტაქსის თვალსაზრისით განსაზღვრებაა. მაგრამ არის შემთხვევები, როცა ის დამოუკიდებლად იხმარება; მაშინ რიგობითი სახელი პირველ გაარსებითებულია და წინადადებაში შეიძლება იყოს ქვემდებარე ან დამატება. ასეთ შემთხვევაში იგი დამოუკიდებლად მრავლობით რიცხვსაც აწარმოებს.

სახელობითი ბრუნვა:

და მოვიდა პირველი იგი და პრჭუა: ჰემეტ. ტექს. 384.

პირველი ხაჭუმიაღვი არს ესე გამოყვანება მათი ქუეყნით ეგვპტით. იგი ღამე არს და ესე პირველი ხაცავი არს უფლისაჲ: გამოსლ. 12, 42.

ებრაელთა მიმართ პირველი საკითხავი: სამოც. 147.

პირველი ნანათესაობითარი ფუძითაა და დგას სახელობით ბრუნ-
ვაში: 

ვითარმედ არა მეორისა ცისა დაბადებაჲ არს ესე, არამედ მითხ-
რობაჲ პირველისაჲ: ექვ. დღ. 30.

რ ჯერ არს გამოძიება პირველისაჲ მის გარდასრულისა: იქვე, 53.

მრავლ. რიცხვი:

ხოლო მრავალნი იყვნენ პირველნი უკუანა, და უკუანანი წინა:
მთ. 19, 30.

და არიან პირველნი, რომელნი იყვნენ უკუანაჲსკნელ: ლ. 13, 30.

და ვითარ მოვიდეს პირველნი იგი: მთ. 20, 10.

სახელობითში გვევლინება როგორც მხოლობითის, ისე მრავლო-
ბითის ნანათესაობითარი ფუძითაც:

საქმენი იგი დღისა მის პირველისანი და უფროჲსლა ერთისანი:
ექვთ. დღ. 27.

წინა-წარმეტყულთაგანი პირველთა აღდგომილ არს: ლ. 9, 8.

მოთხრობითი ბრუნვა:

და პირველმან მან შეირთო ცოლი და მოკუდა და არა დაუტევა
მკვდრი: მკზ. 12, 20.

რამეთუ პირველმან მან აბრაჰამ შეწირა ძე თვისი ისაკი მხუერპ-
ლად: წარტყ. 123.

აღსანიშნავია, რომ რიგობით რიცხვით სახელს მეორეს ყოველ-
თვის არ უპირისპირდება პირველი, თითქოს მოსალოდნელი პირვე-
ლის მაგივრად იხმარება ერთი:

და ერთმან მათ-განმან არა მიიღოს ძუძუ, უკუეთუ მეორემან არა
მიიღოს: წარტყ. 124.

მოთხრობითის მრავლობითი არ გვხვდება.

მიცემითი ბრუნვა:

და ესრე ამცნო პირველსა მას და მეორესა და მესამესა ყოველ-
თავე: დაბ. 32, 19.

პირველსა მას იყო პირველი თული იგი სარდიონი: თულაგ. 20.
პირველსა ერქუა პაოს: ქართ. ცხ. 1.



მრავლ. რიცხვი:

და დაწერნე ფიცართა მათ სიტყუანი იგი, რომელ იყვნეს პირველთა მათ ფიცართა, რომელი შეჰმუსრენ: გამოსლვ. 34, 1.

არამედ პირველთა მათ დღეთა ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისა ფიცხელ იყო ფრიად კანონი მოწაფეთა მისთა: ქრესტ., ხანძთ. 113.

ნათესაობითი ბრუნვა:

რამეთუ მიზეზი პირველისა სივლტოლაჟსაჲ ესე იყო: ქრესტ. გ. ათონ. 199.

მოვიქსენოთ პირველისა მის (დედაკაცისა) მეძავისა: ბოლნ. ქად. 46.

მრავლ. რიცხვი:

განიწყუნა ქვეყანა იგი და შეიცვალა ყოველი წესი და განგება პირველთა მეფეთა განწესებული: ქართ. ცხ. 173.

მაშინ იწყო ტირილით აღსრულებად პირველთა უგუნურებათა თვსთა: ქრესტ. ი. ქართ. 172.

მოქმედებითი ბრუნვა:

დაწყებითის ფუნქციით:

შვდ დღე უცომოსა ჭამდით, ხოლო პირველით დღითგანვე განაქარვეთ ცომი სისხლთა თქუნთა: გამოსლვ. 12, 15.

შეიქმნებიან უკუე პირველით შენჭებითგან ტაძრისაჲთ ვიდრე მეორედმდე წელიწადნი ხუთას და ათერთმეტნი: ხრონ. 137.

მრავლობითი არ გვხვდება.

ვითარებითი ბრუნვა:

წმინდების ფუნქციით:

და რომელსაცა სახლსა შეხვდეთ, პირველად თქეთ: მშვდობა სახლსა ამას 1: ლ. 10, 5.

ასე პირველად გამოვიდეს: დაბ. 38, 28.
მრავლობითი არ გვხვდება.

მხლებლიანი ბრუნვები:

ა) ნაწილაკიანები:

ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ: ქრესტ. გ. ათონ. 207.

პირველთავე სიტყუათა მიერ მეყსეულად... განანათლა: იქვე, 3;
ხოლო ითქუმის დასაბამად და პირველიცა აღძრვაჲ: ექვ. დღ. 7.

ბ) თანდებულიანები:

პირველთაგან იყო სიტყუა: ი. 1, 1.

იწყე უკუანახუნელთაგან, ვიდრე პირველთამდე: მთ. 20, 8.

თანდებულიანი პირველისაგან წარმოქმნილი სახელები:

წინაწარმეტყუელი ვინმე პირველთაგანი აღდგომილ არს: ლ. 9, 19.

პირველი წევრია კომპოზიციისა:

ხოლო ჩუენ პირველწოდებულისა და ძმისა თვისისა მოწოდებულისა ნაწილნი ვართ და სამწყსონი: ქრესტ. გ. ათონ. 203.

პირველმოწამე სტეფანე იწამა: ხრონ. 164.

და ვითარცა მიესმა პირველმოქსენებულთა წმინდათა მეფეთა მარტკლობაჲ: ქრესტ. 79.

სიტყუა პირველ ხარისხსაც აწარმოებს:

რამეთუ ვითარცა არა არს პირველისასა უპირველესი: ხრონ. 200.

რიგობითი რიცხვითი სახელის ცვლა ბრუნვებში:

როგორც ცნობილია, ორიდან მოყოლებული რიგობითი რიცხვითი სახელი, მიღებული რაოდენობითის ფუძისაგან მე—ე თავსართ-ბოლოსართის დართვით ქმნის ბოლოხმოვნის ფუძეს. ამდენად, ბრუნებისას იგი თითქმის იმავე წესებს ექვემდებარება, რასაც საერთოდ ბოლოხმოვნიანი ზედსართავი სახელი.

რიგობითი რიცხვითი სახელი ძირითადად მსაზღვრელია, მაგრამ გვხვდება დამოუკიდებელადაც. ასეთ შემთხვევაში იგი გაარსებითებულია.

რიგობითი რიცხვითი სახელი ბრუნვაში გაუფორმებელია და ას-
რულებს სახელობითის ფუნქციას:



მოვიდა მეორე იგი და პრქუა: ლ. 19, 18.

მოვიდა მესამე იგი და პრქუა: იქვე, 19, 20.

ყოველსა ზედა ისე მესამე დღე არს, ვინათგან იქმნა: ლ. 24, 21.

სახელობითი ბრუნვა:

რიგობითი რიცხვითი სახელი სახელობით ბრუნვაში ძველ ძეგ-
ლებში *მ*-თი დასრულებულია, მაგრამ უფრო მოგვიანო ძეგლებში *ე*
აქვს.

და ამას ყოველსა თანა ესე მესამე დღე არს, ვინათგან ესე (ბ)
იქმნა: ლექც. ლ. 24, 21;

მეხუთე ნათესავი გამოვიდეს ძენი ისრაელისანი ქუეყანით
ეგვიპტით: გამოსლვ. 13, 18.

და ესე მეექვსე თუთ არს, რლსა იგი ბერწ ერქუა: ხელნაწ.
№ 19, 31.

მოვიდეს დღე ესე მეშვიდე ერთბაშით: უდაბნ. 149.

ხოლო საწყაული იგი იყო შეათქ ნაწილი სამისა მის საწყაული-
სა: გამოსლვ. 16, 35.

ეს არს მეთექვსე იგი ცხოვარი: ბოლნ. 27.

მრავლ. რიცხვი:

რიგობითი რიცხვითი სახელი მერამდენესაც უნდა აღნიშნავდეს,
სემასიოლოგიურად მაინც ერთის მნიშვნელობას შეიცავს. ცხრამეტი
გულისხმობს ცხრამეტ ერთეულს, მაგრამ მეცხრამეტე ნიშნავს ერთს,
რომელიც ადგილის მიხედვით თვრამეტის შემდეგ დგას. ამის გამო
რიგობითი რიცხვითი სახელი თავიდანვე ერიდება მრავლობითი
რიცხვის წარმოებას, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ორიოდე მა-
გალითს:

მაშინ დაემტკიცნეს ნათელნი იგი მეორენი, მსახურნი იგი პირვე-
ლისა მის ნათელისანი და ესენი არიან ნთლნი მეორენი: ხელნაწ.
№ 19, 62.

მოთხრობითი ბრუნვა:



მეორემან შეირთო იგი და მოკულდა იგიცა და არა დაუტყვევებულნი
მკვდრი; და მესამემან ეგრევე: მკზ. 12, 21.

ხოლო მან მეორემან აბრაჰამ შეწირნა ასულნი თვისი უფალსა:
წარტყ. 123.

მეექუსემან კრებამან ტაძარსა დიდსა პალატისასა ესრეთ აღწერა:
კიმ. 1, 97.

ვითარცა მეთათამეტემან მოციქულმან, ქუეყანაჲ ჩუენი ამით ზე-
მოქსენებულთა ლუარძლთაგან სრულად განწმიდა: ქრესტ. გ. ათონ.
194.

მიცემითი ბრუნვა:

სხვა ბრუნვებთან შედარებით რიგობითი რიცხვითი სახელის მი-
ცემითის ფორმა ძალიან გავრცელებულია. ეს აიხსნება უმთავრესად
იმით, რომ მიცემითი ბრუნვა ხშირად დროის გარემოების ფუნქციას
ასრულებს.

და ლათუ მეორესა საქუმილაგსა და მესამესა მოვიდეს და პოვნეს
ესრმთ, ნეტარ იყენენ ივინი: ლ. 12, 38.

ხოლო მეთერთმეტესა უამსა განვიდა: მთ. 20, 6.

ხოლო ოცდამეცხრამეტესა დღესა მოიყვანეს: კიმ. 1, 325.

წარვიდა უდაბნოსა რუბამასა მეერგახესა წელსა ეამთა ჰასაკისა
მისისათა: იქვე, 20.

ხოლო იყო გარდაცვალებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი
რიცხუსა წელიწადთა მისთასა ახდამეორესა წელსა: ქრესტ., ხანძთ.,
154.

როგორც ვიცით, ერთ რაოდენობითი სახელისაგან რიგობითი მე-
ერთე ჩვეულებრივ არ იწარმოება, მის მაგივრად ვეაქვს პირველი,
მაგრამ კომპოზიტებში, რთულ რიცხვით სახელებში, მეერთე გვე-
ლინება:

და ექუსას და მეერთესა წელსა ცხოვრებისა მისისასა გამოვიდა
კილობნისაგან: ხრონ. 17.

ნათესაობითი ბრუნვა:



და ვა განვიღვძე შემდგომად მესამისა ჩუენებისა, ^{მეცამეტე} 19, 141.

და მეოთხისა მის კელმწიფებისა გალილეელთა ზედა: ლ. 3, 1.
წარიყვანის მის თანა შემდგომად მეთხუთმეტისა დღისა: კიმ. 11, 146.

ოცდამეთერთმეტისა ფნ ის: იქვე, 12.

მოქმედებითი ბრუნვა:

თვთვე მკდომად აღუდგეს და მეორითა პირველი იგი დაარღვოს და უკმარ ყოს: ექვსთ. დღ. 11.

და აღძრავს ესე ქალაქსა და აღაშფოთებს მესამით დღითგან ვრ იგი მითხრეს ჩნ. არიმათ. 40.

არს მფრინველი რაამე ჰინდოჲ სახელი ჰრქვან მას ფვნიქს მეხუთასით წლით მოვიდეს ხეთა ლიბანისათა: ფიზიოლოგი, 13.

ვითარებითი ბრუნვა:

დღეს წყალთა ბუნებაჲ მეორედ მშობელად კაცთა იქმნების: სას. პოეზ. რგ.

და იხილნა იოსებ ყრმანი ეფრემისნი მესამედ ნათესავადმდე: დაბ. 50, 23.

და იყოს თქუენდა დაბარბულ ვიდრე მეთხუთმეტედ დღემდე თუ-ესა ამას: გამოსლვ. 12, 6.

რ ათხუთმეტდ დღეთგან ვე ოცდამეორედ დღედმდე ზატიკობედ: ხელნაწ. № 19, 76.

წოდებითი ბრუნვა:

რიგობითი რიცხვითი სახელიც ცოტა მაგალითებს იძლევა წოდებით ბრუნვაში:

ქეშმარიტად ღირს ხრ შნ მამათმთავრობასა ამას, მ მეცამეტეო, შემდგომად მოცოქულთა ათორმეტთა: ოქროპ. 166.

უცოდველო ცოდვათა თქს აღამისათა თვთ, მეორეო ადამ, და დღეს აღმოჰბრწყინდი საფლავით: სას. პოეზ. სოზ.



ა) ნაწილაკიანები:

რიგობითი რიცხვითი სახელიც ღარიბია ნაწილაკების მონაწილეობით ისე, როგორც რაოდენობითი. ქვემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ რიგობითი რიცხვითი სახელი იყენებს ცა და და ნაწილაკებს, მაშინ როცა რაოდენობითი რიცხვითი სახელი უფრო ხშირად ვე ნაწილაკს მიმართავს.

და უკეთეს ერთი მათგანი ტირნ, მეორეცა იგი ტირნ: წარტყ. 124. ეგრე მეორემანცა დალიდა სიტყვთა საცთურისაჲთა შეაცთუნა რაჲ მართალი: ხრონ. 70.

და ბრძანე რა მეორედცა და მესამედცა გამოეცხადოს: ხელნაწ. № 19, 138.

რამეთუ ესე მეორე-ლა წელი არს სიყმილი ქუეყანასა ზედა: დაბ. 45, 6.

ბ) თანდებულიანები:

თანდებულებს რიგობითი რიცხვითი სახელი მაშინ დაირთავს, როცა იგი გაარსებითებულია.

და ვანეკრძალუბინ, რაჲთა არაერთი იგი ნესტუ მეორესა ზედა დააქმნას: ექვ. დღ., 96.

როგორც ჩანს, თანდებულის გამოყენებაც არ არის ხშირი.

ჭერადობა:

რიგობითი რიცხვითი სახელისაგან ჭერადობა არ მიიღება (ჭერ, ხელ, გზის) ზმნიზედების დართვით. ვითარებით ბრუნვაში დასმული რიგობითი რიცხვითი სახელი სემასიოლოგიურად შეიცავს ჭერადობის გაგებას: მეორედ (—ორგზის), მესამედ (—სამჭერ) და სხვ. ახალ ქართულში კი ხშირია ასეთი მაგალითები: მესამეჭერ, მეხუთეჭერ, და სხვ.

წილობითი რიცხვითი სახელის მორფოლოგია

გაურკვეველი წილობითი რიცხვითი სახელების მაგალითები შედარებით ცოტა გვხვდება ძველ ქართულში და ისიც არა ყველა ბრუნვაშია წარმოდგენილი:

და ნახევარი უკუ შეჭამა: ხრონ. 195;

და ნახევარი წარიღო: ქართ. ცხ. 149;

ნახევარი გვხვდება მრავლობითის ფორმითაც:

ნახევარნი დაუტევნა ადგილსა ზედა და ნახევარნი წარმოიყვანნა:
ქართ. ცხ. 133.

მაშინ ამან საურმაგ წარმოიყუანნა იგინი ყოველთა კაცკასიის ნათესავთა ნახევარნი: იქვე, 19.

ორივე შეკრბის, უწოდის უკუდავ საუკუნო, რწმეთუ საუკუნო არა თუ ეამი არს, არცა კერძოა ეამისა და არცა განზომილ: მრავალთ. 296.

იზარდოს მუნ ეამერთ და ორეამ და კერძოსა ეამისასა პირისაგან მის გუელისა: შტბ. კრებ. 385.

სიტყვა კერძო მრავლობითის ფორმით არ გვხვდება.

აჰა, უფალო, ზოგი ნაწოფთა ჩემთაჲ მივსცე გლაკახთა: ლ. 19, 8.

რიცხვითი სახელის სინტაქსი

რიცხვითი სახელი თავისებურებას სინტაქსური მოვლენებითაც ამჟღავნებს. ჩვენ გავიზიარეთ ის შეხედულება, რომ ენის განვითარების უძველეს საფეხურზე არსებობდა რიცხვით-არსებითები, რომელიც საგანზედაც მიუთითებდა და მის რაოდენობასაც აღნიშნავდა. ასეთ სიტყვებს წინადადებაში, შედარებით, დამოუკიდებელი არსებობა ჰქონდათ. შემდეგში რიცხვითი სიტყვა, მეტწილად, რიცხობრივად განსაზღვრავს საგნის აღმნიშვნელ სიტყვას. ასეთ შემთხვევაში რიცხვითი სახელი განსაზღვრებაა და დამოკიდებულთა წინადადების სხვა წევრზე. მაგრამ რიცხვითი სახელი, როგორც განსაზღვრება, თავის დამახასიათებელ თვისებებს გვიჩვენებს სხვა მეტყველების ნაწილებით გამოხატულ განსაზღვრებებთან შედარებით. რიცხვითი სახელი წინადადებაში ძირითადად განსაზღვრების ფუნქციას ასრულებს. არ არის შეუძლებელი, რომ რიცხვითი სახელი წინადადების სხვა წევრიც იყოს. მაგრამ აქაც მას განსაზღვრების იერი აქვს.

პირველ რიგში უნდა განვიხილოთ რაოდენობითი რიცხვითი სახელის ადგილმდებარეობის (ლოკალიზაციის) საკითხი წინადადებაში.

ლოკალიზაცია სინტაქსური დამოკიდებულების უძველესი საშუალებაა. ზოგიერთ ენაში დღესაც ლოკალიზაცია ერთადერთ ძირითად სინტაქსურ საშუალებად ითვლება წევრთა ურთიერთობაში. ზოგი-

ერთმა ენამ სინტაქსური დამოკიდებულების სხვადასხვა საშუალებებით
ნი გამოიძუშავეა და ლოკალიზაციის უფლება ერთგვარად შეზღუდვი
ერთ-ერთ თავში ვუჩვენეთ, რომ ქართული სალიტერატურული ენის
პირველ საფეხურზედაც კი რიცხვითი სახელი გადმონაშთის სახით
ბრუნვასა და რიცხვში გაუფორმებლად შემონახული, ძველ ქარ-
თულში რიცხვითი სახელის ბრუნვაში გაფორმება განვითარების შემ-
დეგი საფეხურია. ამ საფეხურზე რიცხვითმა სახელმა ფორმალურად
მრავლობითი რიცხვის ნიშნებიც კი გაიჩინა, მაგრამ ამავე დროს მან
მტკიცედ დაიცვა წინადადებაში თავისი ადგილმდებარეობა. ეს, ლო-
კალიზაციის მხრივ, რიცხვითი სახელის პოზიცია ძლიერ ძველი ჩანს
და მისი საფუძვლიანი შერყევა შეუძლებელი აღმოჩნდა.

მართალია, გვხვდება მაგალითები, როცა რიცხვითი სახელი
წყვილში მეორე ადგილს იჭერს, მაგრამ ასეთი წყობა მეტად იშვია-
თია. საერთო წესიდან გადახვევის ასეთ შემთხვევებს ცალკე განვი-
ხილავთ და ვეცდებით შეძლებისდაგვარად ავხსნათ იგი.

მრავალი მაგალითის განხილვის საფუძველზე შეიძლება ვთქვათ,
რომ რიცხვით სახელს მასთან ურთიერთობაში მყოფ სიტყვასთან
უჭირავს პირველი ადგილი: ორი კაცი, პირველი მოწაფე, მეხუთესა
დღესა, და სხვ.

ასეთი წყობა არის დასაბამიდან ძირითადი და ძველ ქართულში
მტკიცედ დაცული.

აქ, შ ა ნ ი ძ ე ძველი ქართული ენის განსაზღვრების ადგილის შესა-
ხებ წერს:

„ზედსართავისა და მიმღეობის სახით წარმოდგენილი განსაზღვრე-
ბა შეიძლება პირველ ადგილზედაც იყოს და მეორეზედაც. უძველეს
ძეგლებში იგი უმეტესად მოსდევს საზღვრულს, შემდეგ და შემდეგ
კი უსწრებს მას. მაგ.: „არავინ შთაასხის ღვინო ახალი თხიერსა ძუ-
ელსა, რაჟთა არა განხეთქოს ღვინომან ახალმან თხიერი“. აქ ზედსარ-
თაეებს (ახალი, ახალმან, ძუელსა) ყველგან მეორე ადგილი უჭირავს.
სიტყვა-სიტყვით რომ ვთარგმნოთ ახალ ქართულზე ეს ნაწყვეტი,
მსაზღვრელ-საზღვრულის რიგი შებრუნებული გამოვა: „არავინ ჩა-
ასხამს ხოლმე ახალ ღვინოს ძველ ტიკში, რომ არ გამოხეთქოს ახალ-
მა ღვინომ ტიკი“. სხვა მაგალითები: „ქარნი ხორშაკნი და წყალნი

მავნებელი“ (-ცხელი ქარები და მავნებელი წყლები); „ძმ იგი მი-
სი უხუცესი“ (-მისი უფროსი ვაჟი); „სიხარულითა დიდითა“<sup>ეროვნულ
გონიერებას</sup>; „ვერცხლი დიდძალი“; „სახლაჟი ერთი მცირე“ და მისთ.

„შებრუნებული რიგი (განსაზღვრება პირველ ადგილზე):
„ფიცხელსა სიტყუასა“; „სადიასპანოჯთა ცხენითა“; „შენი ადგილი“;
„ერთითა მსახურითა“; „ყოვლითა გულითა“; „დიდითა შრომითა“;
„არცა ფრიადი სიცხე შესწუავს მათ და არც გარდარეული სიცივე
შეაურვებს მყოფთა მისთა“, და მისთ“.

შეიძლება კაცმა ერთსა და იმავე ძეგლში მონახოს ერთნაირი გა-
მოთქმები, მაგრამ სხვადასხვა რიგით; „ცრემლითა მწარითა“ და „მწა-
რითა ცრემლითა“; ან კიდევ სხვადასხვა რიგი ერთსა და იმავე წინა-
დადებაში: „უბანკოა იგი კრავი მწყემსსა მას კეთილსა“.¹

ამ მნიშვნელოვანი ამონაწერით დაეკმაყოფილდებით ძველი ქარ-
თული ენის განსაზღვრების ადგილის შესახებ. მაგრამ აქვე დავძენთ,
რომ რიცხვითი სახელების, როგორც განსაზღვრების, ადგილი გარკ-
ვეულია: იგი წინ უსწრებს საზღვრულს. მოყვანილი მაგალითი: „ერ-
თითა მსახურითა“ არ არის შებრუნებული რიგი, ეს არის რიცხვითი
სახელისათვის ძირითადი.

ძველ ქართულში გვხვდება ძირითადი, პრეპოზიციული, რიგიდან
ნაწილობრივი გადახრა: გვაქვს პოსტპოზიციური რიგის ასეთი მაგა-
ლითები ძმ ორი, წელი პირველი, უამსა მეცხრესა, და სხვ. მაგრამ
ასეთი რიგის მაგალითები ძველ ქართულში ცოტაა. იგი, რა თქმა უნ-
და, ანალოგიას არ წარმოადგენს და ამდენად სათანადო ახსნას საჭი-
როებს.

რიცხვითი სახელის პოსტპოზიციური (შებრუნებული) რიგის ცო-
ტა მაგალითებიც კი იმის მაჩვენებელია, რომ ძველ ქართულში რიცხ-
ვითმა სახელმა გადახრა იწყო ზედსართავი სახელისაყენ. ამაში მას
ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ რიცხვითმა სახელმა, როგორც
მსაზღვრელმა, გამოიჩინა საზღვრულთან ბრუნვაში შეთახმების ისე-
თივე უნარი, როგორც ზედსართავს ახასიათებდა. გარდა ამისა,
რიცხვითმა სახელმა ფორმალურად იწყო საზღვრულთან მრავლობ-
ითში შეთახმება, რაც ზედსართავისათვის ჩვეულებრივი იყო, ამის-

1 ა. შანიძე, ძველი ქართული ენა, ძველი ქართული ენა და ლიტერატურა,
საშ. სკ. VIII კლასებისათვის, 1958, გვ. 252.

შემდეგ რიცხვით სახელს შეეძლო ზოგჯერ ადგილი ეცვალა წინადადებაში და გაპყლოდა ზედსართავის გაერცვლებულ რიგს: მსგავსად მაგალითისა „კაცი კეთილი“ მივიღეთ „კაცი ორი“ და სხვ. წინადადებაში
განსაკუთრებით

მაგრამ რიცხვითი სახელისათვის ძირითადი და ტრადიციული არის პრეპოზიციური წყობა: „ორი კაცი“ — ამ წესს იცავს რიგობითი რიცხვითი სახელიც, აგრეთვე თვლის სისტემის გარეშე მდგომი რიცხვითი სიტყვები: მრავალი, მცირედი და სხვ.

დავადასტუროთ მაგალითებით.

ძირითადი, პრეპოზიციური, წყობა:

1. რიცხვითი სახელი არსებითის განსაზღვრება:

აღვიდეს... თაყუანის ცემად ერთი ფარისეველი და ერთი მეზუერძ: ბოლნ. 53.

უკუეთუ ვინმე იპაროს ზროხაჲ ანუ ცხოვარი და დაკლას, გინა განყიდოს, ხუთი ზროხაჲ მისცეს ერთისა ზროხისაჲს, და ოთხი ცხოვარი ერთისა ცხოვარისათჳს: გამოსლვ. 22, 1.

და მოიქცეს იგინი წინაშე გაბასა ათი ათასი კაცი რჩეული ყოვლისაგან ისრაჲლისა: მსაჯ. 20, 34.

ვითარმედ მშქ და მთოვარე და ათერთმეტნი ვარსკულავნი თაყუანისმცემდეს მე: დაბ. 37, 9.

და გამო-რაჲ-ვიდოდა იგი ტაძრით, ჰრქუა მას ერთმან მოწაფემან მისმან: მკზ. 13, 1.

რამეთუ რომელმან იგი ხუთითა პურითა ხუთასნი განაძღნა: ანტოქ. 132.

რიცხვითი სახელი დროისა და ზომის ერთეულებთან:

ცხონდა იოსებ ას და ათ წელი: დაბ. 50, 22.

იოსებ იყო ოცდაათის წლის, რაჲჲს წარდგა წინაშე ფარაო სსა: დაბ. 41, 46.

რლსა ედვა ათი სატირი ხატად: ბოლნ. 30.

და ვიყიდოთ ორასის დრაჰჲნის პური და ვსცეთ მათ ეჲმად?: მკზ 6, 37.

„ბევრი“ და სხვა გაურკვეველი რიცხვითი სახელები:

ბევრი, ფრიალი, მცირედი, ყოველი, მრავალი, მრჩობლი — და სხვ. წინადადებაში, მსგავსად რაოდენობითი რიცხვითი სახელისა,

უმეტეს შემთხვევაში, წინ უსწრებენ საზღვრულ სიტყვებს.

რუს მეფობა დაიპყრა, რუს ერეოდა ბევრთა ბრძოლათა და უნდა წარმართნი დაიმორჩილა: ხელნაწ № 19, 119.

შემდგომად მცირედთა წელთა გამოცხადნა: ხელნაწ. № 19, 54.

უწყოდე, მსაჯულო: ჩვენ არა თუ ერთი სასწაული ექმნეთ. არამედ ფრიადი ღუაწლი ვყოთ: აგათანგ. 261.

და რ მკვრცხლ მავლინებდეს გზასა მას მრავლითა სატანჯველითა: ანტონ. რავაზ. 94.

და ყოველი იგი ერი ზღვს კიდესა დგა: მთ. 13, 2.

და შემდგომად რავდენთამე წელთა კაცმან ამან ღმრთისმოყუარემან აღმოიხუნა მიერ გუამნი: კიმ. 11, 26;

და ესოდენი სასწაულნი ქმნნა წინაშე მათსა: ი. 12, 31:

სხუანი კდ ურიცხვუნი მამანი და დედანი მიეთხვნეს: კიმ. 1, 338.

ს სრულნი იგი და მტკიცენი აღავსნა მრჩობლითა სიყუარულითა სათნოებათა მიმართ: ოქროზ. 32.

მეტი მაგალითების მოყვანა აღარაა საჭირო, რადგანაც სხვადასხვა მიზნისათვის სხვადასხვა ადგილას დამოწმებული ნიმუშები ამასვე ადასტურებენ. მართო ის ფაქტი, რომ კომპოზიტებში რიცხვითი სახელი თითქმის ყოველთვის პირველ ადგილს იჭერს, მეტყველებს იმის შესახებ, რომ ოდიდანვე რიცხვით სახელს პირველი ადგილი ეკავა წყვილში.¹

შებრუნებული, პოსტპოზიციური, წყობა:

შებრუნებული რიგი გულისხმობს ძირითადი წყობიდან გადახრას: თუ ძირითადია ორი კაცი, შებრუნებულია კაცი ორი; ზოგჯერ გვევლინება ასეთი რიგიც.

ერთ გარემოებას აუცილებლად უნდა გაესვას ხაზი: შებრუნებული წყობით უფრო ხშირად გვხვდება რიცხვითი სახელი მაშინ, როცა იგი მსაზღვრელია ზომის ერთეულის გამომხატველი სიტყვისა; მაგალითად: ლიტრა, კენტერი, სახუმელი, წელი, თუე, ინდიკტიონი, უამი, დამშ, წუთი, წყრთაჲ, სასწაული, მილიონი, და სხვ.

როგორც ვიცით, აქ ჩამოთვლილი ზომის ერთეულები არსებითი

¹ ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, 1957, გვ. 466-185.

სახელებია, მაგრამ უფრო ხშირად მათი გამოყენება ხდება ატრიბუტულ მსაზღვრელებად.

ა. შანიძე წერს:

„როდესაც ჩამოთვლილი სახელები ატრიბ. მსაზღვრელის ფუნქციით იხმარება, ჩვეულებრივია მათთან რიცხვითი სახელის დასმა წინ რაოდენობის აღსანიშნავად“.¹

იქვე მოჰყავს მაგალითები, მაგ.: „4 მისხალი ოქრო“, „6 გრამი წამალი“, „3 გიდელი ყურძენი“, „ნახევარი ლიტრა კალმახი“ და სხვ.

ეს მართლაც ასეა ახალ ქართულში, მაგრამ ძველ ქართულში საკმაო რაოდენობით გვხვდება ასეთი მაგალითები: „კენტერი ერთი ოქრო; წუეთი ერთი წყალი; ტევანი ერთი ყურძენი; ლიტრა ერთი ნელსაცხებელი, და სხვ.

ასეთი მოვლენებისათვის რაიმე წესის დადგენისაგან თავს ვიკავებთ; მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ ორმა ატრიბუტულმა მსაზღვრელმა მოიყარა ერთად თავი. რიცხვითი სახელი ჩვეულებისამებრ წინ უნდა დადგეს წყვილში: გვაქვს: ერთი ოქრო. მაგრამ საჭირო არის ახლა მეორე მსაზღვრელის ხმარებაც. ეს მსაზღვრელი ატრიბუტულია, მაგრამ თავისთავად არსებითი სახელია და წინ იქერს ადგილს; ვიღებთ: კენტერი ერთი ოქრო. ზედსართავი რომ ყოფილიყო ატრიბუტულ მსაზღვრელად, მაშინ უთუოდ სხვაგვარი მდგომარეობა გვექნებოდა; კერძოდ ასეთი: ერთი კაცი კეთილი, ხუთი ასული შენი, და სხვ.

შესამჩნევია, რომ სიტყვა ერთი მონაწილეობს არსებით-ატრიბუტთან, თითქმის უმრავლეს შემთხვევაში გვაქვს ასეთი წყობა: ლიტრა ერთი ოქრო. როგორც ვიცით, ზოგჯერ სიტყვა ერთი განუსაზღვრელი ნაცვალსახელის როლში გამოდის და მაშინ ეს სიტყვა მეორე ადგილას დგას: მაგრამ წყობაში — ლიტრა ერთი ოქრო — რაოდენობას აღნიშნავს: ერთი.

მაგალითები:

ხოლო მარიამ მოიღო ლიტრაჲ ერთი ნელსაცხებელი: ი. 12, 3.

იგივე წინადადება სხვა ძეგლში:

1 ა. შანიძე, ქართული გრამატიკა, საფუძ., გვ. 79.

ხოლო მარიაჲ მოიღო ლიტრაჲ ერთი წელსაცხებელი: ბოლნ. 28/
ოქრობ. 223.

რ უარყონ იოვნე უკეთუ არა მისცენ მას კენტური ერთი ოქრობა:
ოქრობ. 223.

მომართუ ტევანი ერთი ყურძენი: ქრესტ. ი. ქართ. 173.
ჩვეულებრივი პოსტოზიციური (ინვერსიული) წყობის მაგალითები
შედარებით არაა ხშირი. როგორც ზევით იყო აღნიშნული, ინვერსი-
ული წყობა რიცხვითი სახელისა ანალოგიურია ზედსართავი სახე-
ლისა.

და პალატიტ სეფისკუერი ორი მიცემოდეს ყოველთა დღეთა:
ქრესტ. ი. ქართ. 177.

და ვრ ვლეთ ჩნ დამშ და დღშ სამი, მივედით ქალკიდინს. ხელნაწ.
№ 19, 148.

ხოლო ინდიკტიონსა ოთხსა და ოცდამეერთესა წელსა პერეკლეს
მეფობისასა დაიპყრა პატრიაქობა იერუსალმისა ნეტარმან მოდის-
ტოს: წარტყ. 148.

მაშინ წარვიდის და მოიყვანნის მის თანა სხუანი სულნი შვიდნი:
მთ. 12, 45.

ხოლო აღესრულა იგი კეთილითა აღსარებითა თუესა ნოემბერსა
ათსა: ქრესტ. 79.

მერმე აღმოიღებნ თიქსა მას ჩჩვლსა განწმედილსა მისგან და
შექმნა იგი სირებად თორმეტად: სიყრ. უფლ. 36.

ხოლო აღესრულა მამამ ჩუენი ილარიონ თუესა ნოემბერსა ათ-
ცხრამეტსა: ქრესტ. ი. ქართ. 174.

რომელნი გამოსრულ იყვნეს წყვილთაგან მისთა, გარეშე ცოლთა
ძეთა იაკობისთა, ყოველი სული სამეოც და ექუს: დაბ. 46, 26.

წარმცა წინაშე სპარსთა მეფისა მონა ათი ათასი: ქართც. ცხ. 104.
პირველსა თთუესა მისანსა შეკრიბნა მუშაკნი სამეოცდაათ ათასნი:
იქვე, 85.

ნაწევარი რაოდენობით რიცხვით სახელთან:

ინდო-ევროპულ ენათა არტიკლის ფუნქციით გამოყენებულია
ძველ ქართულში ჩვენებითი ნაცვალსახელები: **ესე, ეგე, იგი**. ესენი
მიუთითებენ საგნის სიახლოვეს მოსაუბრე პირის თვალსაზრისით:

ესე — პირველ პირთან; ეგე — მეორე პირთან, და იგი — მესამე პირთან. გარდა ამისა, ძველ ქართულში ეს ნაცვალსახელები აღნიშნავენ, რომ საგანი, რომელსაც საუბარი ეხება, უკვე ნაცნობია მკითხველს თათვის, მის შესახებ წინათაც იყო ნათქვამი.

არტიკლის ფუნქციით გამოყენებული ესე, ეგე, იგი — ნაცვალსახელები განსაზღვრული სიტყვის შემდეგ დაისმოდა; მაგალითად ასე: კაცი იგი, კაცი იგი, წიგნი ეგე, ტაძარსა მას, და სხვ.

როდესაც რიცხვითი სახელია განსაზღვრებად, მაშინ არტიკლები ესე, ეგე, იგი — წინ ექცევა საზღვრულ წევრს და ვიღებთ ასეთ წყობას: „გამოვიდა პეტრე და ერთი იგი მოწაფე“.

აქ იგი ნაწევრით განსაზღვრულია მოწაფე, რომ ის უკვე ნაცნობია მოსაუბრეთათვის. გარეგნულად ისე ჩანს, თითქოს იგი რიცხვით სახელს განსაზღვრავს, რადგანაც რიცხვითი სახელის შემდეგ დგას. ცხადია, ასეთ შემთხვევაში ნაწევარი რიცხვითი სახელის განსაზღვრელი არ არის.

ერთი იგი უამი შემძლებელ იქნა აღსრულებად მისისა: უდაბნ. 60.
ვინ არიან ორნი იგი ძენი: ბოლნ. 33.

სამითა მით დღით ჯოჯოხეთი წარმოტყუენა და უტუნისამდე ხიძლია: ხან. მრავ. 137.

და მოიხუნა შვდნი იგი პურნი: მკზ. 8, 6.

რ რაჲ იგი თქუეს ცხრათა მათ თავთა შინა: კიმ. 1, 71.

არის ისეთი შემთხვევებიც, როცა რიცხვით სახელთან მარტო დგას ნაწევარი; მაგალითად: და ერთი იგი წარწყმდა.

მაგრამ აქ კონტექსტის მიხედვით გამოტოვებულია საზღვრული არსებითი სახელი და ნაწევარი იგი არტიკლის როლსაც ასრულებს და გამოტოვებულ წევრსაც გვაგულისხმებინებს.

განუსაზღვრელობითი — „ვ ი ნ მ ე“:

ა. შ ა ნ ი ძ ე ს აღნიშნული აქვს: „განუსაზღვრელობის შემთხვევაში სახელს, ზედმიწევნილობის მიზნით, შეიძლებოდა დაპროთოდა სიტყვა „ვინმე“, ან „ერთი“ (მაგრამ უკანასკნელი არა რიცხვის გამოსახატავად).¹

¹ ა. შანიძე, ძველი ქართული ენა, ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, საშ. სკოლ. VIII კლასე-ბისათვის, 1947, გვ. 252.

„ვინმე“ დგას რიცხვითი სახელით განსაზღვრული სიტყვის წინ, მაგრამ ვინმე რიცხვითი სახელის განსაზღვრებად არ უნდა მოვიხსნათ; იგი მსაზღვრელია არსებითი სახელისა:

და იყო მის თანა ერთი ვინმე დედაკაცი შემოსილი სამოსლითა სპეტაკითა: ანტ. რაეახ. 88.

ხ ერთი ვინმე წიგნის მკითხველი იყო მის თანა: ოქრობ. 73.

და ერთმან ვინმე მის თანა მდგომელმან აღმოიკადა მახვლი: მკზ. 14, 47.

ვიხილენ ორნი ვინმე მოხუცებულნი: ანტ. რაეახ. 94.

განუსაზღვრელობითი — „ერთი“:

განუსაზღვრელობის გამოსახატავად სახელს ერთოდა სიტყვა ერთი. მაშინ ერთი რაოდენობას კი არ უჩვენებდა, არამედ ასრულებდა განუსაზღვრელი ნაწევრის ფუნქციას. აღსანიშნავია, რომ ასეთ შემთხვევაში ერთი საზღვრული წევრის შემდეგ იჭერს ადგილს:

ესმა დედაკაცსა ერთსა: მკზ. 7, 25.

DE-ში ეს ადგილი ასეა გადმოცემული:

რამეთუ ესმა ვისმე დედაკაცსა.

და შეწევნითა ღმრთისაჲთა მოწაფისა თანა ერთისა წარემართა: ქრესტ. გ. ათონ. 199.

და იხილა კლდჳ ერთი ჳევსა მას: წარტყ. 97.

უნდა დაესძინოთ, რომ მეორე ადგილზე მდგომი ერთი ყოველთვის არ არის განუსაზღვრელი ნაწევარი; ზოგჯერ ის რიცხვითი სახელია და წევრია ინვერსიული წყობისა; მაგ.:

ვინმე თქვენგანი ზრუნვიდეს და შემძლებელ არს იგი შეძინებად პასაკსა თვისსა წყრთა ერთ: მთ. 6, 27.

ნაწევრები იგი და ერთი შეიძლებოდა პირველ ადგილზედაც ყოფილიყო. ა. შ ა ნ ი ძ ე ს აღნიშნული აქვს ასეთი მაგალითები:

„ერთი ქურციკი ნახეს“, მაგრამ შემდეგ ნათქვამია:

„ნახეს იგი ქურციკი“, და ცოტა ქვემოთ კიდევ:

„წავიდა ქურციკი იგი“.¹

¹ ა. შანიძე, ძველი ქართული ენა, ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, საშ. სკ.-VIII კლასებისათვის, 1947, გვ. 252.

ახალ ქართულში ჩვეულებრივია პრეპოზიციური გამოყენება
ერთისა: „იყო ერთი ღარიბი კაცი“. ¹ აგრეთვე: იყო და არა იყო და,
იყო ერთი ხელმწიფე, და სხვ.

რაოდენობითი რიცხვითი სახელი წინადადების წევრია და
ფუნქციაა განსაზღვრების გამოხატვა. მაგრამ გვაქვს იმის მაგალითე-
ბიც, რომ რიცხვითი სახელი დამოუკიდებელ წევრად გვევლინება.

ქვემდებარედ:

ორნი ფქვილენ ფქვილსა: მთ. 24, 41.

მაშინ ორნი იყვნენ აგარაკსა შინა: მთ. 24, 40.

არამედ შთაასხიან ღვინოა ახალი თხიერთა ახალთა, და ორნივე
ღაიმარხნიან: მთ. 9, 17;

შეკრბენ ორნი გინა სამნი სახელისა ჩემისათვის, მე მათ შს ვარ:
ხელნაწ. № 19, 459.

მიუგო ერთმან, რომლისა სახელი კლვობა: ძე, ლ. 24, 18.

დამატებად:

როცა დამატებას (პირდაპირსა თუ ირიბს) გამოხატავს რაოდენო-
ბითი რიცხვითი სახელი, იგი დამოუკიდებელ წევრად უნდა ჩაით-
ვალოს:

ერთი წარიყვანონ და ერთი დაუტეონ: მთ. 24, 40.

და წარადგინეს ორნივე წინაშე მეფისა: ქართ. სომხ. ურთ. 83.

რამეთუ რომელმან იგი ხუთითა პურითა ხუთათასნი გამაძღნა:
ტიმ. ანტ. 132.

ვითარების გარემოებად:

რაოდენობითი რიცხვითი სახელი ძალიან ხშირად გვხვდება დრო-
ის გარემოების გამოხატველ სიტყვასთან. აქ რიცხვითი სახელი
მაინც განსაზღვრება არის დროის გარემოებისა და ამდენად იგი
უშუალოდ არ არის ზმნასთან ურთიერთობაში..

განვიხილოთ რაოდენობითი რიცხვითი სახელი როგორც ვითარე-
ბის გარემოება.

„რიცხვითი სახელი ვითარების გარემოებად ვითარებით ბრუნვა-
ში დგას ან „ვერ“-ის დართვით ზმნიზედის ფორმა აქვს მიღებული:

¹ ა. შანიძე, ქართ. გრამატ. საფ., 42.



ოთხად (ერთი-ოთხად), მეხუთედ, სამჯერ და სხვ.¹

ვითარების გარემოება უშუალოდ დამოკიდებულია ვორც წინადადების მეორეხარისხოვანი წევრი.

მაგალითები:

მდინ რება გნიბოს ქყ ნა გიხილონ შენ და ელმოდეს ერთად: ხელნაწ. № 19, 222.

და მოვლენ ერთჯერ: იაკობ. ქამ. 157.

და დღესა რლსა არა მოელოდის და ორად განკუეთოს იგი: ბოლნ. 68.

წარვიდეს ორნივე ზოგად: დაბ. 22, 8.

✓ რაოდენობით რიცხვით სახელთან შემასმენელის შეთანხმების საკითხისათვის რიცხვში

სამეცნიერო ლიტერატურაში ნაჩვენებია, რომ რიცხვითი სახელით განსაზღვრული სახელი და ზმნა-შემასმენელი ახალ ქართულში მრავლობით რიცხვში არ ეთანხმებიან ერთმანეთს: კაცები მოდიან, მაგრამ ორი კაცი მოდის.

ახალმა ქართულმა არ იცის რიცხვით სახელთან საზღვრული სახელის მრავლობით რიცხვში ხმარება; მაგ.: ჩვეულებრივია: ოცი კაცი (და არა ოცი კაცები).

რაოდენობითი რიცხვითი სახელი სემასიოლოგიურად გამოხატავს სიმრავლეს.

ძველმა ქართულმა გადმონაშთის სახით შემოგვინახა ასეთი მდგომარეობა: ორ კაც. ამ წყვილში არც ერთ წევრს არა აქვს რაიმე მორფოლოგიური ნიშანი. ძველი ქართულისათვის ორ კაც სემასიოლოგიურად წარმოადგენს სიმრავლეს ერთ კაცთან შეპირისპირებით.

საყურადღებოა, რომ ამ ორ კაც სინტაქსურ ერთეულს, რომელსაც არც ბრუნვის კატეგორიის ნიშნები მოეპოვება და არც რიცხვისა, ზმნა-შემასმენელი ეწყობა მრავლობითი ფორმით. ამგვარად, ძველი ქართულისათვის გადამწყვეტი აღმოჩნდა სემასიოლოგიური მხარე ზმნასთან დამოკიდებულებაში. საამისო მაგალითებია:

და ხიყო განზრახვასა მას მათსა ამისათჳს, და აჴა ორ კაც ჴედა

1 ი. შანიძე, ქართული სასკ. გრამატიკ., 70, 1954.

მოხადგეს მათ სამოსლითა ელვარ თა: ხან. ლექც. ლ. 24, 4.



კაცსა ვისმე ესხნეს ორ ძე: მთ. 21, 28.

აწ იყვნეს ჩუნენ თანა შვდ ძმა: იქვე, 22, 25.

შვდ ძმა იყვნეს: მკზ. 12, 20.

DE-ში ეს ადგილი ასეა: შვდნი ძმანი იყვნეს.

ალიხილნა თუალნი თვსნი და იხილა და აპა სამ კაც დგეს ზელა მისა: დაბ. 18, 2.

ძენი იოსებისნი, რომელი ესხნეს ეგვიპტეს, სული ცხრა: დაბ. 46, 27.

ბრუნვასა და რიცხვში გაუფორმებელი მსაზღვრელ-საზღვრული თუ დამატებაა, შემასმენელი მასაც მრავლობითი რიცხვით ეთანხმება:

და მერმე მიუდგა და შვა ძმ და თქუა: ამიერითგან ჩემდა მიმართ იყოს ქმარი ჩემი, რამეთუ უშვენ მას სამ ძე: დაბ. 29, 34.

თქუა ღმერთმან: არა წარვწყმიდო, უკეთუ ვპოვნე მუნ ორმოც-დახუთი: იქვე, 18, 27.

შინაარსობლივმა შეთანხმებამ, როგორცაა: იყვნეს ორ კაც, უთუოდ დააჩქარა რიცხვითი სახელის ბრუნვაში გაფორმება და მით უმეტეს მრავლობითი რიცხვის ნიშნის ფორმალური დართვა. მაშინ რიცხვში შეთანხმება ენობრივადაც გამართლებული ვახდა.

და ორნი ბრმანი სხდეს გზასა თანა: მთ. 20. 39.

მაგრამ ძველ ქართულში ახალ ქართულისებრ ძალზე ხშირია გაფორმებულ მსაზღვრელ-საზღვრულთან, როგორცაა ორი თევზი და მისთ., შემასმენლის შეწყობა მხოლოდობით რიცხვში; მაგრამ ასეთ შემთხვევებში სახელი უმთავრესად არაადამიანის წრეს გამოხატავს:

ვანსრულდა ორმოცი წელი: კიმ. 1, 206.

მოიღო ხუთი იგი პური და ორი თევზი: მთ. 14, 19.

მაგრამ:

ნათელ იდეს ორმოც და ათმან სულმან: ქართ. ცხ. 73.

და მოხწყუნნა... ოც და თხუთმეტი ათასი: იქვე, 151.

რიგითი რიცხვითი სახელის სინტაქსი

[თითქმის ყველაფერი, რაც ითქვა რაოდენობითი რიცხვითი სახელის შესახებ, ვრცელდება რიგობითზედაც.]

რიგობით რიცხვით სახელს იმთავითვე პირველი ადგილი უჭირავს სინტაგმაში. თუ პოსტპოზიციური (ინვერსიული) წყობებს შემთავებებს აქვს ადგილი, — ამის მიზეზები იგივეა, რაც იყო პირველი ადგილისათვის. თი რიცხვითი სახელის ინვერსიული წყობისას.

და პირველსა მას იყო პირველი თუალი იგი სარდიონი: თუალთვ. 20.

რამეს პირველმან მამამან თვთმფლობელთა ცნობით ნებსით ჰმონა მას. პეტ. კაპეტ. 23.

ესე მერმე მეორე სასწაული ყო იესუ, მოსრულ ჰურიასტანით გალილეად: ი. 4, 54.

მეორესა დამესა მოვიდა კაცი იგი: ოქრონ. 97.

რამეთუ მეორედ ბუნებად ეწოდების მას: ანტიოქ. 60.

საიდუმლოდ გამოშჩნდი, მეორეო ენუქ ღირსო, და სათნო ეყავ ღმერთსა, ბასილ: სას. პოეზ. უ.

შეაყენონ იგი საპყრობილესა ვე მესამედ დღემდე: კიმ. 1, 9.

მიეცით მეხუთშ ნაწილი მისი ფარაოს: დაბ. 47, 26.

ვერარა აღადგინა უმეტესად განაჭიქა გმობაჲ თვისი: ამან მეექუ- სემან კრებამან ას სამეოც და რვათა მამათამან: კიმ. 1, 96.

გუშინ მეშვდესა ჟამსა დაუტევა იგი სიცხემან: ი. 4, 52.

ხოლო შემდგომად მირიანისა მეთე მეფე იქმნა ვახტანგ გორგა- სალი: ქრონიკ. 1, 50.

ამას თთუესა ახარა გაბრიელ ანგელოზმან მრმს ოც და მეხუთესა დღესა და სამნიდა თუენი უკუმოეთუალვიან: ხელნაწ. № 19, 74.

ვითარცა ლუკა მახარობელი გუასწავებს მეორმოცესა დღესა: კიმ. 11, 71.

მიწევნულ არს იგი ას და მეოთხესა წელსა: სამოც. 17.

ინვერსიული წყობა:

საერთოდ, რიგობითი რიცხვითი სახელი მოთხრობით ბრუნვაში ნაკლებად გვხვდება, მაგრამ სრულებით არ შეგვხვდებოდა იგი ინვერ- სიული წყობის მოთხრობითში. სხვა ბრუნვებში:

და განძლიერდეს ძენი ისრაჴლისანი და შესძინეს წყობად ბრძო- ლისა ადგილისავე მას, სადაცა-იგი ეწყვნეს დღესა მას პირველსა: მსაჯ. 20, 22.

და მერმე მიუღდა ზელფა მკევალი და უშვა იაკობს ძმ მეორემ:

დაბ. 1, 30, 12.

წელსა მეთრვამეტესა ნაბუქოდონოსარ მეფემან ქმნა **მკრეველნი**
იერ. კან. 92.

ჰამეთ უცომოა ვიღრე დღემდე ოცდამეერთედ: გამოსლკ.
12, 18.

ნაწევარი რიგობით რიცხვით სახელთან:

არტიკლი: ესე, ეგე, იგი — რიგობით რიცხვით სახელთანაც არის და მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის ექცევა, მაგრამ არა ყოველთვის. აქაც ნაწევარი რიცხვითი სახელისა კი არ არის, არამედ იმ სახელისა, რომელსაც რიგობითი განსაზღვრავს.

ხოლო პირველი ეგე წინამძღუარი კეთილად გვედია: ქრესტ. გ. — ათონ. 210.

და გამოიყვანნა პირველნი იგი აღსრულებულნი: ფიზიოლ. 36. რამეთუ პირველმან მან აბრაჰამ შეწირა ძე თვისი ისაკი მსხვერპლად: წარტყ. 123.

ხოლო მან მეორემან აბრაჰამ შეწირნა ასულნი თვისნი მსხვერპლად უფალსა: იქვე. 123.

და განაცხოველნა დღესა მას მესამესა: უდაბნ. 115.

ინვერსიული წყობისას არტიკლი რომ საზღვრული სახელის კუთვნილებაა, ეს დავას არ იწვევს.

ოდეს აღესრულნეს წელნი იგი მერვენი და თუშ იგი მერვმ: ქრესტ. 5.

და ოდეს აღესრულნეს წელნი იგი მერვენი: იქვე. 6.

რიგობითი რიცხვითი სახელი წინადადების წევრია:

რიგობითი რიცხვითი სახელიც წინადადებაში ძირითადად განსაზღვრებაა: ამდენად, იგი დამოკიდებული წევრია წყვილში. რიგობითი რიცხვითი სახელი მაშინაც დამოკიდებული წევრია, როცა ვითარებით გარემოებას გამოხატავს, უმეტეს შემთხვევაში, ვითარებითი ბრუნვის ფორმით. მაგრამ არის შემთხვევები რიგობითი რიცხვითი სახელის ქვემდებარედ ან დამატებად გამოყენებისა. ასეთ შემ-

თხვევაში იგი სუბსტანტივად არის გაგებული და ამდენად წინადადების დამოუკიდებელ წევრად გვევლინება.



ქვემდებარედ:

და ვითარ მოვიდეს პირველნი იგი, ჰგონებდეს, ვითარმედ უფროდსი მიიღონ: მთ. 20, 10.

შუდ ძმა იყვნეს და პირველმან მან შეირთო ცოლი და მოკუდა და არა დაუტევა მკვდრი; და მეორემან შეირთო იგი და მოკუდა იგიცა და არა დაუტევა მანცა მკვდრი; და მესამემან აგრეთვე: მკვ. 12, 20-21.

და მესამემან მიიღო მთავრობა: პართ. 3.

დამატებად:

მოვიდეს ერისა კაცნი და პირველსა მას დაუმუსრნეს წკვნი: ი. 19, 32.

და ესრე ამცნო პირველსა მას და მეორესა და მესამესა და ყოველთავე: დაბ. 32, 19 (20).

მერმე კჳლად მიავლინა მესამე: ლ. 20, 12.

მეექვსე მისცა ჯონბერს: ქართ. ცხ. 154.

ვითარების გარემოებად:

რიგობითი რიცხვითი სახელი ვითარების გარემოებად ერთ შემთხვევაში გვაქვს წრფელობითის ფორმით, ზოგჯერ კი ვითარებითი ბრუნვის ფორმით.

პოვა მან პირველ ძმა იგი თვისი სიმონ: ი. 1, 41.

რომელი-იგი პირველ ბრმა იყო: ი. 9, 17.

ამავე დანიშნულებისა ვითარებით ბრუნვაში:

ხოლო პირველად იქადაგოს სახარება ესე: მკვ. 13, 10.

და დაუტევნა იგინი და მივიდა, თაყუანის-სცა მესამედ, იგივე სიტყუა თქუა მერმე: მთ. 26, 44.

რიგობით რიცხვით სახელთან შემასმენელის შეთანხმების

საკითხისათვის რიცხვში

როდესაც რიგობითი რიცხვითი სახელის მორფოლოგიას ვიხილავდით, მაშინ აღვნიშნეთ, რომ რიგობითი სახელი მრავლობით რიცხვში არ გვევლინება, ფორმალურადაც კი არ იჩენს მრავლობითი

რიცხვის ნიშანს. ამის პირობა უნდა იყოს რიგობითი რიცხვითი სახელის შემასიოლოგიური თავისებურება. მართლაც, სიტყვა მეცხრე შემასიოლოგიურად არ გამოხატავს ცხრა ერთეულს, არამედ ცხრამეცხრე ნაწილს ნახევარს. ამის გამო, როგორც სიტყვა ერთი არ დაისმის მრავლობითში და ფორმალურადაც არ იჩენს რიცხვის კატეგორიის ნიშანს, ასევე ყოველი რიგობითი რიცხვითი სახელი გამოირიცხავს მრავლობითი რიცხვის ფორმის გაჩენის საჭიროებას. უთუოდ ამით აიხსნება, რომ სულ ორი თუ სამი მაგალითი გვხვდება იმისა, რომ რიგობითი რიცხვითი სახელი (გარდა პირველისა) მრავლობითი რიცხვის ფორმით იყოს წარმოდგენილი:

მაშინ დამტკიცნეს ნათელნი იგი მეორენი: ხელნაწ. № 19, 62.

ოდეს აღესრულნეს წელნი იგი მერვენი: ქრესტ. 5.

ეს მაგალითი არ არღვევს საერთო დასკვნას იმის შესახებ, რომ რიგობითი რიცხვითი სახელი ჩვეულებრივ მრავლობით რიცხვს არ აწარმოებს.

ახლა თუ შევევებით რიგობით სახელთან ზმნის შეთანხმების საკითხს რიცხვში, აღმოჩნდება, რომ ძველი ქართულისათვის წესი არის: მხოლოდ რიცხვში შეწყობა: მაგ.:

ესე მერმე მეორე სასწაული ყო იესუ: ი. 4, 45.

რომელ იყო მეექუსმ ნათესავი წმიდისა გრიგოლისი: ქართ. — სომხ. ურთ. 80.

წილობითი რიცხვითი სახელის სინტაქსი

წილობითი რიცხვითი სახელი ზოგჯერ წინადადებაში დამოუკიდებელ წევრად გვევლინება.

და ამა არცალათუ ნახევარი იყო: ხრონ. 92.

და ნახევარი წარილო ქუეყანასა ეგრისსა: ქართ. ცხ. 149.

და ნახევარი უკუე შექამა: ხრონ. 195.

არა გაქუნდეს ჩემ თანა ნაწილი: ი. 13, 8.

თუ წილობითი რიცხვითი სახელი განსაზღვრებაა, მაშინ იგი, უმეტეს შემთხვევაში, სხვა რიცხვითი სახელების მსგავსად პირველ ადგილს იჭერს საზღვრულთან.

და ედგა მას აგარაკი მცირს მახლობელად ქალაქსა მას აღმოსავალით კერძო ვითარ ნახევარ უტევან: იქვე, 282.

მომგუარეს და მიიღო წამალი ნახევარ ჟამისა: ურპაელ. 334.

ზოგი ნაყოფთა ჩემთაჲ მივსცე გლახაკთა: **ДЕ**, ლ. 19.
მოიქსენენ ოო ჭორებისკონი: ხუცესნი დიაკონი **კერძო** დიაკონნი:

Описан. 78.

რამეთუ საუკუნოა არა თუ ჟამი არს, არცა **კერძოა** ჟამისა და არცა განზომილ: მრავალთ. 296.

როდესაც **ნახევარი** სხვა რიცხვითი სახელის შემადგენლობაში შედის, მაშინ ბოლოში ექცევა და და კავშირით უერთდება რიცხვით სახელს; შეიძლება მათ შორის რაიმე სიტყვაც მოექცეს:

მაქუს ორი წელი და ნახევარი საპყრობილესა შინა: კიმ. 11, 56.

რომელ არს ექვუსი მილი და ნახევარი: ხრონ. 88.

ხოლო მეხუთასესა და ნახევარსა მოვიდეს ქუეყნად: ქრესტ^ა.

რიცხვითი სახელი იოანე პეტრიწის ენაში

სანიმუშოდ განვიხილოთ რიცხვითი სახელი ერთ-ერთი ფილოსოფიური ნაწარმოების ენაში; საამისოდ ავირჩიოთ იოანე პეტრიწის ორიგინალური ნაშრომი: „განმარტებაჲ პროკლესთვს დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათვს“. ¹

იოანე პეტრიწის ენაში რიცხვითი სახელი ძირითადად ძველი ქართული ენის რიცხვითი სახელის მორფოლოგიურ-სინტაქსურ თვისებებს იცავს; ძლიერ მცირეა განსხვავებები. ეს შეეხება რიცხვის გამომხატველ სიტყვებს, როცა ისინი ნამდვილად რაოდენობით ან რიგობით სახელებს წარმოადგენენ.

მაგრამ იოანე პეტრიწის ენაში რიცხვის აღმნიშვნელი სიტყვა ყოველთვის რიცხვითი სახელი აღარ არის; იგი ხშირად ფილოსოფიური ტერმინია და ნივთის, განყენებული საგნობრიობის გამოსახატავად იხმარება.

ასეთ შემთხვევაში რიცხვით სახელს უადრესად თავისებური გამოყენება აქვს, როგორც ფილოსოფიური ცნების შემცველ სიტყვას. მაგალითად:

„და არცა სირაჲ ერთ იყოს: ესე ესე არს, თუ მხოლოჲ სირაჲსაჲ არ მექმე და არცა მეშვე იყოს, არ ებაძვოს ერთსა ერთთასა, და არა მბაძი

1 ი. პეტრონი, II ტომი, თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამოცემა, 1937 წ. ტექსტი გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა.

მისი პირველ ვერცა წარმოშობს, მეორედ ვერცა ათვებს რაცხულს შორის ერთთა, მესამედ ვერცა უართიერთას ზიარებასა მისცემს და თხზვასა. ხოლო რომელიცა სირა სამისა ამისაგან იყოს დაკლებულს ვერ სადა თ მოიგოს მყოფობა და ვერცა ღგომა“. (გვ. 60).

ან კიდევ:

„ვინაჲ შემდგომად ერთისა პირველისა ერთნი, და შემდგომად გონებისა პირველისა გონებანი, და შემდგომად სულისა პირველისა სულნი, და შემდგომად ყოველთა ბუნებისა სიმრავლე ბუნებათა“. ესე ხედვა კეთილმდებარე ყო ღმერთმან ზენასა შორის ნახედსა, რომელი იტყოდა მის გამოობასა ყოველთასა, და კუალად ეკუბამობასა თვსთა მხოლოთადმი, და თვსით მხოლოდთ მხოლოდსადმი მხოლოთაჲსა, და კუალად მხოლოდ, მხოლოთაჲ ერთთადმი, და კუალად ერთნი ერთისადმი ერთთაჲსა“. (გვ. 61).

საინტერესოა შესწავლილ იქნეს იოანე პეტრიწის მიერ რიცხვითი სახელის ფილოსოფიურ ტერმინად გამოყენების შემთხვევები და მათში ჩადებული ცნებები, მაგრამ ჩვენ ამას აქ მიზნად არ ვისახავთ. ჩვენ გვინდა აღვწუსხოთ ის თავისებურებანი, რომელნიც იოანე პეტრიწმა შეიტანა ძველი ქართული ენის რიცხვითი სახელის ჩვეულებრივ აღნაგობაში.

იოანე პეტრიწს ერთგვარი ოპერაცია მოუხდენია ძველი ქართული ენის რიცხვითი სახელის სტრუქტურაში. თუ ქართულისათვის ათ-ერთ-მეტ-ი ჩვეულებრივი ფორმაა, იოანე პეტრიწს ელემენტი მებ მოუხსნია:

სრულ ყო რაჲ სიტყვაჲ მეთე, იწყებს თავსა ათერთსა და იტყვს კმითა მბრწყინოთა: გვ. 38.

ეს ოპერაცია უფრო ფართოდ არის ჩატარებული რიგობით რიცხვით სახელებზე:

სრულყო რაჲ თავი მეთერთე, სიტყუაჲ, და მტკიცეთა აღმოსაჩენთა მიერ შეკრა დაუტყსნელი სირაჲ მათი: გვ. 43.

სრულ ყო რაჲ სიტყვაჲ მეთორისა თავისაჲ, რომელი იტყოდა, ვითარმედ პირველი კეთილობაჲ არს უპირატესი მიზეზი ყოველთაჲ: გვ. 45.

მაგრამ იოანე პეტრიწი ამით არ დაკმაყოფილებულა და ცვლი-

ლებები შეუტანია რიგობითი რიცხვითი სახელის წარმოებაში და კავშირით აქვს შეერთებული ათეული და ერთეულები როგორც არის ჩვეულებრივ შეერთებული ოცეულები და ერთეულები; მაგ.: ათსამმეტი, პეტრიწს ასე შეუცვლია: ათ-და-სამ-ი; ამიტომ რიგობითი რიცხვითი სახელის წარმოებისას მე-ე აფიქსებით წარმოქმნილია ერთეულები ისე, როგორც ეს ოც-ს ზევით: ოცდა-მეორ-ე და სხვ.:

და აწ ათ-და-მესამესა თავსა ზედა დაპრთავს ერთისა და კეთილოისა თბ. ს. გვ. 45.

აქ ათ-და-მესამესა უდრის: მათსამმეტეს.

ხოლო აწ ამას ათდამეოთხესა შორის იწყებს მიუდრეკელისა და თვთმომდრეკადისა და სხვსა მიერ მიმდრეკადისათვს: გვ. 46.

შემდგომად ათდამეოთხისა თავისა, რომელთა შორის განყენა არსთა ყოველთა აობანი სამ ტომად: გვ. 48:

სრულ ყო რაჲ თავი ათდამეექუსე, კუალად ზედა დაპრთო ათდამეშვდე: გვ. 51.

მაგრამ არის ასეთი წარმოებაც:

სრულ ყო რაჲ სიტყუაჲ მეთორისა თავისა: გვ. 45.

იოანე პეტრიწის ენაში, რადგანაც რიცხვითი სახელი ხშირად გასაგნებულ-გაარსებითებულია, სიტყვა ერთი მრავლობითის ფორმითაც გვევლინება:

არა არს ესე ერთებრივსა მას რიცხუსა შორის, არამედ ზესთა ძეს ყოველთა, ვითარ სიმრავლე ღმერთთა შორის, და ვითარ ერთნი ერთსა შორის და ვითარ კეთილნი კეთილობასა შორის: გვ. 14:

და სხუად ვითარ ერისათვს იტყვს, ანუ ერთათვს ანუ დაუსაბამოსა სამარადმყოსა შორის დამსკუალულთათვს: გვ. 17.

ერთთა და ღმერთთა განყოფილებისათვს თვთებათაჲსა: გვ. 178.

იოანე პეტრიწის ენაში განსაკუთრებულ ადგილს იჭერს რიცხვითი სახელებისაგან წარმოქმნა, რაც იმავე აფიქსებით ხდება, როგორითაც არსებითი სახელებისაგან:

— ობა: სუფიქსით წარმოქმნილია:

ნაწილად იმეცნენ რიცხუნი, რომელთაგან შედგა ასობა, ხოლო ყოვლობად თვთ იგი მხოლოდ ასობისაჲ: გვ. 11.

ხლო ვითარ **ორობა** ანუ ვითარ **სამობა** ერთ, რამე თუ **გუარ**
მათდა არს და საზღვარ: გვ. 20.



ხლო ოდეს ხუთი არა ვითარ ხუთი მიილო, არამედ ვითარ **ხუთობა**, გინა ვითარ **ათობა**: გვ. 24.

— **ებრ**: თანდებულთ წარმოქმნილია:
და ვერღარა ეპოთთ უზადოა ერთი და არცა დასაბამი **ერთებრი**:
გვ. 12.

ყოველსა განღმრთობილსა მყოფობაა უკუე აქუს კეთილობითი,
ხლოო ძალი **ერთებრი**: გვ. 160.

— **ებრივ**:
რამეთუ უმახლობელესნი ერთისანი არიან უპატიოსნეს და **ერთებრივ** შორის განზიდულთადას: გვ. 49;

ღმრთებრივისა და **ერთებრივისა** რიცხვსათს: გვ. 167.

გვხვდება გაორმაგებული და გასამკეცებული წარმოქმნის მაგალითებიც კი:

— **ებრივ-ობა**:
რამეთუ ანუ ყოველსა შორის არს, ანუ **ერთებრივობასა** ყოვლისასა: გვ. 64.

რამეთუ ერთ და იგივეობა კეთილი და ერთი, ვითარ და კეთილგუარობაა **ერთებრიობისად** იგივეობა: გვ. 68.

წარმოქმნის დასაყრდენ ფუძედ გამოყენებულია ნათესაობითი ფორმა:

აწ ესე ნაწილნი **ხუთისანი** ურთიერთას იზიარნეს და შეადგინეს არსება ხუთისა: გვ. 24.

რამეთუ ნიადგ მოქმედებენ, ვითარ უზადონი ხატნი და ალაღმანნი მის **ერთისანი**: გვ. 137.

ვინაა ამის უმქნოვსა ერთისა მიერ წარმოდგეს მხოლონი ქმნულთა **ერთთანი**: გვ. 23.

აქ კი მოქმედებითია:

ყოველი ქმნილი **ორობითისა** მიერ იქმნების ძალისა: გვ. 138.

მიმღებობის ფორმაც კი არის ნაწარმოები რიცხვითისაგან:

და კუალად ზესთ მექონეობაა ერთისა ნამდვლ მყოფისაგან და ზესთაებულ და **დაერთებულ**: გვ. 124.

რამდენიმე მაგალითი რიცხვითი სახელის კომპოზიტებში გამოყენების თავისებურებას ამჟღავნებს:

ვითარ ცეცხლსა ქუეყანასა წყალსა აირსა, ეზიარებინა **ერთი** თას: გვ. 12;

უკუეთუ იყვნენ მრგვლივ და ეხებოდინ **ერთმანერთსა**: გვ. 42; და ესრეთ აღმოაჩინეს ოდესმე შედარებით პირველობისა და შემოდგომობისა, ოდესმე **თანდატყუბვისა** და სწორგანხეთქილობისა: გვ. 16.

რიცხვითი სახელისაგან წარმოქმნილია ზმნებიც:

რამეთუ ბუნებით უსრულობისაგან მოვალს სრულებად და ძალი სრული **ეპირველების**: გვ. 18.

და რაოდენ **გაერთდებიან**, გაკეთილდებიან; და რაოდენ გაკეთილდებიან, **გაერთდებიან**. გვ. 35;

რამეთუ **გაორდეს** ესე, ვითარცა მიმდრეკი და მიმდრეკადი: გვ. 53;

მყის განყოფასავე თანა **დაუერთბამდეს**: გვ. 87.

ცხადია, ზემოთქმულით არ ამოიწურება იოანე პეტრიწის ენაში რიცხვითი სახელების ყველა თავისებურება.

იოანე პეტრიწის ენა ყოველმხრივი შესწავლის ღირსია. მისი ენის რიცხვითი სახელებიც უფრო ღრმა ანალიზს საჭიროებენ. ეს ცალკე ნაშრომს მოითხოვს.

რიცხვითი სახელი გარდამავალი ხანის ქართულ ენაში

ახალი ლიტერატურული ქართული ენის დასაწყისად მიჩნეულია მეთერთმეტე საუკუნის დასასრული. პირობითად „გარდამავალი ხანა“ ვუწოდოთ ე. წ. „საშუალ ქართულს“, — როგორც ახალი ქართულის თანდათანობით ჩამოყალიბების გზას.

ამ პერიოდის ქართული ენის რიცხვითი სახელების ჩვენებისათვის გამოვიყენეთ საერო მწერლობის დასაბამის ცნობილი ძეგლები: „სიბრძნე ბალავარისი“, „ამირანდარეჯანიანი“, „ვისრამიანი“ და „ვეფხისტყაოსანი“.

„სიბრძნე ბალავარისი“ უფრო ახლოს დგას ძველ ქართულთან, ვიდრე დანარჩენი ძეგლების ენა.

„ამირანდარეჯანიანი“, „ვისრამიანი“ და „ვეფხისტყაოსანი“^{ენობ}
რივად ტიპობრივია „საშუალი“ ქართულისათვის. ამ ძეგლებში^{ქვეყნული}
ახალი ქართულისაყენ აღებულ კურსს მიჰყვება ყველა ნიშნის^{ნიშნის} შეყენება
ხედვით.

ამ ძეგლების ენაში რიცხვითი სახელი იშვიათად გვხვდება ბრუნ-
ვაში გაუფორმებელი, ე. ი. „წრფელობითის“ სახით. მას სცვლის სა-
სელობითი;

თანდათან კლებულობს რიცხვითი სახელის მრავლობითი რიცხ-
ვის ნიშნის ფორმალურად ხმარება;

იშვიათად მიმართავენ ინვერსიულ წყობას (წიგნი ათი).

„წრფელობითის“ სახით რიცხვითი სახელი გარდამავალი სახის
ენაში გადმონაშთად არსებობს:

„ვითარცა პირველ ვთქუ: ქრესტ. ბალავ. 289;

მაგრამ იქვე ბრუნვის-ნიშნიანი ფორმაც მოიპოვება:

პრქუა იოდასაფ: „პირველად ესე ვიყავ“.

რიცხვითი სახელი „წრფელობითის“ სახით უფრო ხშირად გვევ-
ლინება დროის გარემოების გამომხატველ წყვილში:

იგი მინდორი ათ დღე დალიეს: ვის. რამ. 110;

ოც დღე იარა, დამეცა დღეზედა წართო მრავალი: ვეფხ. ტყაოს.
147.

გამონაკლისის სახით, რიცხვითი სახელის მრავლობითი რიცხვის
ნიშნით გაფორმება გარდამავალი ხანის ქართულშიც გვხვდება, მაგ-
რამ ამის მაგალითები ძალზე ცოტაა.

გარდამავალი ხანის ქართულში რიცხვითი სახელი უფრო მტკი-
ცედ დვას პრეპოზიციურ პოზიციებზე: ხუთი კაცი — ძირითადად,
როგორც ეს არ უნდა ყოფილიყო საერთოდ.

გადმონაშთის სახით, — ასეულებზე და კავშირითაა დართული
ერთეულები:

ას და ათი წელი დაჰყო რამინ: ვის. რამ. 320.

ზოგიერთი რიცხვითი სახელების ფონეტიკური გამარტივება დას-
რულდა გარდამავალი ხანის ქართულში: თავკიდური ა ჩამოეკვეცათ:

გაგზავნა მანა თორმეტი, მისი წინაშე მდგომარე: ვეფხ. ტყაოსან.
ათთორმეტი → თორმეტი:



ქართული
ენების
სამეცნიერო
ცენტრი

ოცეულებში ჯერადობის მე ჰკარგავს ე ხმოვანს და რჩება მარტო

ტო მ:

და მაუკლა ამბრი არაბმან **ორმოცივე** ცხენი: ამირ. დარეჯ. 45;

ას **სამოცი** კარგი მაყმე ჩემსათანა ხან დაზმული: ვეფხ. ტყაოს. 133.

ძველ ქართულში მსაზღვრელი რიცხვითი შეთანხმებულია ბრუნვაში საზღვრულთან. „საშუალ“ ქართულში ზოგჯერ მსაზღვრელი რიცხვითი ჰკარგავს ბრუნვის ნიშანს.

ათას **თვალპატოსნად** სყიდვა მინდოდა ესეთისა სიტყვისა: ვის. რამ. 178.

ძველ ქართულში რიცხობითის წარმოების ჩვეულებრივი წესი უფრო ხშირად ირღვევა „ოცდაათ-თან“. ასეთი რეციდივი გრძელდება „საშუალ“ ქართულშიც:

და **მეოცდაათესა** დღესა შეკრბეს მასვე მოედანსა შინა: ამირ. დარეჯ. 57;

რომელ **მეოცდაათესა** წელსა გიშობია: ვის. რამ. 15.

ორივე შემთხვევაში უნდა ყოფილიყო: **ოცდამეათესა**.

განსაკუთრებით „ვეფხისტყაოსანში“ არის გავრცელებული რიცხვითი სახელებისგან მეტყველების სხვა ნაწილების და მათ შორის ზმნების წარმოქმნა:

ღმერთმან არ მოგცა ყმაშვილი, გიზის **ერთაი** ქალია: ვეფხ. ტყაოს. 565.

ჭირი ბევრჯელ ვაათასე, ლხინი ჩემი **ვაერთხელი**: ვეფხ. ტყაოს. 547.

აქა ლხინი დაღრეჯილსა **უათასდა**, არ **უათდა**: ვეფხ. ტყაოს. 867.

ავთანდილ უთხრა ტარიელს ესე სიტყვები **ორები**: ვეფხ. ტყაოს. 1564.

ცხადია, მარტო ამით არ შეიძლება დახასიათდეს „გარდამავალი ხანის“ ქართული ენის რიცხვითი სახელის თავისებურებანი. საჭირო არის სხვა სახის ძეგლების ენის მონაცემების დამოწმებაც, მაგრამ ტენდენცია მაინც გარკვეული ჩანს, რომ ახალი ქართულის ნორმებისაკენ აღებული კურსი თანმიმდევრულად იკავავს გზას.



როდესაც რამეს ვთვლით, გარკვეული თანმიმდევრობით ვაჩვენებთ
 ლებთ რაოდენობის აღმნიშვნელ სიტყვებს: ერთი წიგნი, ორ-
 სამი წიგნი და ა. შ.

სათვალავ-აღრიცხვისათვის გამოყენებულია ასეთი სახელებიც:
 წყვილი, ტყუპი, ცალი, თითო, ყველა, ბევრი და სხვ.; ასეთი სიტყვე-
 ბით არა ვთვლით. პირიქით, როცა გვინდა გამოვხატოთ წყვილის ან
 ცალის სათვალავი, მას რაოდენობით რიცხვს დავურთავთ წინ: სამი
 წყვილი, ხუთი ცალი და სხვ.

ამრიგად, ენაში არსებობს რაოდენობის გამომხატველი სახელე-
 ბი, რომელთა ერთი ნაწილი თვლის სისტემას ქმნის, ხოლო მეორე
 ნაწილი თვლის სისტემაში არ შედის.

თვლა რიცხვთა სიტყვიერი ორგანიზაცია: მასში ყოველ რიცხვს
 გარკვეულად თანმიმდევრული ადგილი უჭირავს. ეს ორგანიზაცია
 შეპირობებულია დასათვლელ ობიექტთან; პირობითია მხოლოდ სათ-
 ვალავის სახელი — რიცხვითი სახელი.

დასათვლელი ობიექტი ხშირად ძლიერ დიდი რაოდენობით გვაქვს.
 თვლის დროს ყოველი ერთის მიმატება ახალ შინაარსს ქმნის და ახალ
 სიტყვა-ერთეულ მოითხოვს. თვლაში სათანადო რიცხვიდან ყოველი
 ახალი სიტყვა აგების მკაცრ წესს ემორჩილება. თვლის სისტემის რა-
 ოდენობითი რიცხვითი სახელები ძირითადი ფონდის 12 სიტყვას
 წარმოადგენს: ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა,
 ცხრა, ათი, ოცი, ასი (ოცი და ასი ახლა დაუშლელ ძირებად ჩანს და
 ძირითადი ფონდის სიტყვის სახე აქვთ). ამათ გარდა, დანარჩენი რა-
 ოდენობითი რიცხვითი სახელების აგება ხდება თხზვით, ე. ი. წარ-
 მოქმნის გარკვეული სახით: ათ+ერთი=თერთმეტი; ოც+ორი=
 ოცდაორი; ასი+ხუთი=ასხუთი, და ა. შ.

თვლაში არ არსებობს არც ერთი რიცხვითი სახელი, რომელიც
 სხვა რიცხვითი სახელის ასაგებად არ იყოს გამოყენებული. რიცხვი-
 თი სახელის აგების სხვადასხვა ვარიაცია გვაძლევს შესაძლებლო-
 ბას უსაზღვრო რაოდენობამდე ვთვალოთ. მაგრამ თვლა უაღრესად
 ძნელი საქმე იქნებოდა, რომ მასში რიცხვთა გარკვეული პერიოდები
 არ გამოიყოფოდეს. ეს პერიოდები ადვილებენ თვლის პრაქტიკულად



გამოყენებას. ასეთი პერიოდებია: ათეულები, ოცეულები, ასეულები, ათასეულები და სხვ., და ზოგჯერ სამეულები, ხუთეულები, ექვსეულები, თორმეტეულები, სამოცეულები და სხვ.

თვლაში ესა თუ ის პერიოდი გამოდის როგორც ძირითადი და თვლის სახის განმსაზღვრელი; ამის შესაბამისად ვიღებთ თვლის სისტემას.

არის ენები, რომელთა თვლაში ძირითადი პერიოდი არის ათი. ამ ენებში ყოველი ათი, როგორც გარვეული პერიოდი, შემდგომი სათვალავის საფეხურია, საყრდენია.

მაგრამ არსებობს ენები, რომელთა თვლაში ძირითადი პერიოდი არის ოცი. ამ ენებში ყოველი ოცი (ასამდე მაინც) შემდგომი სათვალავის საყრდენია (ბაზაა).

ასევე შეიძლებოდა თქმულიყო: ხუთობითი, ცხრაობითი და სხვა პერიოდების შესახებ. მაგრამ მსოფლიოში არსებულ ენათა დიდი უმრავლესობა თვლის სისტემის ორგვარ სახეს იცნობს ძირითადად: ათობითს და ოცობითს.

ვიდრე ქართული თვლის სისტემას შევეხებოდეთ, მანამ მოკლედ უნდა შევჩერდეთ იმ რაოდენობითს სახელებზე, რომლებიც თვლის სისტემაში არ არიან გამოყენებული.

თვლის სისტემის შექმნა უფრო გვიანდელი და ამავე დროს განვითარების შედარებით მაღალი საფეხურია ყოველი ენისათვის. თვლის სისტემის წევრი სახელები საერთოა ყველაფრის დასათვლელად, რის რაოდენობაც კი შეიძლება გამოიხატოს. მაგრამ თვლის სისტემის ჩამოყალიბებამდე სხვაგვარი მდგომარეობა უნდა გვექონოდა.

თვლის სისტემის ჩამოყალიბებამდე ძირითად სამეურნეო დარგებსა და საყოფაცხოვრებო მოვლენებს თავ-თავისი სათვალავ-არტიკლების სიტყვები უნდა ჰქონოდა. ამ საფეხურზე რიცხვით სახელს უფრო მეტი კონკრეტულობა ახასიათებდა; თვლის სისტემის ჩამოყალიბების შემდეგ კი მასში მონაწილე რიცხვითმა სახელებმა უფრო განყენებული შინაარსი მიიღეს, მაგალითად: ტყუპი იმასაც ნიშნავს, რომ ორია, და იმასაც, რომ ეს ორი ერთად არის. უკანასკნელ შემთხვევაში კი უფრო ხშირად იგულისხმება მცენარის ნაყოფი. თვლის სისტემის სიტყვა ორი ასეთ კონკრეტულ ნიშნებს არ ატარებს: იგი

განყენებული მნიშვნელობის მქონეა.

თითქმის ყოველ ძირითად სამეურნეო დარგსა და საყოფაცხოვრებო მოვლენას რომ თავ-თავისი რაოდენობის აღმნიშვნელი სიტყვული ჰქონოდა, ამას ადასტურებს ერთისა და იმავე რაოდენობის გამარჯობა ხატველი რამდენიმე ტერმინის არსებობა ერთსა და იმავე ენაში. მაგალითად, ქართულში ერთეულს აღნიშნავს შემდეგი სიტყვები: ერთი, ცალი, კენტი, მხოლო, მარტო, ოდენ, თითო და სხვ. (შეიძლება გამოდგეს იმის დამოწმება, რომ ხალხურში სიტყვა კაცო ერთს ან კენტს აღნიშნავს); ხოლო ორობითობას: ორი, ტყუბი, წყვილი, მრჩობლი, მარჩბივ, და სხვ. ხალხურში ასეთი დაპირისპირებაც არსებობს: ლუწი თუ კენტი.

ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი უაღრესად მართებულ დებულებას აყენებს: „ქართული ზოგი რიცხვითი სახელების, როგორც მაგ.: ერთის, კენტის, მხოლოს და ათის თავდაპირველი წარმოშობილობის საკითხის კვლევა-ძიებამ იმ საგულისხმო დასკვნამდის მიგვიყვანა, რომ თვითეული მათგანი თავდაპირველად კონკრეტული საგნის სახელი ყოფილა და რიცხვის აღმნიშვნელ სიტყვად მარტო შემდეგში ქცეულა, რაც აზროვნების განვითარების თანდათანობის თვალსაზრისით მოსალოდნელიც იყო.“¹

ი. ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ ცალკე სამეურნეო დარგთან დაკავშირებული იყო „სპეციალურ ტერმინად ქცეული აღრიცხვის სიტყვა“. ასეთი სიტყვა ხშირად შეიძლება საერთო იყოს რამდენიმე ენისათვის. მაგალითად: იბერიულ-კავკასიურ ენებში ცალ სიტყვა საერთო ძირად გვევლინება. იბერიულ-კავკასიურ ენებზე მოლაპარაკე ხალხებისათვის მესაქონლეობა ყოველთვის იყო მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი დარგი და ადვილი შესაძლებელია, რომ ერთნაირ სამეურნეო დარგს მეზობლობაში საერთო სიტყვაც ჰქონოდა.

დიდი მეცნიერი ამის შესახებ ამბობს:

„განსაკუთრებით საყურადღებოა ერთის აღმნიშვნელი ცალი,

¹ ი. ჯავახიშვილი, ქართ. და კავკას. ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, 1937, გვ. 424.



რომელიც, ვითარცა მესაქონლეობის მეურნეობასთან დაკავშირებული და უკვე სპეციალურ ტერმინად ქცეული აღრიცხვის ^{სისტემა}, ძველი უნდა იყოს.¹

უნდა ვიფიქროთ, რომ ძირითადი სამეურნეო დარგების აღრიცხვის ეს სპეციალური ტერმინები საფუძვლად დაედო თვლის სისტემის ჩამოყალიბებას ენაში. ამდენად თვლის სისტემის შექმნა უფრო გვიანდელი მოვლენაა. ცხადია, რომ სამეურნეო დარგებთან დაკავშირებული აღრიცხვის ყველა სპეციალური ტერმინი ვერ მოხვდა თვლის სისტემაში. მასში შევიდა ის სიტყვები, რომლებიც ყველაზე ძირითად, ფართოდ გავრცელებულ და მთავარ სამეურნეო დარგებთან იყო დაკავშირებული და მათი პრაქტიკაში გამოყენება უფრო დიდ ასპარეზს ქმნიდა.

ჩვენს მიზანს სრულებით არ შეადგენს გარკვევა იმისა, თუ მსოფლიოში როგორი თვლის სისტემები არსებობს. შევეხებით თვლის სისტემის რამდენიმე საკითხს და ისიც ქართული ენის მასალაზე დამყარებით.

სამეცნიერო ლიტერატურაში არის გამოთქმული შეხედულებანი ქართული თვლის სისტემის შესახებ.

6. მ ა რ ი ს ს ი ტ ყ ვ ე ბ ი ა :

„Числительные в грузинском слагаются не десятками, а двадцатками как напр: во французком—*quatre-vingt*“²

ა. შ ა ნ ი ძ ე შემდეგი შეხედულებისაა ქართული თვლის სისტემაზე:

„ქართული თვლის სისტემა შერეული ტიპისაა: ნაწილობრივ ათობითია და ნაწილობრივ — ოცობითი. ათობითი სისტემისაა ქართული თვლა ერთიდან ოცამდე და ასს ზევით: ათი, (ა) თ-ერთ-მეტი, (10+1), (ა) თ-ექვს-მეტი, (ა) თ-ცხრა-მეტი, ასი (10×10) ათასი (10×100), ათი ათასი (10×1000) და სხვ. ოცობითია ქართ. თვლა ოციდან ასამდე: ოცდაერთი (20+1). ოცდაცხრა, ოცდაათი (20+10).

1. ი. ჯავახიშვილი: ქართ. და კავკას. ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, 1937, გვ. 424.

2. Н. Марр, языковедение, проблемы по числительным, сборник статьи II 1927, ст. 72.

ოცდათერთმეტი... ოცდაცხრამეტი, ორმოცი (2×20), სამოცი (3×20), ოთხმოცი ($4 + 20$)".¹

ვ. თოფურია ამ ჯერ კიდევ 1925 წელს წაკითხულ მოხსენებაში ასეთი აზრი განავითარა ქართული თვლის სისტემის შესახებ:

„ცნობილია, რომ ზოგიერთ კავკასიურ ენასთან ერთად ქართულსა და მის გენეტურად მონათესავე მეგრულ-ჭანურსა და სვანურის ორ კილოს, სახელდობრ: ლენტეხურს (ქვემოსვანეთში) და ბალსქვემოურს (ზემოსვანეთში) ოცობითი თვლა ახასიათებს. ანგარიშის დროს ჩვენ ვამბობთ: ორმოცი, სამოცი, ოთხმოცი და აქედან: ორმოცდაათი, სამოცდათხუთმეტი, ოთხმოცდათვრამეტი და ასე შემდეგ“.²

როგორც ჩანს, მაინც აზრთა სხვადასხვაობას აქვს ადგილი. ა. შანიძეს ქართული თვლის სისტემა „შერეულ ტიპად“ მიაჩნია.

ჩვენი მიზანია დავადგინოთ ისეთი საზომი, რომელიც ქართული თვლის სისტემის ნამდვილ ბუნებას განსაზღვრავს.

თუ შევადარებთ ქართული და რუსული ენის თვლას ერთმანეთს, აღმოჩნდება, რომ გარკვეულ რიცხვამდე ორივე ენის თვლაში ერთნაირი მდგომარეობაა. ორივე ენაში პირველი ათეულის ერთეულთა სახელები მარტივი ჩანს, ათიდან ცხრამეტის ჩათვლით — რთული (შედგენილი); რიცხვთა სახელები თითქმის ერთნაირად არის მიღებული:

რუსულში: Одиннадцать— $1 + 10$

ქართულში: (ა) თერთმეტი — $10 + 1$.

გარდა ამისა, ათის ფარგლებში ამ ენებისათვის არ შეიძლება განსაზღვროს თვლის სისტემის ტიპი.

რუსულში გარკვევით ჩანს, რომ двадцать მიღებულია два десять (2×10)-ისგან. ქართული ოც-ი ასეთი დასკვნის შესაძლებლობას არ იძლევა. ქართულში ოც-ი კიდევაც რომ იყოს მიღებული 2×10 -ზე, ეს არ იქნება გადამწყვეტი თვლის სისტემის სახისათვის. უმჯობესია, თვლის სისტემის ტიპის დადგენისათვის საკონტროლოდ ავიღოთ: 30, 31, 40, 51, 60, 71, 80, 91.

1 ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 40.

2 ვ. თოფურია, ოცობითი თვლის სისტემისათვის ქართველურ ენებში. თბილისის უნივერსიტ., მოამბე, VI, გვ. 295.

აყუჩ



რუსულში — 30 = 3 × 10.

ქართულში — 30 = 20 + 10.

რუსულში — пятьдесят один ხუთ-ათ-ერთი ($5 \times 10 + 1$)¹

ქართულში — ორმოცდათერთმეტი-ორ-ოც-თერთმეტი ($2 \times 20 + 11$).

რუსულში — Шестьдесят ექვს-ათ-ი (6×10).

ქართულში — სამ-მე-ოც-ი (3×20), და სხვ.

უნდა დავასკვნათ, რომ თვლის სისტემის ტიპის დადგენისათვის, მით უმეტეს ქართულში, არ გამოგვადგება ზღვარი ერთიდან ოცის ჩათვლით. მთავარი ისაა, თუ ოცის შემდეგ პერიოდები რა ფარგალში იქმნება და საყრდენად რაა გამოყენებული: ათობითობა თუ ოცობითობა.

რუსულში — тридцать один $-3 \times 10 + 1$.

ქართულში — ოცდათერთმეტი — $20 + 11$.

კიდევ შევნიშნავთ, რომ ოც — სიტყვის შედგენილობა არ წყვეტს თვლის სისტემის ტიპის საკითხს; საქმე ისაა, რომ საყრდენი პერიოდების მონაცვლეობა ათებით მიდის, თუ ოცებით, მთელ რიგ ენებზე დაკვირვება ნათელყოფს, რომ კომპოზიტ რიცხვითების (რთული რიცხვითების) აღნაგობა მიღებულია თვლის სისტემის შესაბამისად, მაგრამ არის იმის მრავალი მაგალითი, რომ თვლის სისტემის საყრდენი სიტყვა-რიცხვი შედგენილია ერთი ტიპის მიხედვით, ხოლო თვლის სისტემა მაინც სხვა ტიპს მიჰყვება, მაგალითად, ჰინდიკუშის ზოგიერთ არაინდურ-ირანულ ტომებს ოც-ისათვის აქვთ სიტყვა altar:alto ($2 \times taro$ (10), მაგრამ ამ ენებში თვლის სისტემა მაინც ოცობითია: altar torum = $20 + 10 - 30$).¹

რუსულში сорок სხვა რიგის ენობრივი მასალიდან არის თვლის სისტემაში შემოჭრილი, მაგრამ ამან რუსული ენის თვლის დეციმალური სისტემა ვერ დაარღვია.

არის შემთხვევა, როცა ესა თუ ის ენა კარგავს რომელიმე რიცხვს და მის ნაცვლად სხვა ენიდან ნახესხებ სიტყვას ხმარობს, მაგრამ ამით საკუთარ თვლის სისტემას არ არღვევს.

¹ აღნიშნული—Сборник статей, გვ, 165,

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართული ოც-ი მიღებულია ორ-ათ-ისაგან.¹ მაგრამ, როგორც ეს ძეგლებიდან ჩანს, ქართული თვლა დიდი ხნიდან ოცობითია (ვიგეზიმალური).

ამრიგად, თვის სისტემის ტიპის დასადგენად ოციდან ასწადე ფარგალი უნდა მივიჩნიოთ ვადაწყვეტად. ასის შემდეგ, ათასის შემდეგ ენები ძირითადად თითქმის ერთნაირ სურათს გვაძლევენ. ვამბობთ: ორ-ასი, შვიდ-ასი, ათ-ასი. ამ ფარგალში რთული რიცხვითი სახელის შემადგენლობას უფრო ატყვია კომპოზიტობა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ შემადგენელი ძირები ერთი მორფოლოგიური ნიშნითაა გაერთიანებული. ათასის შემდეგ: ერთეულები, ოცეულები და ასეულები ჩვეულებრივი აღნაგობით რჩებიან. ათას ფუძეს ოცეულები და ასეულები უკავშიროდ ერთვის, ხოლო ცხრამეტი ერთეულთაგან კი „და“ კავშირით.

ორი ათასიდან ყოველი ათასის მატება აღინიშნება წინ თანმიმდევრული სათვალავის დასმით: სამი ათასი, ცხრამეტი ათასი, ოცდაერთი ათასი და სხვ. აღსანიშნავია, რომ ათიათასისათვის ძველ ქართულში გამოყენებული იყო სიტყვა „ბევრი“, მაგალითად, თორმეტი ბევრი უდრიდა: ასოციათასს. მაგრამ სიტყვა ბევრი თვის სისტემაში ათიათასმა შესცვალა. როგორც ერგასისი შესცვალა ორმოცდაათმა.

ძველი ქართულის განსაკუთრებულ შეიძლება ის მივიჩნიოთ, რომ ერთი მორფოლოგიური ნიშნითაა გაფორმებული რიცხვით-კომპოზიტო: სამ-ათას-ი, ხუთ-ათას-ი. მაგრამ ათი ათასიდან ძველ ქართულშიც ცალ-ცალკეა გაფორმებული: ათ-ი ათას-ი, ოცდახუთმეტი-ი ათას-ი და სხვ. ეს მდგომარეობა შემდეგ ათი ათასის ქვევითაც გავრცელდა და ახლა გვაქვს: ორ-ი ათასი, შვიდ-ი ათასი, და სხვ.

არაა შეუძლებელი ასეთი მოსაზრების დაშვება, რომ თავდაპირველად ყველა ათობითი თვლით იღვამდა ფეხს რიცხვთა სიტყვიერ სამყაროში. მაგალითად, ფ. ენგელსი პირდაპირ ამბობს:

„რიცხვისა და ფიგურის ცნებები არსაიდან არ არის ამოღებული გარდა ნამდვილი ქვეყნიერებისა. ყველაფრად შეიძლება მივიჩნიოთ ათი თითი, რომელზედაც ადამიანმა დათვლა, მაშასადამე, პირველი

1 ი. ჯავახიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 376.

არითმეტიკული ოპერაციების წარმოება ისწავლა, მხოლოდ არა გონების თავისუფალ ქმნილებად. ანგარიშისათვის საჭიროა არ მარტო საანგარიშო საგნები, არამედ აგრეთვე უნარი ამ საგნების განხილვის დროს უგულვებელყოთ ყველა მათი თვისება, გარდა მათი რიცხვისა; ეს უნარი კი ხანგრძლივი, ისტორიული ცდით განვითარების შედეგია.¹

ამიტომ ახლა როცა თვლის სისტემის ტიპის დადგენას ვცდილობთ, განმსაზღვრელია ენის თანამედროვე საფეხური; რა თქმა უნდა, სადაც ეს შესაძლებელია წერილობითი ძეგლების დამოწმებაც და ზეპირ ხალხურ მეტყველებაში პრაქტიკულად შემონახული მონაცემებიც (საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ათ-ოცი ორასს ნიშნავს, ხოლო ოც-ოცი — ოთხასს).

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ძალიან ახლო მონათესავე ენებში ზოგჯერ თვლის სხვადასხვა სისტემაა დაცული, ხოლო ზოგჯერ ერთმანეთისაგან ნათესაობის თვალსაზრისით შორს მდგომი ენები თვლის ერთნაირ სისტემას მისდევენ. მაგალითად, ოსები (ირანული შტო) და ბალყარები ათობით უნდა თვლიდნენ, მაგრამ კავკასიელ ტომთა გეზობლების წყალობით მათაც ოცობით თვლა აქვთ.

მსგავსი მოვლენების ახსნა გავლენით ყოველთვის არ იქნება მართებული. ამის საბუთად ისიც საკმარისია, რომ ერთსა და იმავე ენაში შეიძლება არსებობდეს თვლის სხვადასხვანაირი სისტემები და ეს სისტემები ამ ენაში წარმოქმნილი იყოს დამოუკიდებლად, სხვა ენა-თა გავლენის გარეშე.

ისიც დადასტურებულია, რომ ერთი ენის დიალექტებში თვლის სხვადასხვა სისტემაა დაცული. მაგალითად, ამის კარგი მაგალითია სვანური ენა, რომელშიც ოთხი კილო გამოიყოფა, ორში თვლის ათობითი სისტემაა, ხოლო ორში — ოცობითია დაცული.²

დასკვნა: 1. ქართლისათვის თვლის სისტემის სახე უნდა განისაზღვროს ოციდან ასის ფარგლებში. ამის მიხედვით ქართული თვლის სისტემა ტიპიური ოცობითია (ვიგეზიმალურია).

1 ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, ქართ. თარგმანი, 1933, გვ. 19-20.

2 ა. შანიძე, ოცობითი თვლა და ათობითი წერა ქართულში, „ჩვენი მეცნიერება“, №11-12, 1924, გვ. 12.

ძველი სალიტერატურო ქართულის პირველი საფეხურის ძეგლებში რეცხვითი სახელების წერა უმთავრესად სიტყვიერად წარმოებდა: ოცდაათი, ათასოცი; და ამ მხრივ რეცხვითი სახელი სხვა მეტყველების ნაწილებისგან არ განსხვავდებოდა. ეს არაა სიტყვების სიმბოლოებით, ანუ ციფრებით წერა. ციფრებით წერა გულისხმობს, რომ რაიმე სპეციალური ნიშანი გამოყენებულია მთელი სიტყვის შინაარსის გადმოსაცემად.

ხალხურ სათვალავ-აღრიცხვაში აუცილებლად არსებობს რეცხვის გამოხატვის ან აღნიშვნის თავისებური საშუალებანი, მაგრამ ეს ცალკე შესწავლას მოითხოვს.

კულტურული კაცობრიობა დღეს რეცხვითი სახელების აღსანიშნავად იყენებს — ციფრს. ასეთია ე. წ. არაბული და რომაული ციფრები.

ქართულში ოცობითი თვლის სისტემა (ვიგეზიმალური). არაბული და რომაული ციფრები შექმნილია ათობითი (დეციმალური) თვლის სისტემისათვის.

ციფრებით რეცხვითი სახელების წერის პრაქტიკა გვიან არის შემოსული და ორიგინალურ თვლის სისტემაზე ვერ იმოქმედა. არაბული ციფრებით წერის მაგალითები მეთათე საუკუნიდან გვხვდება ქართულში.

რეცხვითი სახელების ასოებით წერა შედარებით უფრო ადრეა შემოღებულბ ქართულში, მაგრამ ამ დროისათვისაც ქართული თვლის სისტემა დიდხნის ჩამოყალიბებულია.

ა. შ ა ნ ი ძ ე აღნიშნავს:

„...ძველს ქართულში რეცხვების გამოსახატავად ასოები იხმარებოდა, მაგრამ მათი ხმარება დამყარებულია დეციმალურ სისტემაზე როგორც ეს ბერძნულსა, არამეულსა და სომხურშია, და არა ვიგეზიმალურზე, როგორც ამას მოითხოვს ქართული ენის ბუნება. ამიტომ განსხვავება არსებითია და თვალსაჩინო წერასა და გამოთქმას შორის. მაგალითად, იწერებოდა ლა —, რაიცა ამას ნიშნავს „30+1, მაგრამ გამოითქმოდა კი „ოცდაათერთმეტი“, ე. ი. „20+11“, იწერებოდა —



68 (-50+2), მაგრამ გამოითქმოდა „ორმოცდაათორმეტი“, „40+12“, ქალაღზე უნდა გამოეყვანათ — ოგ — „რაიციკეჩენაჲ“ „70+3, ხოლო უნდა წაეკითხათ სხვანაირად, სახელდობრ „სამწყადაცამეტი“, „60+13“. მსგავსად ამისა იწერებოდა — უდ, ხოლო გამოითქმოდა თანახმად ქართული ენის თვისებისა „ოთხმოცდაათოთხმეტი“, ე. ი. „80+14“ და არა „90+4“, როგორც დაწერილი იყო...

„აი ასეთი ურთიერთობაა რიცხვების წერასა და ზვირ თვლას შორის ქართულში ძველად. ასეთივე მდგომარეობა დარჩა ახალ ქართულშიაც, მას შემდეგ, როცა ასოები ციფრებმა შეცვალეს, რადგანაც ციფრების ხმარებაც დეციმალის სისტემაზეა დაფუძნებული“.¹

ძველ ქართულში რიცხვების ასოებით წერა დეციმალურ, ანუ ათობით სისტემას უახლოვდება, მაგრამ ასო ისეთი მკაფიო მაინც არაა, როგორც არაბული და რომაული ციფრები. მაგალითად: არაბულით 31 გვაქვს: „3×10+1“, რომაულით „XXXI“, ე. ი. „10+10+10+1“, ხოლო ასოებით — „ლა“, ე. ი. „30+1“.

ასოებით წერა თითქოს არც ათობითია და არც ოცობითი, მაგრამ ვინაიდან ასოებით წერისას ცხრა ერთეულსა და შემდეგ ყოველ ათეულს განსაკუთრებული ასო აღნიშნავს, ამდენად ასეთი წერა რიცხვითი სახელებისა უფრო დეციმალურისაკენ იხრება. როგორც ჩანს, რიცხვთა ასოებით წერა მაინც განსაკუთრებული საშუალებაა. ამის დამაჩერებელი მაგალითები: ა. შ ა ნ ი ძ ე ს თავის სპეციალურ წერილში: „ოცობითი თვლა და ათობით წერა ქართულში“ ფრიად საყურადღებო დაკვირვება მოეპოვება:

„...ქართული ენის ბუნებას რიცხვების წერის დროსაც უჩენია ხანდახან თავი, მაგალითად მიწიეთის (ერთ დროს ლაბეჭინის) მარხვანის გადაწერის ქორონიკონი (254) გამოხატულია არა ჩვეულებრივ „სნდ“ ჯგუფით (200+50+4) როგორც ამას მოითხოვს დეციმალური სისტემა წერისა, არამედ ასე: „სმიდ“ (200+40+14) — ორასორმოცდაათოთხმეტი. მსგავსი მაგალითი მრავლად მოიპოვება ძველ ქართულს წიგნებსა და სიგელ-გუჯრებში“.²

ა. შანიძე, ოცობითი თვლა და ათობითი წერა ქართულში, „ჩვენი მეცნიერება“, 1924. გვ. 12.

2 ა. შანიძე, იქვე.

დასახელებულ ნაშრომში ა. შანიძეს მდიდარი მასალა აქვს ასოებით რიცხვების წერის შესახებ. მიუხედავად ამისა, შეიძლება დამატებით რამდენიმე თავისებური მაგალითის აღნიშვნა.

აქვს
შანიძის
ნიშნები

რაოდენობითი რიცხვითი სახელების წერა

ხელნაწერებში, ხშირად, ასოებით დაწერილი რიცხვი გაგებულთა როგორც ქარაგმიანი სიტყვა. მას თავზე ქარაგმის ნიშანი უზის. ეს ნიშანი წაკითხვას აადვილებს: იგრძნობა, რომ შემოკლებით არის დაწერილი, მაგრამ სიტყვებად უნდა ამოვიკითხოთ.

არის მაგალითები, როცა ასოებით დაწერილი რიცხვი წინ დგას და მას მოსდევს საზღვრული სიტყვა, ე. ი. დაცულია ქართულისათვის დამახასიათებელი წყობა:

და კულად მისცეს ოქროჲ და განძად ათულული კე ლიტრა: ათან. ცხ. 22.

რომლისაგან გამოვალს გამოსავალი ყოველთა წელთა იდ ლიტრაჲ: ათან. ცხ. 22.

ყოველ მუტლსა: \overline{x} შეტყუება აქუს: სას. პოეზ. ია.

ერთი ადგილი „შატბერდის კრებულის“ მიხედვით:

ადამ ცხოვნდა: $\overline{სლ}$: წელ: და შვა სმთ: სეით ცხოვნდა: $\overline{სე}$: წელ: და შვა ენუს: ენუს ცხოვნდა: $\overline{რჟ}$: წელ და შვა კენან: $\overline{კენან}$ ცხოვნდა: $\overline{რო}$: წელ: და შვა მალეღელ: $\overline{მალეღელ}$ ცხოვნდა: $\overline{რჲე}$: წელ: და შვა იარმდ: იარედ ცხოვნდა. $\overline{რჲგ}$ წელ; და შვა ენუქი: ენუქ ცხოვნდა: $\overline{რჲე}$ წელ: და შვა მათუსალა: $\overline{მათუსალა}$ ცხოვნდა: $\overline{რჲლ}$: წელ: და შვა ლამექ: $\overline{ლამექ}$ ცხოვნდა: $\overline{რჲმ}$: წელ და შვა ნოეშ: შატბ. კრებ. 247.

მთელ რიგ საზღვრულ სიტყვებთან, როგორიცაა: ქორონიკონი, ინდიქტიონი, თვეების სახელები, თავი, მუტლი, ზედნადები, და სხვ., — ასოებით დაწერილი რიცხვი უმეტესად საზღვრულის შემდეგ დგას, ე. ი. ინვერსიული წყობის წესს იცავს:

გარდაიცვალა დავით დიდი კუროპალატი, ძე ადარნასე კუროპალატისა, ქკსა: სკა: ქრონიკ. 1, 138;

თუესა იანვარსა კბ მთოვარშ დაბნელის: ქრესტ. 48.

ივლისსა: ივ კსენებაჲ წისა მარინაჲსი: ანტ რავახ. 64.

გვხვდება რიცხვითი სახელის გამოხატვის შერეული მაგალითები:

პოეს ათასეული თ ახი ათასი: და ოცდაათორმეტიხათასი
თანგ. 272.

ზოგჯერ ცალკე წერენ და კავშირს:

ქ კნი იყო: ტმ: და: ა: ქრონიკ. 1, 243.

ჯერადობის გამოხატვისას:

ერმან თქუას გ-ჯერ კვრიელსონი: Apr. კვ.

რიგობითი რიცხვითი სახელის წერა

ზოგჯერ რიგობითი რიცხვითი სახელი ისე გამოიხატება, როგორც რაოდენობითი: კონტექსტით თუ შეიძლება მათი გარჩევა:

ა საკითხავი დაბადებისაჲ: იერ. კან. 44.

უხვჲ ხუცობისაჲ: გ: იაკობ. ეამ. 129.

მსგავსი მაგალითებია იმ ტექსტში, რომელსაც თავებად დანაწილება აქვს:

თავი: ბ: შტბ. კრებ. 11.

მაგრამ არის მრავალი შემთხვევა, როცა რიგობითი რიცხვითი სახელის წერა ვარეგნულად განსხვავდება რაოდენობითისაგან. შეგნებულად არის გამოცალკეეებული რიგობითის საწარმოებელი მე-პრეფიქსი, რომელსაც ზოგჯერ სხვა ფერთაც კი წერენ:

უხვჲ ხუცობისაჲ მე: ბ: იაკობ. ეამ. 125.

ზოგჯერ რთული რიცხვითი სახელის წერა ნარევი სახით ხდება, მაგრამ რიგობითობას მე — საწარმოებელი თავსართი უჩვენებს:

სამეოც: და: მე: გ ფნ ისაგან: სამოც. 6.

„მატბერდის კრებულში“ მთელი გვერდები გვხვდება, სადაც რიგობითის პრეფიქსი მე-და ბრუნვის ნიშანი ერთნაირი ფერის მელნითაა დაწერილი, ხოლო რიცხვის აღმნიშვნელი ასოები სხვა ფერით:

კონსტანტინე მეფემან დღლმან მე-ზ-სა წელსა მეფობისა მისისა მოკლა უშჯულო მეფე მაქსიმიანს და დაიპყრა პრომთა მეფობაჲ: შატბ. კრებ. 255.

არის ისეთი შემთხვევა, როცა ასოს სრული სახელით არის ვადმოცემული რიცხვი:



ეპისტოლე კანონი ანი: ქრონიკ. 11, 59:

რიცხვითი სახელების ასოებით წერა ქართულში ორიგინალურ წესად არის მიჩნეული და დიდხანს შერჩა უპირატესობა ცხელი წერასთან შედარებით.

აღსანიშნავია, რომ ასოებით რიცხვების წერისათვის ერთხელ და მტკიცედ დადგენილი წესი არ არსებულა, ამის გამო რიცხვთა ასოებით გამოხატვისას სხვადასხვაობას აქვს ადგილი. მაგრამ ყველა სახე მაინც იმით იქცევა ყურადღებას, რომ ტექსტში რიცხვითი სახელი გამოარჩიოს სხვა სიტყვებისაგან.

ასოების რიცხვობრივი მნიშვნელობის ცხრილი

ასეთი ცხრილი დართული აქვს ა. შანიძის წერილს—„ძველი ქართული ენა“.¹

ერთეულები:	ა-1	ბ-2	გ-3	დ-4	ე-5	ვ-6	ზ-7	თ-8	ი-9
ათეულები:	ი-10	კ-20	ლ-30	მ-40	ნ-50	ა-60	ო-70	პ-80	ჟ-90
ასეულები:	რ-100	ს-200	ტ-300	უ-400	ფ-500	ქ-600	ღ-700	ყ-800	შ-900
ათასეულები:	ჩ-1000	ც-2000	ძ-3000	წ-4000	ჭ-5000	კ-6000	ხ-7000	ჯ-8000	კ-9000

ამის შემდეგ აღარ ჰყოფნიდათ ქართული ასოები. ამიტომ ათი ათასი ან ბერძნული ასოთი — შ-ით გადმოიცემოდა ან ცალკე სიტყვა ბევრი იყო გამოყენებული.

ორმოცდაათიც ზოგჯერ ცალკე სიტყვით აღინიშნებოდა: ერგასი (ერგასისი); 250 — ორას ერგასისი.

მართლწერის ზოგირთი საკითხი

რიცხვით სახელთან დაკავშირებული ორთოგრაფიული საკითხების გარკვეული ნაწილი გადაწყვეტილია და უკვე დამკვიდრებულია პრაქტიკაში. მაგრამ შეიძლება ზოგიერთის შესახებ მაინც ვიმსჯელოთ და ერთგვარი მოსაზრებაც გამოვთქვათ.

ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში შემდეგი სახითაა მოცემული ასეთი რთული რიცხვითი სახელების წერა: **ას ორი, ას**

¹ ა. შანიძე, ძველი ქართული ენა, ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, საშ. სკ. VIII კლასებისათვის, 1947, გვ. 237;

თხუთმეტი, ას ოცი, ას ორმოცდათხუთმეტი; სამას ერთი, სამას ორი, სამას ათი; ცხრაას ერთი, ცხრაას თხუთმეტი; ათას ერთმეცხრამეტი, ათას თხუთმეტი, ათას ასი, ათას ხუთასი, და სხვ.¹

ეგების აჯობებდა, რომ ერთი მორფოლოგიური ნიშნით გაერთიანებული რთული რიცხვითი სახელები ვწერთ ერთად: ასორი, სამას-ათი, ცხრაასერთი, ათასთხუთმეტი, ათასხუთასი და სხვ.²

მაგრამ სულ სხვა ვითარება იქნება, როცა ათასების სათვალავი აღინიშნება და კომპოზიტი მორფოლოგიურად ორი ბრუნვის ნიშნით ფორმდება: სამი ათას-ი, და სხვ. ასეთ შემთხვევაში სამი მსაზღვრელია ათას-ის, ამიტომ ეს წყვილი შეიძლება ცალკე დაიწეროს და დაიყოს, მაგრამ დანარჩენი ნაწილი ერთად იწერებოდეს:

სამი ათას ექვსასოთხმოცდაცხრამეტი

შეიძლება იმაზეც შევთანხმებულყოფით, რომ ყოველი რთული რიცხვითი სახელი, როგორც ერთი სიტყვა, — ერთად დაგვეწერა:

სამიათასექვსასოთხმოცდაცხრამეტი

თხუთმეტი (ათ-ხუთ-მეტი თ-ხუთ-მეტი): ზოგიერთის მეტყველებაში (ან კილოში) ასედაც ისმის: თუთხმეტი) ეგების ანალოგიაა: **თოთხმეტი-ის**); ისმის ასედაც: **ხუთმეტი** (ცხრა-მეტი). რატომ არ შეიძლება, რომ მხარი დავუჭიროთ უფრო მარტივ სახეს და ვწერთ ასე: **ხუთმეტი**.

რიგობითი რიცხვითი სახელების წარმოებისას ნაირსახეობას ქმნის პრეფიქს—მე-ს ადგილი. როგორც ვიცით, მარტივ რიცხვით სახელებსა და იმ რთულ რიცხვით სახელებში, რომლებშიც გამოყენებული არაა და კავშირი, — რიგობითობის მაწარმოებელი მე თავში მოუღდის: მე-ორ-ე, მე-ცხრამეტ-ე, მე-ორმოც-ე, მე-ას-ე, და სხვ. მაგრამ თუ რთული რიცხვითი სახელი იყენებს და კავშირს, მაშინ მაწარმოებელი მე ამ კავშირის შემდეგ იკავებს ადგილს: ოცდა-მე-ხუთ-ე ოთხმოც-და-მე-ცხრამეტ-ე, და სხვ.

რა თქმა უნდა, ასეთი დასაბუთება ყოველთვის არ ხერხდება. გვაქვს: ას-მე-ხუთ-ე, ას-მე-ცხრამეტ-ე, და სხვ. აქ მოვიშველიებთ ის-

1 ვ. თოფურია და ივ. გვიგინიშვილი, ქართული ენის ორთგრაფიული ლექსიკონი, 1968.

2 გ. შალამბერიძე, ქართული მართლწერა, 1965, გვ. 25.

ტორიულ ვითარებას, რომ პირველი ცხრამეტი ერთეული ემატებო-
და: ოცეულებს, ასეულებს და ათასეულებს და კავშირის მეშვეობით
ას-და-ხუთ-ი, ას-და-ცხრამეტ-ი, ორას-და-თოთხმეტ-ი, და სხვ. აქ სა-
ერთოდ და კავშირი მთლიანად გამოვიდა კომპოზიტიდან და ახსენებენ
მაგრამ რიგობითის წარმოება ისევ ძველებური დარჩა: ას-მე-ხუთ-ე.

მაგრამ როგორ მოვიქცეთ, როცა ასეულებს ემატება ოცეულები,
ხოლო ათასეულებს ემატება ოცეულები და ასეულები: ას-ოც-ი, ხუ-
თას-სამოც-ი; ათას-ორას-ი, ათას-რვაას-ოცი, და სხვ. ამათი რიგობი-
თობა, საერთო წესის მიხედვით, ასე უნდა გაკეთდეს: მე-ასოც-ე, მე-
ხუთას სამოც-ე, მე-ათას ორას-ე, მე-ათას რვაასოც-ე.

ეს რთული რიცხვითი სახელები და კავშირით არასოდეს არ იყო
ერთმანეთთან შეერთებული. მიუხედავად ამისა, შეიძლება აჯობებდა,
რომ მიგველო ისეთი შედგენილობა, როგორიც არის: ას-მე-ხუთ-ე-ს
სახით, და გვექნება: ასმეოცე, ხუთასმესამოცე, ათასმეორასე, ათას-
რვაასმეოცე.

აქვე შევნიშნავთ, რომ ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსი-
კონი ადგილის ეკონომიისა და პრაქტიკული გამოყენების სიადვილის
თვალსაზრისით ბევრს მოიგებდა, რომ რიცხვითი სახელების მართლ-
წერა ავტორებს სულ ცალკე გამოეყოთ და დამატების სახით მიეცათ
ძირითადი ნაწილის შემდეგ.



- აგათანგ: Житие Агафангела, каталикоса домаского **ХВ, т. IV**
 в. III, 1916 г.
- ამირ. დარეჯ: ამირან-დარეჯანიანი მოსე ხონელისა, ს. კაკაბაძის რე-
 დაქც. თბილისი, 1939 წ.
- ანტიოქ: ტიმოთე ანტიოქიელი, კ. კეკელიძის გამოცემა, ენიმკის მოამ-
 ბე, VII, 1940 წ.
- ანტონ რავახ: Житие и мученичество св. Антония раваха, **ХВ,**
 т. II в 1, 1913 г.
- აპოკრ. ვერს: ძველი აღთქმის აპოკრიფების ქართული ვერსიები
 (X-XVIII სს. ხელნაწერთა მიხედვით) ტექსტები გამოსაცემად
 მოამზადა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, წიგნი I, 1970.
- არიმათ: წიგნი, რომელიც დაწერა იოსებ არიმათიელმან, ნ. მარის
 გამოცემა, ტრ. კნ. II, 1900 г.
- ასური: ცხოვრებაჲ საბა ასურისაჲ, ს. ჯანაშიას გამოცემა, „არილი“
 (კრებული მიძღვნილი ივ. ჯავახიშვილისადმი) თბ. 1925 წ.
- აღმაშ. ანდ: ანდერძი დავით აღმაშენებლისა, შიო-მღვიმისათვის და-
 წერილი, სარგ. კაკაბაძის გამოცემა, თბილისი, 1912 წ.
- ბალავ: სიბრძნჷ ბალაპვარისი, ილია აბულაძის გამოცემა, თბილი-
 სი, 1947 წ.
- ბალავ. რედაქც: ბალავარიანის ქართული რედაქციები. გამოს-
 ცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ,
 1957 წ.
- ბოლნ. ქად: იოანე ბოლნელ ეპისკოპოსის ქადაგებანი, საეკლესიო მუ-
 ზეუმის გამოცემა, თბილისი, 1911 წ.
- გამოსლვ: გამოსლვათაჲ, — წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, გამოსცა
 ა. შანიძემ, ტ. I, ნაკვ. I, ძველი ქართული ენის ძეგლები, №
 4, თბ., 1947 წ.
- დაბ: დაბადებისაჲ, წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, გამოსცა ა. შანი-
 ძემ, ტ. I, ნაკვ. I, ძვ. ქართული ენის ძეგლები, № 4, თბ.
 1947 წ.

- ლექც: ხანმეტი ლექციონარი, ა. შანიძის გამოცემა, ძვ. ქართული ენის ძეგლები, № 1, თბილისი, 1944 წ.
- მამ. სწავ: მამათა სწავლანი X და XI საუკუნეთა ხელნაწერების შესახებ ხედვით, გამოსცა ილია აბულაძემ, 1955 წ.
- მთ: მათე — ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, ა. შანიძის გამოცემა, ძვ. ქართული ენის ძეგლები, № 2, თბილისი 1945 წ.
- მთაწმ. ცხ: გიორგი მთაწმინდელის „ცხოვრება იოვანესი და ეფთჳმესი, ძვ. ქართული ენის ძეგლები, № 3, თბილისი, 1946 წ.
- მკზ: მარკოზ, — ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, ა. შანიძის გამოცემა, ძვ. ქართული ენის ძეგლები, № 2, თბილისი, 1945 წ.
- მრავალთ: მრავალთავი, ილ. აბულაძის გამოცემა, ენიმკის მოამბე XIV, 1944 წ.
- მსაჯულ: მსაჯულთაჲ, — წიგნი ძუელისა აღთქუმისანი, ტ. I, ნაკვ. 2, ა. შანიძის გამოცემა, ძვ. ქართული ენის ძეგლები, № 4, თბილისი, 1948 წ.
- ოთხ. სიმფ: ქართული ოთხთავის სიმფონია — ლექსიკონი, ი. იმნაიშვილის, თბილისი, 1948-1949 წ.
- Описан: Н. Я. Марр, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, 1940 г.
- ოქრობ: ცხოვრებაჲ... იოანე ოქროპირისაჲ, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერი № 2124.
- პართ: ცხოვრებაჲ წმ. გრიგოლი პართელისაჲ, ლეონ მელიქსეთბეგის გამოცემა, თბილისი, 1920 წ.
- რუთ: რუთისი, — „წიგნი ძუელისა აღთქუმისანი“, ტ. I, ნაკვ. 2, ა. შანიძის გამოცემა, ძვ. ქართული ენის ძეგლები № 4, თბილისი, 1948 წ.
- საკითხ: საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, II, გამოსცა ი. იმნაიშვილმა, 1966 წ.
- სამოც: სამოციქულო, ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერი, № 1138.
- სინ. მრავალ: სინური მრავალთავი 864 წლისა, აკაკი შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, 1959, თბილისი.
- სიყრ: უფლ: სიყრმე უფლისა, ა. შანიძის გამოცემა, თბილისის უნი-



ვერსიტეტის შრომები XVIII, 1941 წ.

საქ. მოც: საქმე მოციქულთა, ძველი ხელნაწერების მიხედვით გამოცემა, ტ. I, ილია აბულაძემ, 1955 წ.

ულაბნ: ულაბნოს მრავალთავი, ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერი № 1109.

ურპაელ: Жизнь и подвиги Иоанна, каталикоса Урбайского и Кавказского Патриархата, ХВ ტ. III, в. III, 1914 г.

ქართ. სომხ. ურთ: ილ. აბულაძე, „ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX, X სს-ში“, თბილისი, 1944 წ.

ქართ. ცხ: ქართლის ცხოვრება (ანა დედოფლისეული ნუსხა), ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბილისი, 1942 წ.

ქრესტ: ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენ. ს. ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი, 1946 წ.

ქრესტ. გ. ათონ: ცხოვრება გიორგი ათანელისაჲ, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი, 1946 წ.

ქრესტ. ი. ქართ: ილარიონ ქართველის ცხოვრება, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შედგ. ს. ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი, 1946 წ.

ქრესტ. ხანძთ: ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შედგ. ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი, 1946 წ.

ქრონიკ. I, II: თედო ყორღანია, ქრონიკები და სხვა მასალები საქართველოს ისტორიისა... I, II, თბილისი, 1892, 1897 წ. წ.

შატბ. კრ: შატბერდის კრებული, ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერი № 1141.

შუშან: ი. ცურტაველის „მარტვილობაჲ შუშანიკისი“, ილ. აბულაძის გამოცემა, თბილისი, 1938 წ.

წარტყ: წარტყუენვაჲ იერუსალჴმისაჲ, ნ. მარის გამოცემა, TP. კმ. IX, 1909 г.

ხანმეტ მრავ: ხანმეტი მრავალთავი, ა. შანიძის გამოცემა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოაზრებე, VII, 1927 წ.

ხელნაწ. № 19: „სვანური მანუსკრიპტი“, ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერი № 19.

ხრონ: „ხრონოღრაფი გიორგი მონოზონისა“, სიმ. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბილისი, 1920 წ.

ვერსიტეტის შრომები XVIII, 1941 წ.

საქ. მოც: საქმე მოციქულთა, ძველი ხელნაწერების მიხედვით გამოცემა, 1955 წ.

უდაბნ: უდაბნოს მრავალთავი, ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერი № 1109.

ურპაელ: Житие и подвиги Иоанна, каталикоса Урбайского კ. კეკელიძის გამოცემა, XV ტ. III, ვ. III, 1914 გ.

ქართ. სომხ. ურთ: ილ. აბულაძე, „ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX, X სს-ში“, თბილისი, 1944 წ.

ქართ. ცხ: ქართლის ცხოვრება (ანა დედოფლისეული ნუსხა), ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბილისი, 1942 წ.

ქრესტ: ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენ. ს. ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი, 1946 წ.

ქრესტ. გ. ათონ: ცხოვრება გიორგი ათანელისაჲ, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი, 1946 წ.

ქრესტ. ი. ქართ: ილარიონ ქართველის ცხოვრება, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შედგ. ს. ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი, 1946 წ.

ქრესტ. ხანძთ: ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შედგ. ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი, 1946 წ.

ქრონიკ. I, II: თედო ყორღანია, ქრონიკები და სხვა მასალები საქართველოს ისტორიისა... I, II, თბილისი, 1892, 1897 წ. წ.

შატბ. კრ: შატბერდის კრებული, ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერი № 1141.

შუშან: ი. ცურტაველის „მარტვილობა შუშანიკისი“, ილ. აბულაძის გამოცემა, თბილისი, 1938 წ.

წარტყ: წარტყუენვაჲ იერუსალჴმისაჲ, ნ. მარის გამოცემა, TP. KH. IX, 1909 გ.

ხანმეტ მრავ: ხანმეტი მრავალთავი, ა. შანიძის გამოცემა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე, VII, 1927 წ.

ხელნაწ. № 19: „სვანური მანუსკრიპტი“, ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერი № 19.

ხრონ: „ხრონოლრაფი გიორგი მონოზონისა“, სიმ. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბილისი, 1920 წ.

შეცდომების განყოფილება

გვერდი	სტრიქონი		დაბეჭდილია	უნდა იყოს
	ზემოდან	ქვემოდან		
16	8	—	ჯერ-იყო განსუიდალ ნელ-საცხებელი ესე სამასის დრა-პკანის: მკზ. 14,5.	ჯერ-იყო განსუიდალ ნელ-საცხებელი ესე სამასის დრა-პკნის: მკზ. 14,5.
22	13	—	მოისრა სიმრავლე ათვრა-მეტისა ბევრისა: პართ. 293.	მოისრა სიმრავლე ათრვა-მეტისა ბევრისა: პართ. 293.
28	—	5	რომელი ქერობინთა ზედა ბევრულთაგან ანგელოზთა იდიდების.	რომელი ქერობინთა ზედა ბევრეულთაგან ანგელოზთა იდიდების.
39	2	—	ლისა საქონელისა მისისა: ათონ. ივერ. მონასტ. 252.	ყოვლისა საქონელისა მისი-სა: ათონ. ივერ. მონასტ. 252.
39	8	—	ვიმარხავ ორგზის შაბათსა შინა, ათეულსა შეეწირავ...	ვიმარხავ ორგზის შაბათსა შინა, ათეულსა შეეწირავ...
48	8	—	უღარნოსა მას შინა: ანტ. რაეახ. 90.	უღაბნოსა მას შინა: ანტ. რაეახ. 90.
96	—	10	Числительный в грузинском языке....	Числительные в грузинском языке....

А. Э. ГВЕНЦАДЗЕ

Имя числительное грузинского языка
(Вспомогательное пособие)

რედაქტორი: ა. ლლონტი

გამომცემლობის რედაქტორი: ნ. გოგოლაშვილი

ტექრედაქტორი ვრ. სოფროშაძე

კორექტორი გ. გაბიძაშვილი

სასტ. ფ. რ. 7
შეკვ. № 95

საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5

უკ 11622

ტ. 1000

აღ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის სტამბა, კიროვის 55

ნ 19/149

14698



საქართველოს
საქართველოს

ფანო 13 კბ.